

ქვეყანა



33

ქვეყნის

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS




გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი — 1973

საქართველოს სსრ. სპ. სსრ.  
საბჭოთა კულტურის მემკვიდრეობის  
და დაცვის სამსახური



საქართველოს  
საქართველოს



ქაბახის, აგორის კოშკი

სერია: „მატიერიალური კულტურის ძეგლები“



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ქეკელის ქუთხარი

კრიბული ოცდაშვიდათი

განმარტვის საერთაშორისო საფუძისებზე

---

**საკვლეპცინო კოლეგია:** ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრია ავთაბიძე, ვახტანგ ბერიძე, ლალო გუდიაშვილი, მთარ თაქთაქიშვილი, თინოშრაჟ კანდელაკი, ირაკლი ჭაჭარიაშვილი, ნიკო კიციშვილი, ლევან მატარაძე, მთარ სანებლიძე, ლია ფილმსანი (პ/შ. მღვიმე), გიორგი ჩიტია, ვახტანგ ცინცაძე.

ლილი ლლონტი  
ალექსანდრე ჯავახიშვილი  
თამაზ კილურაძე


## ხრამის დიდი გორის ანთროპომორფული ქანდაკებები

1972 წელს, მარნეულის რაიონის ერთ-ერთი ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის — ხრამის დიდი გორის არქეოლოგიური გათხრის დროს აღმოჩნდა თიხის ანთროპომორფული ფიგურების უნიკალური სერია. თიხის ფიგურები საერთოდ ფართოდ არის გავრცელებული ძველი სამყაროს ადრეულ კულტურებში, მაგრამ ამიერკავკასიაში დღემდე ისინი მეტად იშვიათი იყო — კერძოდ, მათი ერთეული ნიმუშები საპონია ქვემო ქართლის უძველეს ნასოფლარებზე შულავერისა და იმირის გორებზე, ყაზახის რაიონში მდებარე ნამოსახლარ გარღალარ-თეფესიზე და სხვ.

ხრამის დიდი გორა ქვემო ქართლის დღემდე გადარჩენილი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნამოსახლარი ჩანს. იგი მდებარეობს ხრამის მარჯვენა სანაპირო ველზე, სოფ. ყაჩაღანსა და თაქალის შორის. ამჟამად ის წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით წაგრძელებულ ოვალური მოყვანილობის ბორცვს. ჯერჯერობით აქ, ბორცვის დასავლეთ ფერდობზე გაიჭრა მხოლოდ მცირე სტრატეგრაფიული თხრილი, ზომით 5X10 მ. (სურ. 1). გამოირკვა, რომ კულტურული ფენების სიმძლავრე 6 მ. უდრის; ფიქსირებულია სულ ცოტა რვა საამშენებლო პორიზონტი, რომელთაგან ქვედა შვიდი ეკუთვნის ადრეულ პერიოდს, ზედა ერთი კი — გვიანფოდალურ ხანას. ბორცვის აღმოსავლეთით ორი მესამედი უჭირავს თანამედროვე მაქამადანურ სასაფლაოს.

ბორცვის ქვედა საამშენებლო პორიზონტები შეიცავს ალიზის წრიული ნაგებობების ნაშთებს, რომლებიც ერთიმეორეს ფარავენ და წარმოქმნილია მოზრდილი საცხოვრებელი კომპლექსის მრავალჯნის განახლების შედეგად.

როგორც არქიტექტურით, ისე აქ აღმოჩენილი ნივთიერი მასალით, ხრამის დიდი გორა მიეკუთვნება შულავერ-შომუთეფეს კულტურის ისეთი ძეგლების რიგს, როგორცაა შულავერი, იმირის გორა, არუზლო I („ნახიდური“), შომუთეფე და სხვ. წინასწარ იმის თქმაც შეიძლება, რომ ხრამის დიდი გორა ამ კულტურის შედარებით მოგვიანო საფეხურს განეკუთვნება, რაც პირველ რიგში ჩანს კერამიკისა და ძვლის მასალის მიხედვით. ამაზე მეტყველებს საამშენებლო ნაშთები, რომ არაფერი ვთქვათ ალიზის ფორმასა და ზომებზე, შენობების ცილინდრულობაზე და მშენებლობის სხვა თავისებურებებზე; ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი სახლის მიწყობის ზოგიერთი თავისებურებაც. მაგ., შულავერის გორის შენობებთან შედარებით, სადაც თიხის „კვრცხისებური“ კერები მოთავსებულია კედლის ძირში, აქ კერებს განსხვავებული მოყვანილობა და მდებარეობა აქვს. ისინი წარმოადგენენ მიწაში პირამდე ჩაფლულ, მოზრდილ, სქელკედლიან ცილინდრულ და დაბალქუსლიან გამოუწვავ ტურტლებს, ჩადგმულ შენობის შუაგულში (სურ. 2). ერთ შემთხვევაში კერის კედელზე შიგნიდან მიძერწილი იყო მერცხლის ბუდისებური „ჯიბე“, რომელიც შულავერის ტიპის კერების



სურ. 2 →  
 სურ. 3

რემინსცენციას უნდა წარმოადგენდეს. ამ კერების ძირითადი დანიშნულება მუდმივი ცეცხლის შენახვა იყო, ამასთანავე, როგორც ჩანს, მათ ჰქონდათ სარიტუალო ფუნქციაც. ამას მოწმობს ის, რომ კერები ყოველთვის სახევა წმინდა, მტკიცე ნაცრით, რომელიც წივის წვის შედეგად უნდა იყოს დაგროვილი, ხოლო ნაცარში აწყვეია სხვადასხვა შეწირულობა — ცხვრის ძვლები, სამეურნეო იარაღი და, ამ ერთ შემთხვევაში, თიხის ფიგურები.

თიხის ფიგურები აღმოჩნდა, კერძოდ, ზედა საამშენებლო ჰორიზონტის № 1 შენობის ერთ-ერთ კერაში (სურ. 3), სადაც მათ გარდა ნაცარში ჩალაგებული იყო უმი თიხის მრგვალი და ოვალური მოყვანილობის „კვერები“, რომელთა სარიტუალო მნიშვნელობა უჭკველია. ამავე ფენაში და ანალოგიურ ვითარებაში ნაპოვნია თიხის ფიგურის ერთ-ერთი ყველაზე კარგად მოდელირებული თაფი. შეიძლება გვეფიქრა, რომ ფიგურები კერაში გამოსაწვავად იყო ჩადებული, მაგრამ ის გარემოება, რომ მათ გამოწვის კვალი არ ეტყობა და, გარდა ამისა, კერების განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობა ძველ კულტურებში, როგორც ოჯახის კეთილდღეობისა და გამრავლების განსახიერებისა, საეჭვოდ ხდის ამ ვარაუდს.

ზრამის დიდ გორაზე აღმოჩენილია სულ 21 მთელი თუ ფრაგმენტირებული ფიგურა, მათ შორის 17 მოპოვებულია № 1 ნაგებობის კერაში. კერაში ნაპოვნი ფიგურებიდან მთლიანად ერთის აღდგენა ზერხდება, სამს აკლია თავი, დანარჩენი თუმცა სხეულის ცალკეულ ნაწილებს (თავი, მკერდი, ტორსი, ფეხები) წარმოადგენს, როგორც ჩანს სხვადასხვა ეგზემპლარებს ეკუთვნის. უმეტესობა მაინც იძლევა ზოგად წარმოდგენას ტიპის შესახებ.



ძველზე აღმოჩენილი ყველა ანთროპომორფული ფიგურა მეტნაკლებად სტილიზებულია და წარმოადგენს მრგვალ სკულპტურას, რომელიც თითქმის ყოველთვის გამოსატავს ქალს, უმრავლეს შემთხვევაში მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნებით. რამდენადაც შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, ერთის გარდა ყველა მჯდომარე პოზაშია. მათ შორის ფეხების მდგომარეობის მიხედვით შეიძლება გაირჩეს ორი ძირითადი ტიპი:

- 1) ფეხმობრილი-მუხლაწეული და 2) ფეხგაჭიმული.

პირველი ტიპის ფიგურები ხასიათდება შესრულების შედარებით რეალისტური მანერით, რაც პირველ რიგში გამოიხატება სხეულის თითქმის ყველა ნაწილის გადმოცემაში, თუმცა, ერთი საგვეუო შემთხვევის გარდა, არც ერთს არ გააჩნია ხელები ყველაზე უკეთ ეს ტიპი ჩანს ერთადერთი სამად გატეხილი ფიგურის მაგალითზე (იხ. ყდა). 5,6 სმ სიმაღლის ეს ქანდაკება წელსქვევით მასიურია — შეტყუებულა, ღარით გამოყოფილი ფეხები ნაკლებად დიფერენცირებულია, თუმცა თქმები, მოხრილი და მაღლა აწეული მუხლები და ტერფები მკაფიოდაა აღნიშნული. წელსზევით ფიგურა, ზოგადად, კონუსურია; მუცელი დაბრტყელებულია, მხრები თითქმის შეუმჩნეველი, სამაგიეროდ ხაზგასმით დიდი ბიუსტი გადმოცემულია საკმაოდ რეალისტურად. თავი ტანთან შედარებით პატარაა, ოდნავ არის გამოყოფილი მისგან მუხუქად და ნიშნული ყელითა და ნიკაპით და ოდნავ აწეულ შთაბეჭდილებას ტოვებს. პირისახე გადმოცემულია ორი დამრეცი სიბრტყით, რომელთა შეხვედრით წარმოქმნილი წიბო მახვილ პროფილს ქმნის. სიბრტყეებზე დატანილია თითო წრიული, ღრმა ფოსოთვალა, რომელიც ინკრუსტირებული უნდა ყოფილიყო. კონუსური, ბოლომომრგვალებული და ოდნავ უკან გადაწეული „კეფა“ თავსაბურავს ან თმის ვარცხნილობას უნდა



წარმოადგენდეს. სქემატურობის მიუხედავად ფიგურა ცოცხალი და ექსპრესიულია, გამოძიწილია თავისუფლად, მასალის გრძნობითა და ოსტატურად.

კიდევ უფრო მეტი ოსტატობითა და ექსპრესიულობით გამოირჩევა მეორე ფიგურა (სურ. 5). რომელსაც, სამწუხაროდ, თავი მოტეხილი აქვს, აგებულებითა და პოზით არ განსხვავდება ზემოაღწერილისაგან. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას იშვიათი რელიეზშით შესრულებული ტორსი და სახეე ბიუსტი, მსხვილი ფეხები, რომლებთანაც ერთგვარად კონტრასტულად გამოიყურება წაწვეტილებული ტერფები. ფიგურის სიმაღლე უდრის 4,1 სმ.

სახეებით ანალოგიურია კიდევ ერთი, აგრეთვე თავწატეხილი, მომცრო ფიგურა (სურ. 6). ის უფრო რბილადაა მოდელირებული და გვერდებიდან საგრძნობლად დაბრტყელებულია. მაგფოდ არის გადმოცემული შეტყუებული ფეხების გამყოფი ხაზი, ტერფები და მკერდი. ფიგურის სიმაღლეა 2,8 სმ. ამავე ტიპს განეკუთვნება კიდევ ერთი ფიგურის წელსქვემოთა ნაწილი. აღსანიშნავია, რომ პირველი სამი ზემოაღწერილი ფიგურის ტორსი ვერტიკალურია.

ამათგან განსხვავებით, ერთი მეტად თავისებური ფიგურა, რომელიც წელს ქვედა ნაწილით ამავე ტიპს განეკუთვნება, ე. ი. გადმოცემულია მჯდომარე, ფეხებმეტყუებულ და მუხლწვეულ პოზაში, აშკარად უკანგადახრილია (სურ. 7ა, 7ბ). იგი სხვა ნიშნებითაც განსხვავდება დანარჩენთაგან. სამწუხაროდ, თავი არც მას გააჩნია. მისი სიმაღლე უდრის 4,6 სმ. ფიგურის ტორსი და განსაკუთრებით ზურგი მასიურია, მხრები საგრძნობლად განიერია თქმობებთან შედარებით, რითაც ის მკვეთრად უპირისპირდება კონუსურტანიან ფიგურებს, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა ეს ეგზემპლარი ტორსის დამუშავებით; მასზე ბიუსტის ნაცვლად დაძვრწილია ამეამად დაზიანებული და ნაკლული ღვედისებური რელიეფური ზოლები. აშკარად ჩანს, რომ თითო ასეთი ზოლი ეშვებოდა მხრებიდან ორივე გვერდზე; ამათგან მარცხენა გადადის მარცხენა ბარძაყზე და თითქმის მუხლს აღწევს, ხოლო მარჯვენა მოდის მუცლამდე, მკვეთრად უხვევს და გადადის კალთაზე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს აქ გადმოცემული უნდა იყოს მკლავები. წყვილი პორიზონტალური ზოლი გარდიგარდმო დაძვრწილია მკერდზე და ბოლოებით შედის ზემოაღწერილი „ღვედების“ ქვეშ; ორი მოკლე ვერტიკალური ღვედი ადგვს ზედა პორიზონტულ ზოლს. დაზიანების მიუხედავად ჩანს, რომ უშუალოდ აქედან იწყებოდა თავი და, ამრიგად, აშკარაა, რომ ქალის ფიგურებისათვის ჩვეულებრივი ბიუსტისათვის აქ ადგილი არ რჩება. ძნელი სათქმელია ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ აქ მამაკაცია გამოსატული, რადგან ამის პირდაპირი ნიშნები არ არის, ხოლო დაძვრწილი ზოლების აზრი ჯერჯერობით გაუგებარია. მაგრამ თავისთავად, ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხული არ არის, რადგანაც მახლობელი აღმოსავლეთის ზოგიერთ უადრეს ძეგლზე, სადაც საყოველთაოდ გავრცელებულია ქალის გამოსახულებანი, მამაკაცის ერთეული ფიგურებიც გვხვდება (ჩათალ ჰუიუკი, ტელ-ეს-სავანი). სწორედ ამ ადრეულ ძეგლებზეა მოპოვებული მდგომარობითი სქესის თიხის ქანდაკებები, რომელთაც გააჩნიათ დამატებითი ელემენტები — ტანსაცმელი, სამკაული, წმინდა ცხოველების გამოსახულებანი, ზოგჯერ ჩვილი ბავშვები შესრულებული საღებავით ან ხშირად რელიეფური ღვედისებური დანაძვრწებით. შესაძლოა, ჩვენს შემთხვევაშიც ტანსაცმელი ან იქნებ საკრალური ატრიბუტები იყოს გადმოცემული. ფიგურას მეტად თავისებურ იერს ანიჭებს წელში უკან გადახრილი ტორსი. ეს პოზა დამახასიათებელია მჯდომარე ფიგურების მეორე ტიპისთვის, რომლებსაც ფეხები გასწორებული, გაჭიმული აქვს.

სურ. 5



სურ. 6



მეორე ტიპის არც ერთი მთელი ფიგურა ხრამის დიდ გორაზე აღმოჩენილი არ არის; მოპოვებულია მათი შვიდი ფრაგმენტი, რომელთაგან ერთ შემთხვევაში მხოლოდ ტორსია შერჩენილი (სურ. 8). სამში — წელსქვემო ნაწილი, ხოლო დანარჩენები წარმოადგენს შეწყველებული და ცალი ფეხის ფრაგმენტებს. ფიგურის ეს ტიპი უფრო სქემატურია — ტორსი კონუსური მოყვანილობისაა და მთავრდება წინა მხრიდან ოდნავ მოქცეული ბოლოთი, რომელიც თავს უნდა გამოხატავდეს; თუძოები განიერია, ფეხები უმთავრესად შეტყუებული, ბოლოში დაწვრილებული, ზოგჯერ ზეაწეული ტერფებით. ასეთი ფიგურის ერთი ფრაგმენტი და ფეხის ორი ნატეხი გამოწვევარია.

ცალკე ტიპად შეიძლება გამოიყოს უკიდურესად გამარტივებული ფიგურა, რომლის პოზის დადგენაც კი ძნელდება. თუმცა, უნდა ვიფიქროთ, ისიც მჯდომარეა. ის წარმოადგენს წესიერ მაღალ კონუსს, მცირედ შედრეკილი ძირითა და მსუბუქად მოქცეული ბოლოთი — თავით, რომელსაც ეტყობა პირისახის სიბრტყეები. სტილიზაცია იმ ზონამდეა მიყვანილი, რომ, არსებითად ფიგურა სიმბოლურად თუ გამოხატავს ადამიანს.

დანარჩენ ფრაგმენტებში გამოირჩევა ტორსის სამი ნატეხი და, განსაკუთრებით, ოთხი თავი, რომელიც პირველი ტიპის, ე. ი. შედარებით ნატურალისტურ ფიგურებს უნდა ეკუთვნოდეს. თავები ერთი ტიპისაა — ისეთი, როგორც აქვს ერთადერთ მთელ ფიგურას, მაგრამ განსხვავდება მეტ-ნაკლები დეტალიზაციით. ერთ-ერთი მათგანის მარჯვენა თვალის ფოსოში ჩარჩენილია შავი, ბრჭყვიალა ხორკლიანი მასა (დაამწვარი რქა?); უკველია, რომ ეს არის ინკრუსტირებული თვალის ნაშთი (სურ. 9).

ზედმიწვევით დეტალურადაა მოდელირებული განცალკევებით ნაპოვნი თავი (სურ. 10 a, b, c), იგი გამოირჩევა საერთო სიმეტრიულობით, რბილად გამოძვრწილი კისრითა და ყელით, თანაზომიერად და მკვეთრად ფაცეტირებული პირისახის სიბრტყეებით, რომელთა შეხვედრის წიბო ცხვირის მაგივრობას სწევს; პირი გაკეთებულია პატარა ფოსოს სახით. სახის ორივე სიბრტყის ცენტრში ჩამხვლეტილია წრიული, ღრმა თვალბუდე, რომლებიც უთუოდ უნდა ყოფილიყო ინკრუსტირებული. სახის სიბრტყეებს ზემოდან რკალივით უვლის ღრმა ქდეებით გაკეთებული წარბები. მათ შორის მოქცეულია პატარა, ბრტყელი შუბლი. კეფა მთავრდება ასიმეტრიული და რბილად მოდელირებული კონუსით. წარბებითა და ყბის ნაპირებით შემოფარგული სახის სიბრტყეები დაფარულია თეთრი საღებავით, რაც სახეს მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს. სახის მარცხენა სიბრტყეზე, თვალის ირგვლივ, დატანილია სხვადასხვა ზომის ოთხი შავი მრგვალი წერტილი; ხუთი მომცრო შავი წერტილი დასმულია ყელზე, ნიკაპსა და მარცხენა ყბის ქვეშ. ეს მოწმობს, რომ ზოგ შემთხვევაში ფიგურები მოხატული იყო. შავი წერტილები აქ, ალბათ, საკრალურ ტატუირებას გამოხატავდა. ზეაწეული თავი, გადაჭარბებულად დიდი თვალები, ძლიერი წარბები, ფერადოვან კონტრასტებთან ერთად იშვიათ ექსპრესიულობას ანიჭებს ამ პატარა (სიმაღლე 2,4 სმ.) სკულპტურას და გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ადრემიწითმოქმედი საზოგადოების ხელოვნებაზე.


ამიერკავკასიის ამ ეპოქის სხვა ნასოფლარებზე ნატურალისტურად შესრულებული მჯდომარე ფიგურები არ არის აღმოჩენილი. ცნობილია მხოლოდ მეორე ტიპის, ე. ი. უფრო სქემატური, კონუსურტიანი და გაჭიმულ-ფეხიანი მჯდომარე სკულპტურები. მაგალითად, იმირის გორაზე ნაპოვნია გამოწვევარი თიხის ასეთი ორი ნაკლული ფიგურა. ორივეს მოტეხილი აქვს წელსზედა ნაწილი, მარჯვენა ფეხი და მარცხენა ფეხის ბოლო, მაგრამ ჩანს, რომ ფეხები შეტყუებული ყოფილა; ერთი აშკარად სტე-

სურ. 7a



სურ. 7b





სურ. 8



სურ. 9

ატოპიგურია. ასეთივე ფიგურის ზედა ნაწილს უნდა წარმოადგენდეს იმირის გორის გვიანდელ საამშენებლო პირიზონტებში აღმოჩენილი ფიგურის კონუსური მოყვანილობის წელსზედა ნაწილი. ის უხელოა, სუსტად გამოხატული მკერდი დაფარული აქვს ირიბი ჭდეებით თავი წაბეჭდილია, მაგრამ გადარჩენილია „მოჩქმეტით“ მიღებული პირისახის სიბრტყეები. ამავე ტიპის შედარებით კარგად დაცული და ჭდეებით შემკული ფიგურა მოპოვებულია ყაზახის რაიონში მდებარე ნამოსახლარ გარღალართეფსის ზედა ფენაში.

რამდენადმე განსხვავებული ტიპის მდებრობითი სქების მჯდომარე ფიგურა ნაპოვნია შულავერის გორაზე ზედაპირულად (სურ. 11); ამიტომ ძნელი სათქმელია, მიეკუთვნება თუ არა იგი აქ დადგენილ რომელიმე კულტურულ ფენას, თუ მომდინარეობს ამ ძეგლის განადგურებული ზედა ფენებიდან. მის თავისებურებას შეადგენს წინ გაჭიმული, სწორი, ფართოდ გაშლილი ფეხები და სხეულზე დადებული ჭდეები. ფეხებზე დატანილია რვა-რვა პირიზონტალური ნაჭდევი, ხოლო ტორსზე — თავთავისებური სახე. ხუთ-ხუთი ფხით. სამწუხაროდ, თავი მოტეხილია. ეს სკულპტურა, იმირის ფიგურების მსგავსად, გამოშწავრია.

ცენტრალური ამიერკავკასიის ადრენამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე გვხვდება სხვა სახისა და მასალის ანთროპომორფული გამოსახულებებიც. მაგალითად, იმირის გორაზე ნაპოვნია თიხის ორი ჭურჭლის პირის ფრაგმენტები, რომელთაგან ერთზე დაძერწილია ხელაპყრობილი, სარტყლიანი მამაკაცის რელიეფური გამოსახულება (სურ. 12), მეორეზე კი — ორი ხელგაშლილი ფიგურა; არუხლო 1 („ნახიდურზე“) აღმოჩნდა წითელი ოქრით შეღებილი ორი კენჭი, რომლებსაც დამატებითი დამუშავებით მიცემული აქვს ადამიანის თავის სახე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ თიხის ანთროპომორფული, განსაკუთრებით კი ქალის ქანდაკებები ფართოდ არის გავრცელებული თითქმის მთელს ძველ სამყაროში.



სურ. 10a

სურ. 10b

სურ. 10c



მათი დანიშნულების შესახებ არსებობს სავსებით დასაბუთებული, შეიძლება ითქვას უცილობელი მოსაზრება; მიაჩნიათ, რომ ისინი უკავშირდებიან ნაყოფიერების კულტს და განასახიერებენ ბუნების მფარველ ძალას — „დიდ დედას“, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეულობის გამრავლებასა და კეთილდღეობას. ეს ფიგურები საკმაოდ მრავალფეროვანია და განსხვავდება ერთმანეთიდან როგორც ტიპოლოგიურად, ასევე, განსაკუთრებით, სტილისტურად. მათ განვითარებაში რაიმე მტკიცე კანონზომიერების დადგენა ძნელია, თუმცა შესაძლებელია გარკვეული ტერიტორიულ-ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფა.

ნაყოფიერების გამომხატველი ანთროპომორფული ფიგურების დამზადებას ძალიან ძველი ტრადიცია აქვს; მაგრამ განსაკუთრებით ფართო გავრცელება მათ კპოვეს მწარ-



მიმდებარე მუშაობის ჩახსენება და სამიწათმოქმედო კულტურების აყვავების ხანაში, ე. ი. ძვ. წ. VII—IV ათასწლეულებში. ქვისა და თიხის ასეთი ქანდაკებები სერიები ცნობილია მცირე აზიის უძველეს ნამოსახლარებზე, კერძოდ, ნეოლითურ ხალ-ჰუიუკსა და ჰაჯილარში. ისინი სასიათღებთან ნატურალიზმითა და ტიპობრივი მრავალფეროვნებით. აქ არის როგორც ფეხზე მდგომი, ისე მწოლიარე და, განსაკუთრებით ხშირად, დამჯდარი ფიგურები, გადმოცემული ზოგჯერ საკარალურ ცხოველებთან ერთად. ქანდაკებების აბსოლუტური უმრავლესობა ქალებიანია, რომლებიც ხშირად გამოსატყლია ფეხშიძემდ ან მშობიარედ; ზოგჯერ განსაკუთრებით ხაზგასმულია სტეატობიგია.

მესოპოტამიაში თიხის უადრესი ფიგურები ცნობილია ქიარიმ-შაპირის უკერამიკო ფენებიდან და ნეოლითური ჯარმოდან. ჯარმოს სერიას შეადგენს განზოგადებული სახის მჯდომარე ქალის ფიგურები, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ ბუნებრივად არის გადმოცემული ფეხმორთხმულ, და აგრეთვე ფეხებ-გაჭიმულ და გაშლილ პოზაში. ამ ტიპის ზოგიერთ ცალ სელები არა აქვს გამოსატყლი და თავივ გადმოცემულია სქემატურად.

გამარტივებული სახის ქალის ქანდაკებები ნაპოვნია ირანშიც, კერძოდ, ნეოლითურ თუფე სარაბზე, აქაური ფიგურებიც სტილიზებულია — ერთი მათგანი გადმოცემულია დამჯდარ ფეხებგაშლილ პოზაში. უხელო სხეულის ზედა ნაწილი კონუსური მოყვანილობისაა და სახე მკერდი აქვს; ღეროსებური კისერი დაგრძელებულია და მთავრდება დაბრტყელებული თხემით. მეორე ფიგურა კიდევ უფრო სტილიზებულია და ჭდეებით არის შემკული. აქვეა ნაპოვნი ფიგურათა ფრაგმენტები.

საკმაოდ მრავალადაა ანთროპომორფული ქანდაკებები ქასუნას კულტურის ძეგლებზეც. ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები ამ მხრივ მოხდა უკანასკნელ წლებში ტელ-ეს-სავანის გათხრების დროს. ამ ძეგლის სულ ქვედა „არქაული ქასუნას ტიპის“ კერამიკის შემცველ ფენაში, რომელიც თარიღდება ძვ. წ. VI ათასწლეულის შუა ხანებით, და მის ქვეშ მდებარე სამარხებში, ნაპოვნია ქვისა და თიხის ფიგურების უნიკალური სერია. აქ არის როგორც ფეხზე მდგომი, ისე მუხლებში ჩაკეცილი ან მჯდომარე, შედარებით რეალისტური და, აგრეთვე, სტილიზებული ქანდაკებები. როგორც შემოთ უკვე აღვნიშნეთ, ერთის გარდა ყველა გამოსატყავს ქალს. უმრავლესობა ხელბიანია, ყურადღებას იქცევს აგრეთვე თავების მოდელირება — კონუსური მოყვანილობის თავებს გააჩნია მკაფიოდ გამოყოფილი სახის სიბრტყეები, წარბები და ინკრუსტირებული დიდი თვალები; თხემზე მათ ადევთ კონუსური თავსაბურავი. მსგავსი თავები აქვს იარიმ-თუფე I-ში ნაპოვნი ორ ფიგურას. როგორც ვიცით, ზოგადად ასეთივე ნიშნებით გამოირჩევა ხრამის დიდი გორის ნატურალისტური ფიგურების თავები.

შედარებით მოკვიანო ხანისაა პალაფის კულტურის ძეგლებზე მოპოვებული ანთროპომორფული ფიგურები (ტელ-პალაფი, არაჩია და სხვ.). აქ მათი მრავალი ტიპია — ნატურალისტური, მჯდომარე — ფეხებგაჭიმული, მუხლებანუღელი, აგრეთვე — მეტად სტილიზებული ე. წ. ვილინოს ტიპისა და კიდევ უფრო მარტივი. პოზითა და კორპუსის ფორმების მოდელირებით ხრამის დიდი გორის ნატურალისტური ფიგურები ყველაზე მეტად ჰგავს ზოგიერთ პალაფურ ნატურალისტურ ქანდაკებას, კერძოდ — არაჩიაში და თუფე გავრას უძველეს ფენებში აღმოჩენილ ვგზემპლარებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც. მაგალითად, სრულიად სხვაგვარადაა მოდელირებული პალაფური სკულპტურების თავები; გარდა ამისა, ამ ტიპის ზოგიერთ ქანდაკებას ხელემიც გააჩნია. ისიც აღსანიშნავია,



სურ. 11

რომ ქალაქური ხანის ამ ქანდაკებების პირისახის ნაკეთები და ზოგიერთი დეტალები — სამკაულები, ქორიზონტალური ხაზები ფეხებზე და სხვა — გამოხატულია შავი ან სხვა ფერის საღებავით.

ობეიდის ხანაში, ე. ი. ძვ. წ. IV ათასწლეულის დამდეგიდან მკვიდრდება სრულიად განსხვავებული ტიპი — ფეხზე მდგარი, ფართო მხრებიანი, რომელსაც ადრეული ხანიდან უნდა ჰქონდეს შემორჩენილი თავის წაწვეტილებული მოყვანილობა, პირისახის ორი სიმბრტყით გადმოცემა და დიდი თვალეზი. მაგრამ, როგორც ჩანს, არსებითად, ჩვენ ფიგურებთან მათ საერთო არაფერი აქვთ.

როგორც ვნახეთ, უძველესი დროიდან მოკიდებული თანაარსებობს ანთროპომორფული ფიგურის არაერთი ტიპი, ნატურალისტურიდან უკიდურესად სტემატურამდე. ამას იმით ხსნიან, რომ კარგად დამუშავებული ცალები განსაკუთრებული მნიშვნელობის რიტუალისთვის მზადდებოდა, მარტივებს კი — უფრო ფართო გამოყენება ჰქონდა. ამდენად, ცალკეული ქანდაკება, თავისთავად, არ გამოდგება მტკიცე დასკვნების გამოსატანად. საამისოდ საჭიროა მათი სერია და, ცხადია, ნივთიერი მასალების მთელი კომპლექსი.

სწორედ ასეთი სერიაა აღმოჩენილი ხრამის დიდ გორაზე. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ამიერკავკასიის ადრესამიწათმომქმედო კულტურის კვლევისათვის. მათი გულდასმით შესწავლა მომავლის საქმეა. ჯერჯერობით მხოლოდ ზოგიერთი წინასწარული დასკვნის გაკეთება შეიძლება, კერძოდ: მთლიანად, მულავერ-შომუთუფეს კულტურის ანთროპომორფული მცირე პლასტიკა შედის წინა აზიურა კულტურების წრეში; ის მეტნაკლებად უკავშირდება ჩრდილო მესოპოტამურ და





ჩრდილო ირანულ ძეგლებს, ნაკლებად ჰგავს მცირე აზიურს და სრულიად განსხვავდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კულტურის წრის ანალოგიური ძეგლებსაგან.

ზემოთ მოყვანილი ზოგადი თუ კერძო პარალელები დამატებით საბუნთს გვაძლევს, როგორც საკუთრივ ხრამის დიდი გორის, ისე მთლიანად ცენტრალური ამიერკავკასიის, შულავერ-სომუთფეხს კულტურის აბსოლუტური თარიღის დაზუსტებისათვის. კერძოდ, ხრამის დიდ გორაზე მოპოვებული რეალისტური ფიგურები პირისახისა და თავის მოყვანილობით უახლოვდება ჰასუნას კულტურის ამგვარსავე სკულპტურას, ხოლო პოზითა და ტანის მოდელირებით — ქალაფის კულტურის მცირე პლასტიკის შესაბამის ნიმუშებს; ამრიგად, უნდა დავეუშვათ, რომ ჩვენს ძეგლს შუალედური ქრონოლოგიური ადგილი უჭირავს აღნიშნულ ორ კულტურას შორის და თავსდება ძვ. წ. V ათასწლეულის შუა ხანებში.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარებზე აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ძეგლები წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ ხელოვნების უძველეს ნიმუშებს.

რედაქტორი

**სპეციალური**

მღონარის პირას  
 დგამარ ტაძარი,  
 გუმბათს ვივერცხლავს  
 მთუარე დახრილი,  
 რამდენი  
 მწველი  
 ფიქრი  
 დასტარი  
 წარსულთა ღრთთა გამოძახილი.  
 განადგურებას ვინ არ გიქაღლა  
 ეღლებს გინგრველნენ,  
 ფრესკებს გიშლიდნენ.  
 რამდენი ომი გადაიხადე,  
 რომ მოგებოვა გრძელი სიმშვიდე...  
 შენს ძლიერებას  
 რა ან ვინ წაშლის,  
 საუკუნეთა  
 იშვებ ნახმლევს,  
 ისე ჩაეიდნენ  
 მტრები მიწაში,  
 რომ წაქცეული ერთხელ ვერ განახეს!



თონა და ხენა ეკვიპტეში ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს

ტარიელ ჩუბინიშვილი

## ახალი მასალები ქვემო ქართლის აღმოსავლეთითა და კულტურის ისტორიისათვის


1972 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ველიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო მონაპოვარი მასალის კამერალური დამუშავება. სოფ. არახლოსთან (ვახუშტისეული ნახიდური) ძვ. წ. V—IV ათასწლეულისადმი მიკუთვნილ სხვა მასალებს შორის ერთ-ერთ ნამოსახლარზე აღმოჩნდა ტოტემ წაჭრილი ირმის რქის ტოტი, რომელიც დასამუშავებლად გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელს ო. ბენდუქიძეს.

ამ რქის ტოტის წმენდისა და ლაბორატორიული დამუშავებისას ო. ბენდუქიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 67 სმ. სიგრძის მქონე ირმის რქის წვერწაჭებილი ბოლო 10—15 სმ სიგრძეზე ნაპრიალებია, რაც შესაძლოა მისი მიწასთან შეზების შედეგი ყოფილიყო. ისიც ჩანდა, რომ ბოლო ნაწილის წაჭევის შემდეგ ეს ნივთი კვლავაც ხმარებაში ყოფილა, რის გამოც მონატები გადალესილია. ამან ო. ბენდუქიძე იმ მოსაზრებამდე მიიყვანა, რომ ეს რქის ტოტი, რომელიც კეთილშობილ ირემს ეკუთვნის, სახვნელ იარაღად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ჩვენი თხოვნით ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი ჯალაბაძემ ამ საგარეულო იარაღის რეკონსტრუქციის თრი ცდა მოგვცა. ორივე რეკონსტრუქციაში იარაღი ისეა წარმოდგენილი, რომ ერთგვან შერჩენილი აქვს სახელური და კბილა. ერთ შემთხვევაში დაშვებულია, რომ მას გამწვევი ძალა ხარ-უღელი ეწეოდა და ამ დროს მას ხის მხარი უნდა აქონოდა. მეორე შემთხვევაში კი დაშვებულია, რომ გამწვევ ძალად თვით ადამიანი უნდა ყოფილიყო და მასზე შესაძლოა იარაღს ღვედი ეჭებოდა მიზნული, ეს უკანასკნელი დაშვება ემყარება დაღესტნურ პარალელს, რომელიც ყველაზე პრიმიტიულ სახვნელ იარაღს წარმოადგენს<sup>1</sup>.

სხვა ეთნოგრაფიული პარალელების ძიების დროს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქვემო და ზემო ქართლში გავრცელებული ყველაზე არქაული სახვნელი — ერთგვანი დაბალი იარაღი (მისი სიგრძე 75 სმ უდრის)<sup>2</sup> და ზუსტად ეტოლება აღდგენილი რქის იარაღს, რომელზე დაწოლითაც შეიძლებოდა მიწის მოხვნა. არუხლოს სამოსახლოზე მიწის დამუშავებისათვის უთუოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვისა და რქის წერაქვისებური და თოხისებური საჩიჩქნი იარაღი, რომელთაგან პირველი სახის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი



ირმის რქისაგან დამზადებული სახენელი იარაღი


თოხს სამუშაო პირი ისევე აქვს წაწვეტებული, როგორც შემოთ განხილულ ირმის ტოტს — ერქვანს.

ამიტომ სრულიად არაა გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელი „საწერავი“ იარაღის უფრო განვითარებულ სახეობას წარმოადგენდეს. და მართლაც, ეს სახენელი იარაღი უთუოდ სხვა არაფერია, თუ არა საწერავი, რომლითაც მხოლოდ უკვე მოთოხნილ მიწაზე კვალის გავლება შეიძლებოდა. მიწის ჯერ მოთოხნა და შემდეგ კავწერით მოხენა დადასტურებულია ეგვიპტეში ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს სამარხის ერთ-ერთ კედელზე მოხატულ ფრისზე. იქ თოხები და სახენელი იარაღი ხის უნდა ყოფილიყო.

ბ. ანდრიანოვი ფართოდ იხილავს სარწყავ სისტემაში გამოყენებულ მიწის დასამუშავებელ სხვადასხვა სახის იარაღებს და რეკონსტრუირებული სახით წარმოგვიდგენს ჯერ კიდევ ნეოლითური ხანის ქვის თოხებს. ჩანს, რომ ამ იარაღის ძირითადი ფუნქცია ყოფილა მიწის დაშლა, რომლის შემდეგ, თესლის მიწაში ჩაყრის წინ, კვალის გატარება უნდა ყოფილიყო აუცილებელი.

თუ როდის წარმოებდა მოთოხნა და დაკვლევა-თესვა ამაზე სხვა მონაცემები მიგვანიშნებენ.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის პალეობოტანიკურ ლაბორატორიას არუხლოს ნამოსახლარიდან გადაეცა შესასწავლად ალიზის ხუთი



სახველი იარაღის აღდგენის  
კვა (გ. ჭალაბაძე)

აგური. მათი სათანადო დაშლა-დამუშავების შემდეგ ინსტიტუტის თანამშრომელმა ლ. პრიშკოპენკომ აღმოაჩინა კულტურული მცენარეებისა და სარეველა ბალახის მეტად მრავალრიცხოვანი ნაშთები.

კულტურული მცენარეები წარმოდგენილია ღომის ღომით, სამი სახეობის ქერით, რომელთაგან აღსანიშნავია ექვსწკრავა ქერი, ჯუჯა ზორბალით. *Triticum compactum* Host და რბილი ხორბალით *Triticum aestivum* L; რამდენიმე ათეულს აღწევს მათი თანმშლები სარეველა ბალახი, რომელიც ხარობს მიწის დამუშავებულ, სათვის ფართობებზე. ამათგან წყენთუის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი სახის ყაყაოს ნაშთი — *Papaver rhoeas* *Papaver hybridum* L. *P. argemone* L., var *hybridum* Schach. *P. Hispidum* Lam, რადგან ორივე ნათეს ფართობებზე იზრდება და პირველი მათგანი — განსაკუთრებით: საგაზაფხულო თესვის პერიოდში. ჩანს, რომ განსხვავებით ზოგიერთი სარეველა ბალახებისაგან, რომლებიც საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის თანმშლებია, აღნიშნული სახეობის ყაყაო საგანგებოდ მიგვანიშნებს საგაზაფხულო თესვაზე, როდესაც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სათვის ფართობების მორწყვა. ირიგაციის არსებობას აღნიშნულ ხანაში სხვა ბოტანიკური მონაცემებიც ადასტურებს. ამის მოწმობაა მრავალ ანუ ექვსწკრავა ქერის აღმოჩენის ფაქტი, რადგან ეს უკანასკნელი ორმწკრავა ქერის ირიგაციის პირობებში მუტაციის შედეგს წარმოადგენს და ადრეულ ხანაში მხოლოდ მორწყვის პირობებში ხარობს.

ყოველივე ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ საკუთრივ სამოსახლოს გარშემო აღმოჩენილია ე. წ. „სველი“ თხრილებიც. ეს „სველი“ თხრილები იმავე დროის არსების განმტკიცებანი უნდა იყოს და მიგვითითებენ უთუოდ იმ გარემოებაზე, რომ, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, არუხლოს ევლა უხსოვარი დროიდან ირწყვებოდა.

ზემოაღნიშნული მონაცემები, მიგვანიშნებს, რომ არუხლოს მიდამოებში ინტენსიური მიწათმოქმედება ვითარდებოდა და ცხოვრება პროგრესული იყო. ცხადია, ამა უნდა ადასტურებდეს ამ ცხოვრების პირობებში წარმოქმნილი კულტურა, ნივთიერი ძეგლებიც, რომელთა ჯეროვანი შესწავლა მხოლოდ ახლახან დაიწყო.

არუხლოს და ქვემო ქართლის სხვა პუნქტებში მოპოვებული ამავე დროის ძეგლები, მიუხედავად თავისი არაქული ცხოვრების იერისა, საკმაოდ რთულ პირობებს ავლენენ. მათ მიხედვით დასტურდება, რომ: ამ დროისათვის უკვე სცილდნათ სოფლების თხრილებით გამაგრება (არუხლო I); — აქვთ საკულტო ნაგებობანი (იმირის გო-

რა) და ქმნიან კიდევ ხელოვნების ნიმუშებს. რომლებიც ანსახიერებენ ქალებს, მამაკაცებს და ცხოველებს.

მაგრამ მაინც ყველაზე არსებითი ის არის, რომ უკვე ძვ. წ. V—IV საუკუნეებში მიწათმოქმედი მოსახლეობა მიჰყვება ისეთ ბინადარ, მკვიდრ ცხოვრებას, რომელიც ბევრად დაცილებულია სამიწათმოქმედო კულტურის საწყის ეტაპებს, რაც ე. წ. ნეოლითური რევოლუციის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს ის ხანაა, როდესაც ადამიანი უკვე ეცნობა ლითონს და იწყებს ისეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომლის თითქმის ყველა დარგში შრომის შესვეურად მამაკაცი ჩანს და მატრიარქალურ გვარს მტკიცე საფუძველი ეყრება.

<sup>1</sup> ეს ეთნოგრაფიული მასალა მოგვაწოდა გ. ჭალაბაძემ.

<sup>2</sup> გ. ჭალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიისათვის. თბილისი, 1960 წ.

საკაქიას მღვიმე

საქართველო და განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი მდიდარია კარსტული მღვიმეებით, რომლებიც პირველყოფილი ადამიანის თავშესაფარს — მღვიმე-საცხოვრისებს წარმოადგენდნენ.

ამათგან საკაქიას მღვიმე<sup>1</sup> პირველი ძველია კავკასიაში, რომელშიც აღმოჩნდა ზედაპალეოლითური დროის კულტურული ნაშთები. აღნიშნული მღვიმე 1914 წელს გათხარეს უცხოელმა მეცნიერებმა რ. შმიდტმა და ლ. კოზლოვსკიმ, რომლებმაც საკაქიას მღვიმეს გერმანელი მეცნიერის რ. ვირხოვის სახელი უწოდეს.<sup>2</sup>

მათ მიერ აღმოჩენილი პალეოლითური ნაშთები დაკულია ქ. ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ქვის ხანის ფონდში. (საინვენტ. № 3264, 5254.)

რ. შმიდტს და ლ. კოზლოვსკის გაუთხრიათ არქეოლოგიურად ყველაზე საინტერესო ადგილი, დაახლ. 35-38 კვმ ფართობი.

სამწუხაროდ, მათი გათხრებიდან არ ირკვევა ფენათა სტრატეგრაფიული სურათი, არაფერია ცნობილი მღვიმის ჭრილების შესახებ. მასალები მოკლებულია სავსე დოკუმენტაციას. მღვიმურ დანალექებში კულტურული ნაშთების გავრცელების შესახებ ერთადერთი მითითება არის საერთო ეტიკეტებზე, საიდანაც ირკვევა, რომ მთელი მასალა დაყოფილია სამ ჯგუფად: I კერა, II კერა, წითელი ფენა. ამავე დროს ეტიკეტებიდან გარკვეულია მიეკუთვნება თუ არა I და II კერები წითელ ფენას თუ მათი დაყოფა გამოწვეული იყო მათი განსხვავებული სტრატეგრაფიული მდგომარეობით, ე. ი. იქნებ ისინი წარმოადგენდნენ ცალკეულ განსხვავებულ ფენებს სტრატეგრაფიულ ჭრილში.

თუმცა რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მიერ მოპოვებული მასალების სამ ჯგუფად დაყოფა მათი რეგისტრაციისა და შემდგომ დაცვისას შემონახული იყო, ს. ნ. ზამიატინის საკაქიას მღვიმის კულტურული ფენიდან მიმდინარე პალეოლითური ნაშთების დახასიათებისას სამივე ჯგუფის მასალებს ერთიანად განიხილავს და აღნიშნავს: „...ნათლად ჩანს, რომ აქ საქმე უნდა გვექნდეს ერთ კულტურულ ფენასთან“<sup>3</sup>.

1936-37 წლებში საკაქიას მღვიმეში სისტემატიური არქეოლოგიური გათხრები აწარმოა პროფ. გ. ნიორაძემ.<sup>4</sup> გათხრების შედეგად ნათელი გახდა ფენათა სტრატეგრაფია, მათი სტრუქტურული შემადგენლობა. შესასვლელიდან 15 მ-ის დაშორებით, იმ ადგილას, სადაც მღვიმის განი 4,5 მ-ს აღწევს, გაკეთდა განივი ჭრილი.

პირველი ფენა, მოშავო ფერის, შეიცავს ახალი დროის ნივთებს, ძვლებს, კირქვის ნატეხებს, სისქე — 39 სმ.

მეორე ფენა, მოყავისფრო, შეიცავს ახალი დროის ძველ ფრაგმენტებს და კირქვების ნამტვრევებს, სისქე — 51 სმ.

მესამე ფენა, მოწითალო ფერის, სტერილური ფენაა, სისქე — 65 სმ.

მეოთხე ფენა, მოშავო ფერის, ნახშირის ნიშნებით, კულტურული ნაშთების (ზე-



სურ. 1

დაპალეოლითური დროის) შემცველია. ფენა თითქმის მთლიანად შავი ფერისაა და ადვილად გასაჩნევია, სისქე — 41 სმ.

მესუთე ფენა, აყალო მიწის ფენა, სტერილურია.


ირაკვევა, რომ საკაქიას მღვიმეში დადასტურებული იყო ერთი ზედაპალეოლითური კულტურული ფენა. ამ ფენიდან მომდინარე მასალა კაქისა და ობსიდიანის, ასევე ძვლის იარაღები და წარმოების ნაშთები, აგრეთვე ფაუნისტური მასალა ქრონოლოგიურად ერთ დროს განგკუთვნება, კერძოდ, ზედაპალეოლითის შუა საფეხურს.<sup>5</sup>

1934 წ. საკაქიას მღვიმე მოინახულა ს. ნ. ზამიატინმა. მას თავისი დაკვირვებანი აღნიშნული მღვიმის სტრატეგრაფიისა და კულტურული ნაშთების განლაგების შესახებ მოცემული აქვს ნაშრომში «Палеолит Западного Закавказья».

ს. ნ. ზამიატინი შეეცადა დაედგინა სტრატეგრაფია. მან ვერ გამოყო ერთმანეთისაგან ასაკით განსხვავებული კულტურული ფენები.

მღვიმის შესასვლელიდან დაახლ. 10 მ სიგრძეზე, რ. შმიდტის გათხრების შედეგად, კარგად იყო შემონახული თითქმის ვერტიკალური კედელი, რომელიც შემდეგ ჭრილს იძლეოდა:

პირველი ფენა, კუმუსის, ზედაპირული ფენა, დანაგვიანებული, შეიცავს გვიანდელი დროის თიხის ტურქლის ფრაგმენტებს, სისქე — 30-35 სმ.



სურ. 2

მეორე ფენა, მოწითალო-მოყავისფრო თიხა, მცირე რაოდენობის კირქვის ნამტვრევების ჩანართებით, არ შეიცავს კულტურულ ნაშთებს, სისქე — 1,5 მ.

მესამე ფენა, პალეოლითის დროის ნაკერალი, ინტენსიურად შეღებილია შავ ფერად. ფენა დიდი რაოდენობით შეიცავს კაფის იარაღებს და ანატკეც-ანამტვრევებს, ძვლის ფრაგმენტებს, ნახშირის ნამცეცებს და ა. შ., სისქე — 30-35 სმ.

მეოთხე ფენა, მოწითალო-მოყავისფრო თიხა, კირქვის ნატეხების შემცველი, მეორე ფენის თიხის მსგავსი, სისქე — 20 სმ.

როგორც ვხედავთ, გ. ნიორაძისა და ს. ზამიატინის მიერ შედგენილი სტრატიგრაფია ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავებაა ფენათა რაოდენობაში, რაც გამოწვეულია იმით, რომ გ. ნიორაძისეული სტრატიგრაფიის მეორე და მესამე ფენები ს. ზამიატინისეულ სტრატიგრაფიაში წარმოდგენილია ერთ (მეორე) ფენად.

ნათლად ჩანს, რომ ზედაპალეოლითური მასალები მომდინარეობს მესამე კულტურული ფენიდან.

საკაყიას მღვიმის მასალებს (როგორც ქ. ლენინგრადის, ასევე ქ. თბილისის კო-



ლექციებს) გაეცნო აგრეთვე პოლონელი მეცნიერი იანუშ კოზლოვსკი. მან გამოაქვეყნა სტატია: „საკაეიას მღვიმის სტრატეგრაფია და მისი მნიშვნელობა საქართველოს გვიანი პალეოლითის ქრონოლოგიისათვის“, რომელშიც აღნიშნავს: „...ქ. ლენინგრადის მასალების ზედამხედველი გადასინჯვა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ცალკეული სტრატეგრაფიული ერთეულები, რომლებიც გამოყოფილია რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მიერ, იარაღთა ჯგუფების, აგრეთვე წამყვანი ფორმების ტიპოლოგიის მიხედვით, არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს ეხება პირველ რიგში კომპლექსებს — „წითელი ფენა ქუმუსის ქვეშ“, „კერა I და II“, აგრეთვე „თიხა კერის ქვეშ“. ეს ეწინააღმდეგება ს. ზამიატინის აზრს (1957), რომელიც ამგვარი ჯგუფების გამოყოფას განსხვავებული სტრატეგრაფიული ფენების საფუძველზე, აგრეთვე მასალის მიხედვით, შეუძლებლად მიიჩნევს. ი. კოზლოვსკი იქვე აღნიშნავს: „...ცალკეული კომპლექსების ტიპოლოგიურ-სტატისტიკური განსხვავება, აგრეთვე მათი კავშირი გ. ნიორაძისეულ ჭრილთან, საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ცალკეული სტრატეგრაფიული კომპლექსების გამოყოფა რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მიერ მართებული იყო.“

შმიდტისეული და ნიორაძისეული კოლექციების შედარებისას ი. კოზლოვსკი ასკვნის: „დიდა მსგავსება შმიდტისეულ კერა I და კერა II ინვენტარსა და გ. ნიორაძის მიერ შეგროვილ მასალას შორის“ და გ. ნიორაძისა და ს. ზამიატინის საწინააღმდეგოდ იგი აღნიშნავს: „... ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ საქმე გვექნა ერთი ფენიდან მომდინარე (ნაკერალი ფენა გ. ნიორაძის და ს. ზამიატინის მიხედვით) ერთ მთლიან მასალასთან.“

საკაეიას მღვიმის მასალების შესწავლა ჩვენც გვხვდა წილად. ამის აუცილებლობა გამოწვეულია ერთი მხრივ იმით, რომ ფიზიკურად ერთმანეთისაგან გათიშული, ერთი მღვიმედან მომდინარე ეს დიდძალი მასალა საჭიროა ერთად იყოს თავმოყრილი და ერთიანად გააზრებული და მეორეს მხრივ იმითაც, რომ გაირკვეს ძველის სტრატეგრაფია და სწორი წარმოდგენა შეიქმნას მის ქრონოლოგიაზე.

ჩვენ ვერ დავთანხმებით ი. კოზლოვსკის, რომელიც ეჭვს გამოსთქვამს მასალის ერთიანობის შესახებ და აღენიშნავთ, რომ როგორც რ. შმიდტის, ასევე გ. ნიორაძისეული კოლექციიდან მომდინარე მასალები სრულიად ერთგვაროვანია და ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ისინი ერთი კულტურული ფენიდან მომდინარეობენ.

მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ არ ჩანს არავითარი ტიპოლოგიურ-სტატისტიკური განსხვავება ცალკეულ კომპლექსებს შორის, უფრო მეტიც, აღნიშნული კომპლექსების იარაღთა ტიპები სრულიად ერთგვაროვანია, მსგავსია აგრეთვე ცალკეულ იარაღთა ტიპების რაოდენობრივი შეფარდებებიც.

ხოლო რაც შეეხება ი. კოზლოვსკის აზრს, რომელიც ცალკეული კომპლექსების ტიპოლოგიურ-სტატისტიკურ განსხვავებას უკავშირებს გ. ნიორაძის მიერ ჭრილში გამოყოფილ ფენებს და რ. შმიდტისეული მასალის სამ ჯგუფად დაყოფას მართებულიად მიიჩნევს ჭრილში გამოყოფილი ლითოლოგიურად განსხვავებული ფენების საფუძველზე, იგი სრულიად მიუღებელია.

ნივთიერი მასალების შესწავლის პარალელურად, საკაეიას მღვიმის დღემდე არსებული სტრატეგრაფიის დაზუსტების მიზნით, 1971 წლის შემოდგომაზე საშუალება მოგვეცა მღვიმეში მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაგვეტარებინა.

რამდენიმე სიტყვა თვით მღვიმის შესახებ.



საკაეიას მღვიმე მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, მდ. წყალწითელას მარცხენა ნაპირზე, ურგონულ კირქვიან კლდეებში (სურს.). იგი მოწამეთას მონასტრიდან დაცილებულია ერთი კილომეტრით. შესავალი ოვალური მოყვანილობისაა და სმხრეთ-დასავლეთით არის მიმართული (სურ. 2). საკაეიას მღვიმე მდ. წყალწითელას დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობს (დაახლ. 65 მ.). მისი შესავლიდან ფართო პირიზონტი იშლება და ფერსათისა და უსუთის მთები მოჩანს.

მღვიმედან ჩრდილო-აღმოსავლეთით პირველი სოფელი გოდოგანია (ამ სოფელს ეკუთვნის თვით მღვიმეც) ჩრდილოეთით მოწამეთა და გელათი, დასავლეთით — ქუთაისი, რომლისგანაც დაცილებულია დაახლოებით 4 კმ-ით, სამხრეთით — ოდილოური და ჭოგნარი.

მღვიმის ირვვლივ პატარა ხშირი ტყეა. მღვიმის თავზე პლატოა. საკაეიას მღვიმე მდ. წყალწითელას ხეობიდან ძნელი მისადგომია. გაცილებით ადვილად მიუდგება მას კაცი ზევიდან, პლატოდან, სადაც მიმდინარეობდა ალბათ პალეოლითური დროის მონადირის ძირითადი საკმთანობა.

მღვიმის შესასვლელი ჩვენი იქ მისვლის მომენტში შენიღბული იყო ბუჩქოვანი მცენარეებით, ამიტომ მღვიმის მიკნება არც თუ ისე ადვილი შეიქნა.<sup>6</sup>

მღვიმის სივანე შესასვლელთან 4,5 მ-ია, სიმაღლე 6 მეტრამდე, ხოლო სიგრძე დაახლოებით 20 მეტრია. მას არ აქვს არც თანაბარი სივანე და არც თანაბარი სიმაღლე.

საკაეიას მღვიმეს ნათლად ეტყობოდა წარმოებული არქეოლოგიური განათხარის კვალი. მღვიმის კედლებზე შემორჩენილი ნიშნებით ნათლად ირკვევა, რომ მიწა 2-2,5 მ სიღრმეზე უთხრიათ. გათხრილია დაახლოებით 80-90 კვ. მეტრი ფართობი.

ცხადია, ჩვენი ყოველგვარი ცდა, გვენახა მღვიმეში წარმოდგენილი ყველა ფენათა ჯერტიკალური განლაგების სურათი, უშედეგო გამოდგა.

მღვიმის მცირე მონაკვეთზე, მის მარჯვენა მხარეს, იმ ადგილას, სადაც მისი განი 2,5 მეტრს აღწევს და რომლის შემდგენაც იწყება ვიწრო ევლი, კედელთან, მივაგენით კულტურულ ფენას, რომლის სისქე 25 სმ-ია. აღნიშნულ ფენას ზემოდან დაახლ. 10 სმ სისქის ბრეჩიად ქვეული ფენა გახდევდა.

კულტურული ფენა შავი ფერისაა. იგი თიხნარია, რომელსაც ურევია ნახშირის ნამცვეები. აღნიშნული ფენა შეიცავს ზედაპალეოლითის დროის კაჟის იარაღ-ანატეცებს და ფაუნის ნაშთებს ცხოველის კბილისა და ლულოვანი ძვლის ფრაგმენტის სახით. კულტურული ფენის ქვეშ მოყავისფრო თიხნარია სტერილური, რომელიც ძალზე დიდი რაოდენობის კირქვის ნატეხებს შეიცავს და უშუალოდ კლდოვან საფუძველზე მდებარეობს.

საკაეიას მღვიმეში როგორც ადრე, ასევე შემდეგ პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შედეგად ნათელი გახდა აქ გამოვლენილ ფენათა შემდეგი თანამიმდევრობა: პირველი კუმუსის ფენა, მოშავო ფერის, კირქვის ნატეხების ჩანართებით შეიცავს გვიანი დროის თიხის ტურჭლას ფრაგმენტებს, ძვლებს, სისქე — 30-40 სმ. მეორე ფენა, თიხნარი, მოყავისფრო, კირქვის ნატეხების ჩანართებით, გვიანი პერიოდის ნაშთების შემცველი, სისქე — 51 სმ.

მესამე ფენა, თიხნარი, მოწითალო-მოყავისფრო, მცირე რაოდენობის კირქვის ნატეხების ჩანართებით, სტერილური, სისქე — 65 სმ.

მეოთხე ფენა, თიხნარი მოშავო ფერის, ნახშირის ნამცვეების ჩანართებით, ზედაპალეოლითური ეპოქის ნაშთების შემცველი, სისქე — 30-40 სმ.



მეხუთე ფენა, თიხნარი, მოწითალო-მოყავისფრო, კირქვის ნატეხების ჩანართებით, სტერილური.

ამრიგად, საკაეიას მღვიმიდან მომდინარე მასალების შესწავლამ, აგრეთვე მსგავსი ტიპის მღვიმეებში ანალიზმა, ნათელი გახადა ზედაპალეოლითური დროის ერთი კულტურული ფენის არსებობა, რომლის მასალები — კაეის, თხიდიანის და ძელის იარაღები და ანატექე-ანამტერეები, აგრეთვე ფაუნისტური ნაშთები (როგორც ქ. ლენინგრადის, ასევე ქ. თბილისის კოლექციებიდან) — ჭრონოლოგიურად განეკუთვნება ერთ ეპოქას, კერძოდ, მათ გარკვეული ადგილი უკავიათ ზედაპალეოლითის შუა საფეხურის ძეგლებს შორის.

საკაეიას მღვიმესა და მის შემოგარენში საჭიროა კიდევ ჩატარდეს დამატებითი გათხრები — მღვიმეში და მის შესასვლელთან, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით ვილაპარაკოთ აქ გამოვლენილი ნივთიერი კულტურის შესახებ.

1. ადგილობრივი მცხოვრებლები მღვიმეს უწოდებენ საკაეიას, რადგანაც მასზე დიდი რაოდენობით არსებობს კაეი.
2. მათ მიერ ჩატარებული გათხრების შესახებ ცნობას ვკითხულობთ ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში, რომელშიც 1918 წ. ვიურტემბერგის ანთროპოლოგიურ წრეში წაკითხული მოხსენების მოკლე შინაარსი დაბეჭდილია რ. შმიდტის მიერ.
3. С. Н. Замятин, Палеолит Западного Закавказья, сборник МАЭ, т. XVII, М.-Л. 1957.
4. მასალები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის ფონდში, საინვენტარო № 2-55.
5. გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაეიას გამოქვაბულში, თბ. 1953.
6. საკაეიას მღვიმეში წარმოებულ მუშაობაში დიდი დახმარება გაეციწიეს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა მ. ნიკოლეიშვილმა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტმა ო. ლანჩავამ.

## კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სპეციალური წინასწარი შედეგები

არქეოლოგიური თვალსაზრისით კახეთის გვეგმაზომიერი შესწავლა დაიწყო მხოლოდ მიმდინარე საუკუნის სამოციანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც აქ, ახალმშენებლობებთან დაკავშირებით, 1964 წ. დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია.<sup>1</sup>

ექსპედიციის მუშაობას მატერიალურ ბაზას უქმნის საქართველოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის და ალაზნის ველის მელიორაციული გაუმჯობესების მშენებლობები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი მასალა მუშავდება კახეთის სიძველეთა შემსწავლელ სიღნაღის არქეოლოგიურ ცენტრში, სადაც სიღნაღის რაიონის ხელმძღვანელობამ ექსპედიციას მუდმივი სარგებლობისათვის გადასცა შესაფერისი შენობა.

1964 წლიდან მოკიდებული ექსპედიციამ სხვადასხვა მასშტაბის გათხრით სამუშაოები ჩაატარა რამდენიმე ათეულ ობიექტზე. მათი შედეგები დაბეჭდილია ექსპედიციის შრომების პირველ ტომში, დღეისათვის კი გამოსაცემად მომზადებულია კიდევ სამი ტომი.

ექსპედიციის მეცნიერული ინტერესი მოიცავს ისტორიულ პერიოდს — პალეოლითიდან მოკიდებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ სავლელ სამუშაოები მკაცრად განსაზღვრულია მშენებელთა ინტერესების შესაბამისად, ექსპედიციის მეცნიერული მუშაობის კარდინალური ხაზი მაინც წმინდა ისტორიული საკითხების შესატყვისადაა შემუშავებული. კერძოდ, ექსპედიციის უმთავრესი მეცნიერული პრობლემა გახლავთ კახეთის არქეოლოგიური რუკის შედგენა, მხარის მატერიალური კულტურის განვითარების ყველა ეტაპის გამოვლენა და შესწავლა, უფრო ზუსტად, მატერიალური კულტურის გენეზისის კვლევა და სხვ.

ექსპედიციაში სავლელ სამუშაოებს ოთხი რაზმი აწარმოებს (საჭიროების შემთხვევაში ექსპედიცია მხოლოდ ერთ ობიექტზე მუშაობს).

ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი სამუშაოებს ატარებს ძირითადად გომბორის ქედის ზონაში.

როგორც ცნობილია, კახეთში ქვის ხანის ძეგლების აღმოჩენა სათუოდ მიაჩნდათ, ვიდრე გარე კახეთში, ლაკბის ხევში არ აღმოჩნდა ქვედა პალეოლითური იარაღები (ნ. შ. ბერძენიშვილი), მაგრამ ეს აღმოჩენა ერთდერით იყო და კახეთის ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის ნაკვალევი ისევ გამოსააშკარავებული რჩებოდა. დღეისათვის კი, პირველი რაზმის გვეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, კახეთის ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ადამიანის ორ ათეულამდე ადგილსამყოფელია დადასტურებული, ერთი მათ შორის — ძველი ქვის ხანის ბოლო ეტაპისა.



ყველაზე მნიშვნელოვანია მუსტიეური ხანის ღია ტიპის ნასახლარ-სახელოსნოს აღმოჩენა სოფ. ზიარსა და ფხოველს შორის, გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ადრეული ძეგლი სრულიად უნიკალურია, რადგან მისი კულტურული ფენა დაუზიანებლად, თავდაპირველ განფენაში შემორჩა დღემდე.

1970 წელს ბოლომდე გაითხარა განამარხებული ჭუმუსის ქვეშ დაცული კულტურული ფენის ნაწილი, რითაც ფაქტიურად დასრულდა ამ ძეგლის წინასწარი შესწავლა.

ადრე და შუაბრინჯაოს ხანის შემსწავლელი რაზმის კვლევის ძირითად ობიექტს წლების განმავლობაში წარმოადგენდა მრავალფენიანი „ილტოს“ ნამოსახლარი (ახმეტის მახლობლად). ნამოსახლარის ქვედა ფენებმა (II, III, IV) საშუალება მოგვცა პირველად გაგვედევნებინა თვალი ადრებრინჯაოს ხანის კულტურის შუაბრინჯაოს ხანის კულტურაში თანდათანობით გადაზრდისათვის.

არანაკლები მნიშვნელობისაა რაზმის მიერ სოფ. შვინდიანში ალავერდის მახლობლად შესწავლილი საგვარეულო სამაროვანი. აქ ორ ცენტრალურ სამარხს გარშემო განლაგებული იყო რიგითი სამარხები. ცენტრალური სამარხები კამერიანია, ქვაყრილიანიც და გარშემოვლებული აქვს ქვის ფართო წრე. რიგითი სამარხები კი მცირე ქვაყრილიანი ორმოებია. მიცვალებულები წვანან მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით W ან NW. ერთ-ერთ ცენტრალურ სამარხში აღმოჩნდა უხეშ ქსოვილში შეხვეული მიცვალებული. ქსოვილი შვკრული იყო პირამიდალურთაყვიანი, მრგვალხუთუკოპათაყვიანი და თავმოკაული ბრინჯაოს 17 საკინძით.

მეორე ცენტრალური სამარხი კრემაციულია.

სამარხებში მდიდრული კერამიკული მასალა აღმოჩნდა. თიხის ტურჭელი უმეტესად სავარცხლისკბილისებური ნატიფი ორნამენტითაა შემკული. ზედაპირი შავი აქვს, ნაპრიალები, სარჩული — ღია ფერის. თიხის ტურჭელი და ლითონის ინვენტარი შვინდიანში გათხრილ სამარხებს შუაბრინჯაოს ხანით ათარიღებს.

კახეთში გათხრილი შუაბრინჯაოს ხანის სამარხებიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სადულას ველის ერთ-ერთმა გორასამარხმა (№ 2). რომელიც დაწინაურებულ პირს ეკუთვნოდა. აქ აღმოჩნდა თიხის ცამეტი ტურჭელი, ბრინჯაოს ქვაბი, ბრინჯაოს ყუნწიანი მახვილი; ოქროსა და ვერცხლის ორმოცდაათზე მეტი ნივთი და დაწნეხვით შემკული ტყავის ფრაგმენტები, რომლებიც ერთიანობაში, როგორც ჩანს, ოთხ „შტანდარტს“ წარმოადგენდა. აქვე გამოვლინდა ბატკნის მთელი ჩონჩხი და მსხვილფეხა საქონლის ძვლები დიდი რაოდენობით.

სადულას ველის მეორე გორასამარხი ფაქტიურად შუაბრინჯაოს ხანის პირველი მდიდრული სამარხია აღმოსავლეთ საქართველოში, რომელმაც ჩვენამდე გაუძარცვავად მოაღწია. სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილი უძველესია ცენტრალურ ამიერკავკასიაში მოპოვებულ ამ ტიპის ცნობილ იარაღთა შორის.


ყურადღებას იქცევს ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანიც, კერძოდ, მათი დამზადების ტექნიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს ოქროს მძივის ცვარათი შემკობა, რადგან ასეთი ტექნიკა დარჩილვას გულისხმობს და ხელოსნობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ადრეული სამარხის აღმოჩენას უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს. იგი, კავახეთში გამოვლენილ მის თანადროულ ძეგლებთან ერთად, უფლებას გვაძლევს გავაფართოოთ თრიალეთის კულტურის არეალი ჩრდილოეთითაც და ვამტკიცოთ, რომ



სადუღას № 2 გორასამარხში აღმოჩე-  
ნილი თიხის ჭურჭელი





სადუღას № 2 გორასამარხში აღმოჩენილი  
 შტანდარტის ოქროს შემკულობა

აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანაში არსებობდა ერთიანი მატერიალური კულტურა (რა თქმა უნდა, განსაზღვრული ნიუანსებით მისი გავრცელების სხვადასხვა რაიონში).

ამაზევე მიგვიითებს ალაზნის ველის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩენილი მრავალფუნქციანი ნამოსახლარებიც, რომელთა უმეტესობაზეც დადასტურებულია შუაბრინჯაოს ხანის ე. წ. თრიალეთური კულტურის კუთვნილი კულტურული ფენები. ეს ნამოსახლარები კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მომავალი მუშაობის უმთავრესი ობიექტი იქნება, რადგან თითქმის ყველა მათგანს განადგურება მოვლის ამ მიდამოებში მეცხოველეობის კომპლექსისათვის ნიადაგის შელიორაციული დამუშავების დროს.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანის შემსწავლელი რაზმი ფართო სამუშაოებს აწარმოებს კახეთის სხვადასხვა კუთხეში. რაზმმა შეისწავლა სამეთუნეო სახელოსნო ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე და ლითონდამამუშავებელი სახელოსნოს უბნის ნაწილი სოფ. ქვემო ქედში (შირაქში), გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ხუთ ნამოსახლარზე; გამოიკვლია დასახლებიდან მოშორებით არსებული, სხვადასხვა დროის ოთხი სამლოცველო, ათზე მეტ სამაროვანზე გამოავლინა და შეისწავლა სამასიოდე ორმოსამარხი და რამდენიმე გორასამარხი.

მოპოვებულ იქნა დიდალი მასალა, რომელმაც გარკვეული წარმოდგენა შეგ-

სადელას № 2 გორასამარხში აღმოჩენილი შტან-ტარტების ოქროს შემკულობის ნაწილები.







ვიქმნა გვიანბრინჯაოსა და რკინის ხანაში იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიის შექმნა-  
რთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე.

ბოდბეში გათხრილმა გორასამარხებმა, გულგულასა და გადრეკილში გამოვლენილმა მრავალსართულიანმა სამარხებებმა, სოფ. ჩალაუბანში გამოვლენულმა ორფენოვანმა ნაშობლარმა და ზოგიერთმა სხვა ძეგლმა მოგვცა იმის საფუძველი, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე უკვე კლად ვართი კულტურის განუწყვეტელი განვითარება ვიგულისხმობთ ძვ. წ. XV საუკუნეიდან ვიდრე ძვ. წ. VI საუკუნემდე. ზოგიერთი მონაცემების საშუალებით კი ჯერჯერობით წინასწარულად, მაგრამ მაინც საკმაოდ დაბეჯითებით, შეიძლება ვივარაუდოთ ანტიკური ხანის მატერიალური კულტურის კავშირი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის კულტურასთან.

მეტად არსებითია სოფ. ზემო ბოდბის მახლობლად, „დაცულ ტყესთან“ გამოვლენილი ე. წ. გარდამავალი პერიოდის გორასამარხების კომპლექსები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს აქამდე განცალკევებით მდგომი შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების ერთიმეორესთან დაკავშირება. თუ ბოლო დრომდე ამ ხანის კომპლექსები მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში თითქმის მხოლოდ თიბის ჭურჭლით იყო წარმოდგენილი, 1972 წ. ზემო ბოდბის № 4, 5, და 7 გორასამარხებში ბრინჯაოს წინააზიური სატყვერებიც აღმოჩნდა. მათი დეტალური დამუშავება, ეტყობა ამ დროის ძეგლთა აბსოლუტური დათარიღების საფუძველსაც მოგვცემს. ზემო ბოდბის გორასამარხები თანადროული მოსახლეობის აშკარა ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციასაც მიგვითითებს.

კახეთში მოპოვებული კერამიკული მასალის მიხედვით შესაძლებელი გახდა გამოგვეყო გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კუთვნილი ძეგლები და დაგვედგინა, რომ მათი მსგავსი მასალა გავრცელებული იყო მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, რა თქმა უნდა, განსაზღვრული თავისებურებებით ზოგიერთ რაიონში.

თუ გავიხსენებთ, რომ შუაბრინჯაოს ხანის კულტურა სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული და ერთიანი ნიშნებით ხასიათდებოდა, ხოლო შუა და გვიანბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდის მატერიალური კულტურა ადგილობრივ ფესვებზეა წარმომოხილი, მაშინ ეს მოვლენა, ვფიქრობთ, ადვილი ასახსნელი იქნება.

მაგრამ ეს ზოგადი ერთიანობა უკვე გვიანბრინჯაოს შუა — მეორე საფეხურზე ქრება და შესაძლებელი ხდება ერთ საფუძველზე წარმომოხილი, ერთი მეორისაგან მკვეთრად განსხვავებული ცალკეული კულტურების დადასტურება, რაც ჯერჯერობით ძირითადად ლითონის მასალის მოშველიებით ხერხდება, თუმცა კი ზოგიერთი იარაღი (მაგ. ე. წ. ცენტრალურ ამიერკავკასიური ცული) ამ ხანაშიც მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში ერთიან სახეს ატარებს, რაც მხოლოდ ძველი ერთიანობის გადმონაშთად უნდა მივიჩნიოთ.

გვიანბრინჯაოს ხანის მესამე პერიოდში — ე. ი. ადრერკინის ხანაში შეიქმნევა მატერიალური კულტურის უფრო მეტი დანაწევრება და მათი დამახასიათებელი ნიშნების კონკრეტიზაცია. მაგ. იორ-ალაზნის აუზში, სადაც გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე ერთი კულტურა არსებობდა, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულს მატერიალური კულტურის სამი ლოკალური — მონათესავე ვარიანტი ჩანს, რომელთა გავრცელების საზღვრები ემთხვევა ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული სამი უძველესი ტომის — კახების, კუხების და ქერების განსახლების ფარგლებს.



სოფ. ზემო პოდბე. ადგილი „ადიკული ტაე“. გორასამარხი № 7.

იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ უსწრებს წინ სახელმწიფოს წარმოშობას აღმოსავლეთ საქართველოში, ხდება მატერიალური კულტურის ნიველირება და ამის გამო ცალკეული ლოკალური კულტურების გამოყოფა არქეოლოგიური მასალით დაკავშირებულია გარკვეულ სირთულესთან.


ანტიკური და ფეოდალური ხანის შემსწავლელი რაზმი უმთავრეს სამუშაოებს აწარმოებდა ახმეტისა და თელავის რაიონებში. გაიწმინდა და გაითხარა გვიანფეოდალური ხანის მრავალი საცხოვრებელი კომპლექსი სამეურნეო სათავსოებითურთ — მარნით, საწნახლით, საჯინიბოთი. დიდი სამუშაოები ჩატარდა ადრეფეოდალური ხანის სამაროვნების შესწავლის თვალსაზრისითაც. გაითხარა და გაიწმინდა რამდენიმე ადრეფეოდალური ხანის ეკლესია. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გურჯაანის რაიონის სოფ. დარჩეთში აღმოჩენილი ეკლესია და იქ გამოვლენილი რელიეფებით შემკული ქვები (კანკელის ფრაგმენტები?).



ეროვნული

ბიბლიოთეკა

სოფ. დარჩეთი მხატვრულად დამუშავებული ქვა



სოფ. დარჩეთი მხატვრულად დამუშავებული ქვა

სადულას № 2 გორასამარხში აღმოჩენილი მახვილი



ბოლო ხანებში ექსპედიცია ფართო სამუშაოებს აწარმოებს ანტიკური ხანის ნა-  
მოსახლარებისა თუ სამაროვნების გამოსაველენად. გათხრები მიმდინარეობს სადულას  
ნამოსახლარზე. კახეთის სხვადასხვა კუთხეში გაითხარა ანტიკური ხანის არა ერთი  
და ორი სამარხი. მონაპოვარი მასალა სრულიად ახლებურად სვამს ამ ხანის მატერი-  
ალური კულტურის შესწავლის საკითხს, რადგან აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭელი,  
იალილე-თაფას კულტურისაგან განსხვავებით, გენეტიურ კავშირში ჩანს წინამორ-  
ბედ ადგილობრივ კულტურებთან.

სრულიად განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფ. ძველი ანაგის ჩრდი-  
ლოეთ, ალაზნის ველზე, გუმბათში აღმოჩენილი კირქვის დიდი სვეტის საფუძვე-  
ლი, რომელიც წინასწარულად აქემენიდური ხანით უნდა დათარიღდეს. ბაზა აღმოჩ-  
ნდა 80 მ. დიამეტრისა და 1 მ. სიმაღლის მქონე ბორცვის ცენტრალურ ნაწილში,  
1,20 მ. სიღრმეზე.

ეს არის აქემენიდური რიგის ხუროთმოძღვრული ძეგლის აღმოჩენის პირველი  
შემთხვევა ალაზნის ველზე და ამის გამოც გუმბათის გორა საგანგებო ინტერესს იწ-  
ვევს. შესაძლოა, 1973 წელს ამ გორაზე ანტიკური ხანის ბრწყინვალე ხუროთმოძღვ-  
რული ძეგლის აღმოჩენის მოწმენი გავხდეთ.

1. ექსპედიციის თანამშრომელთა ძირითად ბორცვს წარმოადგენს ხელმძღვანელი — კ.  
ფიცხელაური, შოადკილე შ. დედაბრიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები — ნ. მამაიაშვილი, თ.  
ბუგინაშვილი, ც. ჩიკოძე, ლ. კობახიძე. ა. ნეცუბიძე და აგრეთვე მოწვეული თანამშრომ-  
ლები — ზ. ქიქოძე, ბ. შაისურაძე, შ. კინჭერაშვილი, ვ. შინდიაშვილი, ბ. ჩოლოყაშვილი, ვ.  
ეარაზაშვილი, რ. რუსიშვილი, გ. გობეჯიშვილი, გერგანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის  
დირექტორი შ. უზუნაშვილი, მხატვრები — ა. ამბოიაშვილი, გ. ქობულაი, ვ. კანდელაკი, ფო-  
ტოგრაფი — ლ. სელიფასოვსკი, მძლარი — ქ. შვეციკი. დასახელებულ პირთა გარდა ექს-  
პედიციაში სხვადასხვა დროს სისტემატურად მონაწილეობენ — ისტორიის მეცნიერებათა  
კანდიდატები — დ. თუმბარამიშვილი, ი. კიკვიძე, ი. გაგოშიძე, ხელოვნებათმცოდნე — თ.  
საყვარელიძე, არქიტექტორი — ნ. აღმაზიშვილი და სხვ.

## ნასტაკისი, სარკინე, ძალისი

(არქეოლოგიური კვლევის შედეგები)

ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წარმატებით გააგრძელა მუშაობა 1971 წელს წამოწყებულ, სამ ერთმანეთისაგან დაშორებულ პუნქტში ნასტაკისის ველზე მდ. მტკვრისა და მდ. ქსნის შესაყარში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, სარკინეთის ქედზე და მუხრანის ველზე სოფ. ძალისის მიდამოებში; შეძლებისდაგვარად გაიშალა სადაზვერვო სამუშაოები მცხეთის რაიონში.

ნასტაკისის ველზე გათხრები მიმდინარეობდა ორ ძირითად უბანზე. გათხრების თანადროულად ნაკლაქარის ტერიტორიაზე გაკლებულ იქნა 10-მდე სადაზვერვო თხრილი. თითოეული თხრილის სიგრძე 25-78 მ, სიგანე 3-6 მ.

პირველი უბნის ფართობი 760 კვ. მ. უდრის, ხოლო ნაგებობათა ნაშთებს 600 კვ. მ. ფართობი უკავია. გამოვლენილი ნაშთები ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საცხოვრებელ ხაეგობას ეკუთვნის. პირველი ნაგებობა გვიანანტიკური ხანის დასაწყისისა უბდა იყოს. იგი გვეგში წესიერ ოთხკუთხედს წარმოადგენს. სამშენებლო მასალად გამოყენებულია კონგლომერატისა და ქვიშაქვის დიდი კვადრები. კონგლომერატის კვადრების სიგრძე 0,75-1,00 მ; სიგანე 0,5 მ; ხოლო სისქე 0,2-0,3 მ უდრის. წყობა მშრალია. კედლების სისქე 1,00-1,10 მ-ია. ნაგებობის სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე — 9,70 მ., ხოლო სიგანე — 7,55 მ., ფართობი კი 80 მ-ზე მეტია. შემორჩა აღნიშნული ნაგებობის საძირკვლები, მასზე კედლები ალიზის აგურით უნდა ყოფილიყო ამოყვანილი.

პირველი უბნის ორი მესამედი ნაწილი მეორე ნაგებობას უკავია, მრავალსენაკიანია, საამშენებლო მასალად ძირითადად გამოყენებულია რიყის ქვა. წყობა თვეზიფტურია. შემკავშირებელ საშუალებად გამოყენებულია თიხა-ალიზი. განათხარ ნაგებობაში სამი სამშენებლო ფენა გამოიყოფა. აქედან პირველ ფენას მიეკუთვნება მთელი ნაგებობა, რომელიც 11 სხვადასხვა დანიშნულების სენაკს შეიცავს. ამ სენაკთაგან ერთი მკვეთრად გამოყვანილი აბსიდიანი ეკლესიაა, ხოლო მის დასავლეთით მდებარე კირსნარიანი იატაკის მქონე სენაკს თონის მაგვარი კერა აქვს და ნართქვია. ქვიშაქვის ფილებით სენაკებში გამართულია ოთხკუთხედი და ზოგჯერ მრგვალი კერა. ზოგ სენაკში აღმოჩნდა ქვევრის ნატეხები. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, გარეთ, გამოვლენილი იქნა კრამიტსამარხები და ორმოსამარხი. აღმოჩენილი მასალები მოწმობენ, რომ ნაგებობა კრამიტით იყო დახურული, იგი V საუკუნის დასასრულისათვის მიუთხოვბიათ. ამავე ნაგებობაში კარგად დასტურდება ადრეული დასასრულისათვის მიუთხოვბიათ. ამავე ქვიშაქვის დიდი ნატეხებით აგებული მცირე, ორ განყოფილებიანი ნაგებობა, რომელიც ქურა სახელსნის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად სამშენებლო პერიოდებისა აღმოჩენილი იქნა მოყვითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი, განლევილი თიხისაგან დამზადებული, ყოველდღიური სახმარი ჭურჭლისა და მინის ჭურჭლის ნატეხები, წითლად შეღებილი ჯამებისა და მოხატული ჭურჭლის ნატეხები.

დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ხელით ნაკეთები და მუქი წითელი საღება-



ვით შეღებილი კრამიტები ორივე ტიპისა. ასევე დიდი ოდენობით აღმოჩნდა მოგვიანო, ე. წ. გვიანანტიკურიდან ადრესაუკუნეებზე გარდამავალი ხანის კრამიტები, რომლებიც ყალიბში არიან დამზადებული, დამცრობილი და მივარდისფრო-მოჩალისფროდ გამოწვეარი. დასახელებული მასალები კარგად თარიღდებიან ძვ. წ. IV—III საუკუნეებიდან ვიდრე ას. წ. VI საუკუნემდე დროის მონაკვეთით.


მეორე უბნის ფართობი 900 კვ. მ. უდრის. გამოვლინდა ორი მრავალსენაკიანი ნაგებობა. პირველ ნაგებობაში საცხოვრებლის გვერდითაა საკულტო (ეკლესია) და სამურნეო (მარანი) დანიშნულების სენაკები. დიდი სენაკების ფართობი 120 კვ. მ. უდრის. მარნებში 8—10 დიდი ქვევრია. სენაკებში კერებია გამართული. სამშენებლო მასალას ძირითადად რიყის ქვა წარმოადგენს, წყობა თევზიფხურია. შემაკავშირებელი საშუალება თიხა-ალიზია. კერამიკული მასალები აქაც პირველი უბნის ანალოგიურია.

მეექვსე მეორე თხრილში გაითხარა ეკლესია, რომელიც საცხოვრებელი ნაგებობის ერთ-ერთ სენაკს წარმოადგენს. იგი თითქოს ზემოთ დასახელებულ ეკლესიებზე ადრინდელი ჩანს. მას რიყის ქვით შესანიშნავად მოსწორებული საძირკველი აქვს, რომელზეც კედლები ალიზის აგურით უნდა ყოფილიყო ამოყვანილი. ეკლესია დახურული ყოფილა გვიანანტიკური ხანის შეღებილი კრამიტით. ეს ეკლესიაც სხვების მსგავსად ზუსტადაა დამცრობილი დასაყლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, კარი ჩრდილოეთის კედელში აქვს, ზომითაც სხვა ეკლესიების მსგავსია. მისი სიგრძე აბსიდიტურთ — 5,4 მ, ნაეის სიგრძე — 3,4 მ, სიგანე — 2,55, აბსიდის სიგრძე — 2,00 მ უდრის. აბსიდა ოთხკუთხედ შენობაშია ჩაწერილი და 0,2 მ-ით შემოწვეულია კედლებს შიგნით.

ნასტაკისის ველზე მიკვლეულ იქნა სამაროვანი. სამარხები ქვიშაჭვის ფილებით დიდებულადაა გამართული. ქალაქს სამხრეთის მხრიდან ალიზის აგურით ნაშენი ორმაგი გალავანი აქონია. ქსნის მარცხენა ნაპირზე ქურის ნაშთია აღმოჩენილი.

განათხარი მასალები მოწმობენ, რომ ნასტაკისის ველზე ქალაქური ტიპის დასახლება ძვ. წ. IV საუკუნეში წარმოიშვა, უმაღლეს განვითარებას და გაფართოებას აქ არსებულმა ქალაქმა ას. წ. IV—V სს მიაღწია. V—VI სს მიჯნაზე ქალაქი თავისი ნებით დაუტოვებიათ და სხვაგან გადასახლებულან. გვახსენდება მემბტაინის სიტყვები: „მამინ მცხეთა ათხელდებოდა, ტფილისი ეშენებოდა, არამაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდნებოდა“. განათხარი მასალის გათვალისწინება საშუალებას იძლევა დასკვნისათვის, რომ ნასტაკისის ველზე არსებული ქალაქური ტიპის დასახლება წარმოადგენდა იბერიის სამეფოს დედაქალაქის „ძველი მცხეთის“ ერთ-ერთ ძირითად უბანს. ამიტომაცაა, რომ ქველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ იმ დიდი ძვრების ადგილად, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნეში მოხდა და წყაროებში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის სახითაა ასახული, სწორედ ნასტაკისი დაასახელა და არა სხვა ადგილი.

ქალაქი ს ა რ კ ი ნ ე მთის ფერდობზეა შეფენილი. საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ნაგებობანი ტერასებად ყოფილა განლაგებული. ქალაქის ტერიტორიაზე მდგარა გათლილი ქვით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები, არქიტექტურულად გაფორმებული შენობები, რომლებიც გადახურული ყოფილან ბრტყელი გვერდებაკეცილი და ღარისებური კრამიტით. აქაური ბრტყელი კრამიტის სიგრძე 56 სმ-ია, სიგანე 50 სმ, ხოლო წონით 8-12 კგ. აღწევს. აღსანიშნავია თიხის კარგად გამოწვეარი პატარა ფილები (10 სმX5 სმX2 სმ). სავარაუდოა, მათ იატაკის მოსაპირკე-




ნატაკისი. მეორე უბნის ზედი. აბ. წ.  
IV-V სს.

თებლად იყენებდნენ. შესამე თხრილში, კრამიტის სახურავის ჩაღეწილ ყრილში აღ-  
მოჩნდა მინის თასები, წითელლაქიანი და ფიანსის ჯამის ნატეხები.

მეხუთე თხრილი ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზეა. ამ თხრილში გამოვ-  
ლენილია ხის ნაგებობის მცირე ნაწილი (36 კვ. მ), რომლის ჩაღეწილი კრამიტის  
სახურავის ქვეშ, იატაკის დონეზე აღმოჩნდა თიხის ნიღბებისა და ქანდაკებების ნა-  
ტეხები, ძელისაგან გაკეთებული სამკაულები, ვერცხლის ზარი, ბრინჯაოს ანჯამები  
სკივრისა, ქვიშაქვისგან შესანიშნავად გამოთლილი ბაზის ნატეხი და სხვა. ნიღბების  
ნატეხებიდან ექვსი მეტ-ნაკლები სისრულით, ხოლო ერთი ნაწილობრივ აღდგა, დარჩა  
რამდენიმე ათეული ნატეხი, რომელთაგან შესაძლებელია კიდევ აღდგეს ან შეივსოს  
ნაკლები გამოსახულებანი.

მამაკაცის გამოსახულება წარმოდგენილია წეღს ზევით, ამობურცული მკერდით,  
თხელი მატერიისაგან დამზადებული ტანსაცმელი აცვია, რომელიც ყელის არეში  
დანაოჭებულია. წამოსხმული მოსასხამის მარჯვენა კალთა აკრფილია და მარცხენა  
მხარეს აქვს ჯადაფუქელი. მხრებზე გახდევს კულულები, მარცხენა მხარეს ერთი კუ-  
ლული მკერდზე აქვს ჩამოშკებული და იგი წამოსასხამთან ერთად ხელით უჭირავს,  
რომელიც მარცხენა ხელის ნოლიან მტევანს წარმოადგენს. ნეკი და არათითი მოხრი-  
ლია, ფრჩხილები კულულისა და წამოსასხამის ნაოჭის ქვეშა ჩამალული, დანარჩენი  
საში თითა გაშლილია. მითები ფაღუკ შობგვდილებას სტოვებს. ფრჩხილები წინ  
გაფართოებულია. ჩარჯენა მხარეს მიჭსა და ყელს შორის მოთავსებულია ნასკვი, რომ-  
ლის ერთი ბოლო თხის ფეხს გამოსახავს. მამაკაცის გამოსახულებას კისერი მალალი,



ნახტაქისი. მე-6-2 ობრილში გამოვლენილი ეკლესია ახ. წ. III ს.

ყელი მოღერებული და თავი ოდნავ ნარჯუნე აქვს შებრუნებული. ნიკაპი გამოყვანილია ლამაზად. ქვედა ბაგე შემსხვილებულია, პირი ოდნავ გაღებული. ცხვირი შუბლიდან სწორად ეშვება, კარგადაა დანუშავებული. თვალი ნუსისებური ფორმისაა, ქვედა ქუთუთო თხელია, ზედა შექცელებულია და გამოყვანილია რელიეფურად. წარბი ოდნავ შემსხვილებულია. შუბლი სწორია, თმის დასაწყისთან გაკეთებული აქვს ბაჟთა, რომლის ბოლოებში საფეთქლებთან ხვეულ თმებში იმალება. ბაფთის ზევით, შუბლის ორივე მხარეს, თმებში, პატარა რქებია. თმა შუაზეა გაყოფილი და აქეთ-იქით გადავარცხნალია ტალღებად საფეთქლების არეში თმები ავარცხნილია და ხვეულია გაკეთებული. ყურები დაუარულია ბინილოს ნაწილის გარდა. ხელის მტევანზე, კისერსა და სახეზე ნაოჭები არ შეიმჩნევა, იგი ჭაბუკისაა და ახალგაზრდა დიონისეს უნდა წარმოადგენდეს. გამოსახულების სიმაღლე 38,5 სმ., მაქსიმალური სიგანე 34 სმ.

ქალის გამოსახულება აქ წარმოდგენილია წელს ზევით. მკერდის მარცხენა მხარეს რელიეფურადაა ამოხრახული ძუძუ მარჯვენა მხარეს იგი წამოსასხამითაა დაფარული და ზედ ხელი უდევს. გამოსახულებას თხელი ნაქსოვი კაბა აცვია. გულზე დანაოჭებულია, მხრებზე წამოსასხამი აქვს წამოსხმული, მარჯვენა მხარეს ყელის გასწვრივ გაკეთებულია ნასკეის ერთი ბოლო თხის ფეხს გამოსახავს. წამოსასხამის ნაოჭებში, რომელიც მკერდზე აქვს დაფენილი, დამალულია მარჯვენა ხელის ნეკის, არათითისა და ცერა თითის თავები, სოლი შუა და საჩვენებელი თითები ზევიდანაა დადებული. თითები გამოყვანილია ფაღუკად. ფრინილები ლამაზად არის დამუშავებული და თავში შესამჩნევად გაფართოებულია. მაღალ, ოდნავ შემსხვილებულ, მოღერებულ კისერზე





ორივე მხარეს ჩამოშვებული კულულებია დაფენილი. სახეს წაგრძელებული ოვალური ფორმა აქვს. ნიკაბი ღამაზადაა გამოყვანილი, ცხვირი სწორი. ნესტოები კდწვე ვაღწე მობრალი და გარედან ამოღარული ხაზითაა შემოვლებული. ნუშის ფორმისაა შეკატკმამა დიდებულადაა დამუშავებული, ქვედა ქუთუთო თხელია. ზედა გამოყვანილია რელიეფურად წარბები ოდნავ შემსხვილებულია და შესუბებულსა ჰგავს. თმა შუაზეა გაყოფილი და ტალღისებურად დაფარცხნილი, საფეთქლების არეში აფარცხნილია და ხვეულია გაკეთებული. ყურები დამალული აქვს. ჩანს მხოლოდ მისი ბიბილო, გამოსახულების ზღის ნტევანზე, კისერსა და სახეზე ნაოტი არ შეინიშნება. სახე მარცხნივ აქვს შეტრუნებული, ბაგე გაბობილი და ოდნავ გაღიმებული, სვედიანი იერი დაკარავს. გამოსახულება ახალგაზრდა ქალისაა. იგი მვეენახეობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების დონისსეს მუელედ არიადნა უნდა იყოს. გამოსახულების სიმაღლე — 38 სმ, მაქსიმალური სიგანე -- 25 სმ. (ნაკლულია).

ნიღაბი — ქალის გამოსახულება. სახეს მოგრძო ოვალის მოყვანილობა აქვს, ნიკაბი მასიური და ოდნავ წინ წამოწეული, ტუჩები შემსხვილებულია, პირი ღია, ცხვირა მასიურა და შუბლის ქვემოთ ოდნავ ჩაწეულია, თვალები თითქოს შიგნითაა შეწეული, ნუშისმაგვარი მოყვანილობა აქვს. ქუთუთოები, განსაკუთრებით ზედა, გამოყვანილია რელიეფურად, წარბები გადაწეხილია. შუბლი სწორი, ღაწვები ამობურცული, თმა შუაზე გაყოფილი და გადაფარცხნილი. საფეთქლის არეში გადაფარცხნილი თმა სველებს აკეთებს. ყურების მაგივრად ვახის ფოთლებია გამოყვანილი, რომელზეც ყურძნის ნტევნებაა დაეწერილი. სახის გამოსახულება მოცემულია მოძრაობაში, დაჭიმულია და ფართოდ გაღებული პირი თითქოს იმაზე მიუთითებს, რომ განცდილ მღერის. ნიღაბი აღამიანის ოაჯის ნატურალური ზომისაა. სიმაღლე 24 სმ, სიგანე კი 17 სმ.

ნიღაბი — ქალის გამოსახულება. სახეს მოგრძო, ოვალური, ნიკაბი მასიური, ოდნავ წინ წამოწეული, ტუჩები შემსხვილებული, პირი ღია. ცხვირი გამოყვანილია, ოდნავ კეხიანი და ზევით აწეული, ნესტოები დაბერილი. თვალები შიგნითაა შეწეული, ნუშისმაგვარი მოგრძო მოყვანილობა აქვს. ქუთუთოები, განსაკუთრებით ზედა, გამოყვანილია რელიეფურად, წარბები გადაწეხილია. ღაწვები ამობურცული და დაჭიმული. თმა შუაზეა გაყოფილი და გადაფარცხნილი, საფეთქლის არეში აფარცხნილია და ხვეულს ქმნის, ყურის უკან კულულებია ჩამოშვებული. თავზე ფართო თავსაბურავი აქვს გადაჭერილი. რომელიც საფეთქლის ხვეულებს ქვეშ შედის. მოგრძო სამკუთხედისმაგვარი ყურები აქვს. მთლიანად სახე გადმოცემულია მოძრაობაში და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მღერის. აღწერილის ზუსტად ანალოგიურია კიდევ ერთი ნიღაბი. მათ შორის განსხვავება მხოლოდ თმის ვარცხნილობაში შეინიშნება.

მამაკაცის ნიღაბი -- სახე ფართო, ოვალური, ნიკაბი მასიური, ტუჩები მსხვილი. პირი ღია. ცხვირი სქელი და კეხიანი, შუბლთან ჩატყლებილი, ნესტოები დაბერილი, თვალები შიგნითაა შეწეული და ნოგრძო, ნუშისმაგვარი. ქუთუთოები, განსაკუთრებით ზედა, რელიეფურად გამოყვანილი, წარბები ამობურცული ხაზებითაა გადაწეხილი, ქუთუთოებსა და წარბებს შორის არე შესუბებულია, შუბლი შეკმუხნილი. თავზე ქუდი ახურავს, რომლის კალთები უკანაა გადაკეცილი, ყურები არ უჩანს. სახე მოძრაობაში მოცემული, დაჭიმულია და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პირქუში, მრისსანე გამომეტყველებით მღერის. ნიღაბის სიმაღლე 26 სმ, სიგანე 18,5 სმ.

ნიღაბის ნატეხი, რომელსაც შემორჩა შუბლის, მარჯვენა თვალის, თმის ტალღური ვარცხნილობა და თავზე აღმართული კოშკის მაგვარი თავსაბურავი, შესაძლოა დე-

ძალიან მესამე თბილისი სასახ-  
ლის (?) ნანგრევები, შთავარი სა-  
კანალიზაციო კოლექტორი. აბ. წ.  
1-IV სს.



საქართველოს  
არქეოლოგიის  
ინსტიტუტი

მეტრეს განოსახულებასაც წარმოადგენდა.

ყველა ნიღაზი და გამოსახულება დანაშაულებული ყალიბში. სუფთა განღვთილი თიხისაგან შეგნითა ნხრიდან ძალიან კარგად ეტყობა ყალიბში ამოყვანის დროს თითების ანაბეჭდი და მუშაობის კვალი. ნიღბების კვეცი გამომწვარია არათანაბრად, მოყვითალო-მოწითალო ფერისაა. ყველა ისინი წითელი საღებავით იყო შეღებილი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიონისესა და არიადნას გამოსახულებანი ყველაფრით ბერძნულ-რომაულ სამყაროს უკავშირდება, დანარჩენი ნიღბები კი უფრო ადგილობრივი ტიპების გადმოცემის ცდას უნდა წარმოადგენდეს. ეს უპირველესად ითქმის მამაკაცის ნიღაზზე, რომლის კეჩიან და შუბლთან ჩატყვლებილ ცხვირს, შეჭმუხვნილ შუბლს, ფართო სახეს და სხვა, არაეითარი საერთო არ უჩანს ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებულ ნიღბებთან. აქ უნდა გვჭონდეს ცდა ელინისტური სამყაროს გავლენის შერწყმისა ადგილობრივ კულტურასთან.

დიონისესა და არიადნას გამოსახულებათა გარდა, ყველა სხვა გამოსახულებანიღაბი მოძრაობაშია მოცემული და თითქოს ყველა ისინი მღერიან. შეაძლო იყო გვეუქრა, რომ ელინისტური ხანის ნიღბების მსგავსად სარკინეში აღმოჩენილი ნიღბები, რომლებიც ძლიერ ემოციებს ღა ძდიდრულ მიმიკებს გადმოსცემენ, მსახიობის



ქართული  
ენციკლოპედია



მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი  
ღვთაება ახალგაზრდა დიონისე. სარ-  
კინე. ძვ. წ. II-I სს.



მევენახეობა-მეღვინეობის მფარველი  
ღვთაების დიონისეს შეუღლე არიად-  
ნე. სარკინე. ძვ. წ. II-I სს.



ნიღაბი ქალისა, ურბეი შემკულია  
უურძნის მტვენებით. სარკინე. ძვ. წ.  
II-I სს.



ნიღაბი. სარკინე. ძვ. წ. II-I სს.

მამაკაცის ნიღაბი. სარკინე. ძვ. წ.  
II-I სს.



ნიღბებს წარმოადგენენ. ასეთ შთაბეჭდილებას გამოიციხავს ის გარემოება, რომ ხარკინეში აღმოჩენალ არცერთ ნიღაბს თვალეზის ადგილზე ნახვრეტები არა აქვს დატოვებული. ეს ნიღბება ნაგებობაში ინტერიერის დეკორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული და კედელზე ალბათ ერთ ფრისად იყო განლაგებული. ყველა ნიღაბს უკანა მხარეს კუთხის არეში ორი ნახვრეტია აქვს დატოვებული, ამ ნახვრეტებში გაყრილი ზონარით ნიღბები კედელზე მკრდებოდა, ნაგებობა კი, რომლის ნახვრეტებში ნიღბები აღმოჩნდა, სისა ყოფილა და კულტურულ-ადმინისტრაციული დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მოპოვებული მასალები მოწინებენ, რომ განათხარი ძეგლები ელინისტური ხანის ვასულისა უნდა იყოს და ძვ. წ. II—I საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

სადაზვრუო-არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა სოფელ ძალისის მიდამოებში. ძველი ნაქალაქარი მუხრანის ველზე, მდ. ნარეკვაის მარცხენა ნაპირზე იქნა მიკვლეული. ნაქალაქარის ტერიტორია გაშლილ ვაკეს წარმოადგენს, დღეისათვის ამ ადგილებში ძალისის საბჭოთა მკურნეობის ვენახებია გაშენებული.

დაზვერვების დროს მიკვლეულ იქნა ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი ბაზები და კაპიტელი. ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ამოთხრილი ცისფერი ტუფის დიდი, კარგად გათლილი ქვები (185 სმ X 90 სმ X 25 სმ). მიწის ზედაპირზე მრავლად ყრია აგურისა და წითლად შეღებილა კრამიტის ნატეხები. ვჭვი აღარ იყო, რომ აქ დიდ



ქალაქური ტიპის დასახლებასთან გვევლინება საქმე. სულ გათხრილი იქნა ოთხი სადაზვერვო თხრილი გამოვლინდა დიდი. კარგად გათლილი ქვევით ნაგები სასახლისა ტაძრის რანგის ნაგებობის ნაშთები, რიყის ქვით დულაბზე ნაგები საძირკვლები ალიზის აგურის კედლები-სათვის, კედლები შიგნიდან გავით შეღესილი და მოხატული ყოფილა, რიყისა და ქვიშაქვით დულაბზე ნაგები კანალიზაციის მთავარი კოლექტორი, კანალიზაციისა და წყალსადენის მილგაყვანილობანი. გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ბრტყელი, ოთხკუთხედი აგურით ფენილი ქუჩები და მოედნები, აბანო მოზაიკური იატაკით და ა. შ. დიდი რაოდენობით მოპოვებულია თიხის, შუშის ჭურჭლისა და სარკმლის მინის ნატეხები, ჭრაქები, ბრტყელი, გვერდებაკვეცილი და ღარისებრი კრამიტები. მათ შორის დიდი ზონია კურტანის კრამიტები, რომლის დიამეტრი 38—42 სმ უდრის, კალთრიფერის ნატეხები და სხვა.

განათხარი ძეგლებიდან ცალკე უნდა გამოიყოს აბანო მოზაიკური იატაკით. აბანო აგებულია ქვიშაქვით და ბრტყელი აგურებით დულაბზე. შიგნიდან და გარედან კარგად არის შეღესილი. კირსნარით. აბანოს მცირე ნაწილი — სააბაზანო ოთახი — გაითხარა. აბაზანა ნახევარწრიულ აბანდას წარმოადგენს, რომელიც ოთხკუთხედი აგურების ერთი რიგით გამოყოფილია სააბაზანო ოთახიდან. აბაზანაში ჩასასვლელად ერთი საფეხური. სააბაზანო ოთახის იატაკი ფერადი, ოთხკუთხედი პატარა კენჭებით გაკეთებულ მოზაიკას წარმოადგენს. მოზაიკას შემოვლებული აქვს ორმაგი არშია. არშიებს შორის ადგილი შევსებულია მცენარეული ორნამენტით, ფოთლებითა და ყლორტებით. არშიის შიგნით ნოთაცნებული არე დათმობილი აქვს ზღვის ფაუნას. კარგად ჩანს მოგრძო ნივარა, დელფინის თავი და ზღვის სხვა მკვიდრნი.

მოზაიკის აღმოჩენა აღმოაჩვენებს საქართველოში პირველი და ამდენად უნიკალური შემთხვევაა. იგი მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი ახ. წ. II საუკუნეზე გვიანი არ უნდა იყოს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ეს მოზაიკა საქართველოში ყველაზე ადრეულია. მოზაიკა არსებით ნაკლებად ჰგავს გვიანანტიკურ სამყაროში გავრცელებულ მოზაიკებს და მათგან თითქოს განცალკევებით დგას. ამდენად, თითქოს გაჩნდა შესაძლებლობა იმის ვარაუდისა, რომ ეს მოზაიკა შექმნილია ადგილობრივ, ქართულ ნიდავზე.

მოპოვებული მასალების წინასწარი შესწავლა საშუალებას იძლევა ძალისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნაქალაქარი — კვებარებით, სასახლის ან ტაძრის ნანგრევებით, აგურფენილი ქუჩა-მოედნებით, მოზაიკური იატაკიანი აბანოთი, ალიზის აგურით ნაგები შენობებით, რომლებიც შიგნიდან შეღესილი და მოხატული ყოფილა, კანალიზაციის კოლექტორითა და წყალსადენის სისტემით ახ. წ. I—IV საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

აქ გამოვლენილი ნაქალაქარი, ძველ ქართულ საისტორიო წყაროში ხსენებული „მუხნარისა კერისა ქალაქი“ უნდა იყოს, რომელიც პტოლემეოსისიუსულ „ძალისას“ ექვივალენტს წარმოადგენს და მუხრანის ველზე, აწინდელი სოფელ ძალისის ადგილზე მდებარეობდა. იგი ეკონომიურად ძლიერ, მაღალგანვითარებული კულტურის და არქიტექტურულად გაფორმებულ ქალაქს წარმოადგენდა, რომელიც ქართლის სამეფოს სპასპეტის, ხოლო ორმეფობის ხანაში შიდა ქართლის მეფეთა რეზიდენცია იყო.



ნანა მათიაშვილი

**ვანში აღმოჩენილი კარაკლეს გამოსახულებიანი მდელიონი**

ვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს მხატვრული ნაწარმის ერთი ნაწილი ჭურჭლის შემკობად განკუთვნილ მდელიონებს აერთიანებს. ამ რიგის ძეგლებიდან ერთი (შემთხვევით აღმოჩენილია, შექნილია ექსპედიციის მიერ 1950 წ. ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში) შემკულია ჰერაკლეს სკულპტურული გამოსახულებით.

სკულპტურა ჰესპერიდების ბალიდან მომავალ გამარჯებულ ჰერაკლეს წარმოგიდგენს. გმირს მარჯვენა მკერდთან მიტანილ ხელში ვაშლები უჭირავს, მარცხენაში მხარზე გადებული კეტი. თავი შემკული აქვს გვირგვინით. გვირგვინი, რომელიც ღეროზე ირიბად განლაგებული წვეროებით შუბლის ცენტრისაკენ მიმართული ფოთლების ორი რიგითაა შედგენილი, კეფაზე შეერთებული არაა.

სახე შემოჩარჩობული აქვს მოკლედ შეკრებილი თმითა და ხშირი წვერით. თმა სქემატურადაა შესრულებული, შუბლი გადმოცემულია სწორხაზოვანი ღარებით. ღარები განლაგებულია პარალელურად. თავის დანარჩენ ნაწილზე უწყსრიტოდაა დატანილი.

წვერი გადმოცემულია ოდნავ მორკალული, ღარებით დაფარული შემადლებებით შემადლებები არაა სიმეტრიული, მაგრამ მათ განლაგებაში გარკვეული რიტმი შეინიშნება. ეს მომენტი საგრძნობლად აძლიერებს სიხშირის შთაბეჭდილებას.

სახეზე აღბეჭდილია ღრმა შინაგანი პათეტიკა და ერთგვარი დაღლილობა. ამგვარ შთაბეჭდილებას ქმნის ფართო, ოდნავ შეჭმუხნული შუბლი, კეხიანი ცხვირი, რელიეფურ ქუთუთოებში ღრმად ჩამკდარი თვალები, ჩაცვნილი, უაღრესად პლასტიური, მკვეთრ რელიეფში შესრულებული ღაწვები, სქელი ულავებით დაფარული, ოდნავ გახსნილი ბაეე.

სახის აღნიშნული ნაწილები საგანგებოდაა გაპრიალებული, რითაც შექმნილია ეფექტური კონტრასტი სახის წვერით დაფარულ მქრჭალ ნაწილთან და გაძლიერებულია გამოსახულების ემოციური ხასიათი.

გამოსახულების დანარჩენი ნაწილები, კერძოდ ყურები, კეფა, კისერი გადმოცემულია სქემატურად. განსაკუთრებით სქემატური და არაპროპორციულია მკერდი, მხრები და ხელები. იდაყვებში მოხრილი ხელები ერთ სიმბრტყეშია გადმოცემული — მკერდისაგან გამოყოფილია მხოლოდ მაღალი რელიეფით. მარჯვენა ხელის მტევანი სრულიად დაუნაწევრებელია, მრავალი ბურცობით მინიშნებულია მუჭაში მოქცეული ვაშლები. მარცხენა, რომელიც მხარზე გადებულ კეტს იმაგრებს, არაპროპორციულად დიდია, მტევნისაგან მხოლოდ პირველი თითია გამოყოფილი, დანარჩენი თითები მხოლოდ ღარებით არის აღნიშნული.

მკერდი ბოლოვდება სამწვერა სამაგრი ფირფიტით. იგი მკერდისაგან გამოყოფილია ღარებით დაფარული მაღალი ქედით. ამ დეტალს ჩარჩოს დანიშნულება უნდა ჰქონოდა.



ვანში აღმოჩენილი ჰერაკლეს გამოსახულებიანი შედალიონი







აღნიშნული სამაგრის არსებობა, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნიეთი გამიზნულია ზემოდან აღსაქმელად და ამის გამო გულდასმით შესრულებულია ის დეტალები, რომლებიც მხედველობის არეში ხედება მისი ჰორიზონტალურთან მიასლოვებულ მდგომარეობაში, საფუძველს გააძლიერებს აღნიშნული სკულპტურა ჭურჭლის ცენტრალურ მედალიონად მივიჩნიით.

გამოსახულება დაფარულია მუქი მწვანე კეთილშობილი პატინით. პატინა ცხვირთან და კეფაზე აფხეკილია, როგორც ჩანს, მპოვნელების მიერ. გარდა ამისა, გამოსახულებას აქვს თავდაპირველი დეფექტი მარჯვენა საფუთქელთან და ყურთან, რომელიც ორიგინალის დაზიანებით უნდა აიხსნას.

მედალიონი ნაწილ-ნაწილ არის დამზადებული — თავი ცალკეა ჩამოსხმული, მკერდი, მხრები და ხელები ცალკე. ნაწილები ერთმანეთთან კისრის არეშია დაკავშირებული.

განხილული ძეგლი კომპოზიციურად, სტილისტურად და საერთოდ შესრულების მანერით მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჰერაკლეს ყველა ცნობილი გამოსახულებისაგან განსხვავებით, ვანის გამოსახულებაზე არსად მინიშნებული არაა ჰერაკლეს ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტა — ლომის ტყავი. გარდა ამისა, კეტი ნაცვლად მარჯვენა ხელისა, მას მარცხენა ხელში უჭირავს. ამასთანავე, როგორც აღნიშნული იყო, სახე გადმოცემულია ცოცხალი რეალისტური მანერით, ხაზგასმულია ფსიქოლოგიური მომენტიც, მაშინ როდესაც სხვა ნაწილები შესრულებულია პირობითად და სქემატურად. ეს გარემოება გარკვეულ საფუძველს იძლევა განხილული მედალიონი ადგილობრივი, კოლხი ხელოსნის მიერ დამზადებულად იქნეს მიჩნეული. სახის ყალიბი აღებული უნდა იყოს საკმაოდ მაღალმხატვრული ბერძნული ორიგინალიდან, დანარჩენი დეტალები კი ხელოსნის მიერვე ჩანს მოდელირებული. ამავე დროს აშკარაა, რომ მისთვის ცნობილი იყო ჰერაკლეს იმხანად გავრცელებული გამოსახულებები. გამოირიცხული არაა, რომ მას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ლისიპეს „წვეროსან ჰერაკლესზე“. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ განხილული გამოსახულება, მიუხედავად აღნიშნული თავისებურებებისა, კომპოზიციურად ახლოს დგას ჰერაკლეს იმ გამოსახულებებთან, რომლებიც ლისიპეს ჰერაკლეს პირებად არიან მიჩნეული.

ცნობილია, რომ ელინისტურ ხანაში განსაკუთრებულ მოწონებაში სწორედ ლისიპეს „წვეროსანი“ ჰერაკლე იყო. ამ მოქანდაკის მიერ შექმნილი ჰერაკლეს ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ძლიერი, მაგრამ რამდენადმე პათეტიური ხასიათი, კარგად შეესაბამებოდა ელინიზმის, ამ უაღრესად დამაბული და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის, განწყობილებას.

დღესდღეობით აღრიცხული ლისიპეს ჰერაკლეს რამდენიმე ასეული პირიდან შეიძლება დასახელდეს რამდენიმე, ვანის გამოსახულებასთან განსაკუთრებით ახლოს მდგომი ნიმუში. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია სტამბოლის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს სკულპტურა, რომელიც ჰერაკლეს მე-12 გმირობას ასახავს. ჰერაკლე გამოსახულია წვერითა და გვირგვინით. მას მარჯვენა ხელში კეტი უჭირავს, მარცხენაში — ორი ვაშლი. დიფემბისი მას ძვ. წ. IV-III სს ათარიღებს და ლისიპეს წვეროსანი ჰერაკლეს პირად მიიჩნევს<sup>1</sup>.

ვანის ჰერაკლე გარკვეულ მსგავსებას ავლენს აგრეთვე ბრიტანეთის მუზეუმის კირქვისაგან დამზადებულ მჯდომარე ჰერაკლეს გამოსახულებასთან. მსგავსების თვალსაზრისით აღსანიშნავია თმის ვარცხნილობა, წვერისა და თვალების გადმოცემის მა-



ნერა. ამ ძეგლს, სიუხუმის მიუხედავად, მიურეი ლისიპეს ჰერაკლეს პირად მიიჩნევენ.<sup>1</sup> სახის მუსკულატურისა და გამომეტყველების თვალსაზრისით გარკვეულ სიახლოვეს ავლენს აგრეთვე ბერლინის მუზეუმის ჰერაკლეს ბრინჯაოს გამოსახულებასთან რომელსაც ლემბი ფარნეჯელი, შესაბამისად ლისიპეს ჰერაკლეს ერთ-ერთ პირად მიიჩნევს.<sup>2</sup>

სხვა ახლოს მდგომი ძეგლებიდან აღსანიშნავია კაიროს მუზეუმის ჰერაკლეს ბრინჯაოს გამოსახულება<sup>3</sup> და კაიროს მუზეუმშივე არსებული ბრინჯაოს ჭურჭლის ყური, რომელიც შემკულია ჰერაკლეს წელზედა გამოსახულებით.<sup>4</sup>

აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს განხილული ძეგლი ლისიპეს წვეროსანი ჰერაკლეს ერთ-ერთ რეპლიკად მივიჩნიოთ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სახის ცალკეული დეტალებით იგი დიდ სიახლოვეს ავლენს წვეროსანი მამაკაცების იმ გამოსახულებებთან, რომლებსაც ვოლტერსი და ვალდგაუერი ლისიპეს სკოლას უკავშირებენ.<sup>5</sup>

წარმოდგენილი ძეგლის ზუსტი დათარიღება ჭირს, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ აღმოჩენის პირობების შესახებ ცნობების უქონლობითა და აგრეთვე ძეგლის უნიკალური ხასიათით. ეს უკანასკნელი მომენტი აძნელებს მის დათარიღებას სტილიისტური მეთოდით. მაგრამ ყურადღებას იქცევს თმის ვარცხნილობა, კროიდ, მის შუბლზე სწორხაზოვნად განლაგება. ამ დეტალის მიხედვით იგი რამდენადმე უახლოვდება რომაული ხანის ძეგლებს.

რომაული ხანის ძეგლებთან სიახლოვის თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე გამოსახულების მარჯვენა საფეთქელთან არსებული დეფექტი, რომელიც როგორც აღნიშნული იყო, იმ ორიგინალიდან უნდა მომდინარეობდეს, რომლისაგანაც ვანში აღმოჩენილი ძეგლის ყალიბია აღებული.

როგორც ცნობილია, ელინისტური ხანის დაზიანებული ნიმუშებიდან პირების აღება განსაკუთრებით გაერცლებული იყო ადრერომაულ ხანაში, ე. ი. მაშინ, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა ბერძნულისადმი მიბაძვისა და წარსულისადმი ერთგვარი რომანტიული დამოკიდებულების ტენდენცია.<sup>6</sup> გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ცენტრალური მედალიონით ჭურჭელს მართალია ადრეელინისტურ ხანაშიც ამკობდნენ, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ ამ ხერხს ადრერომაულ ხანაში. მაგრამ ვინაიდან დღესდღეობით გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ვანის ქალაქი ახ. წ. I ს. აღარ არსებობდა, შესაძლებელია განხილული ძეგლი ძვ. და ახ. წ. მიჯნით დათარიღდეს.

<sup>1</sup> P. Devambis, Grands Bronzes du Musee de Stambul, Paris, 1937, გვ. 71-79. ტაბ. XXI-XXIV.

<sup>2</sup> A. S. Murroy, Greek Bronzes, London, 1898, გვ. 74, სურ. 31.

<sup>3</sup> W. Zamb, Greek and Roman Bronzes, London, 1929, გვ. 172, ტაბ. 63.

<sup>4</sup> C. C. Edgar, Greek Bronzes Catalogue General des Antiquites Egyptiennes du Musee de Caire, La Caire, 1904, ტაბ. I (27637), გვ. 3.

<sup>5</sup> W. Friedrich, V. Frein, Bissing, Hellenistische Bronzen aus Agypten.

<sup>6</sup> H. B. Wallers, Select Bronzes, London, 1915, ტაბ. XIX, XXX.

<sup>7</sup> C. Richter, Ancient Plaster Gasts of Greek Metalwark, AJA, 1958, 62 (4), გვ. 371.




„ბარბაროსების დიდი ძალაქის“ ლოკალიზაციისათვის

წერილობითი ძეგლების, კერძოდ კი ბერძენ მწერალთა ცნობების შესწავლის საფუძველზე სულ უფრო ნათლად იხაზება კოლხეთის ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, მისი შემდგომი განვითარებისა და ანტიკურ სამყაროსთან თუ უფრო შორეულ ქვეყნებთან კოლხეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიის სურათი.

წერილობით წყაროებში დაცულმა ცნობებმა კიდევ უფრო მეტი ცხოველმყოფელობა და ღირებულება მოიპოვა უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ, რაც ფართოდ გაიშალა ჩვენში არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ისტორიის ეს ახალგაზრდა და ძალზე სპეციფიური დარგი ყოველწლიურად არა მარტო ამდიდრებს ისტორიულ მემკვიდრეობას ახალი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენებით, არამედ კიდევ ერთხელ ამოწმებს — უარყოფს ან ადასტურებს წერილობითი წყაროების საფუძველზე ადრე მიღებულ და გაზიარებულ ისტორიულ დასკვნებს.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურ აღმოჩენათა შორის ამ რიგის ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასავლეთ საქართველოს სამიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1968 წელს მიკვლეული ნამოსახლარი „ნ ა მ ა რ ნ უ“ — ვრცელი ნამოსახლარი სოფ. გაღმა-კოდორის ტერიტორიაზე (აბაშის რაიონი), რიონ-ფიჩორის მუანდინარეთში, მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირზე. ნამარნუ რამდენიმე დამოუკიდებელი კომპაქტურად განლაგებული ნაწილისაგან შედგება. ნამოსახლარის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს 4-5 მეტრის სიმაღლის წაგრძელებული (170×80 მ) ბორცვი. მას ირგვლივ შემოუყვება 3—4 მ. სიღრმისა და 55-80 მ. სიგანის ხელოვნური თხრილი, როსელსაც გარს აკრავს (აღმოსავლეთ მხარის გარდა) ოთხი მოგრძო ბორცვისაგან შემდგარი სარტყელი. ბორცვების კალთები თანდათანობით გადადიან გაჯავებულ ფართობში, რაც, თავის მხრივ, კვლავ შემოზღუდულია 4-5 მეტრის სიგანის, არაწესიერი წრის მოყვანილობის თხრილით. ფაქტიურად მეორე თხრილის ნახევარს წარმოადგენს მდ. ფიჩორი, რომელიც მოკლე არხით უკავშირდება პირველ თხრილს, რაც, ალბათ, ამ უკანასკნელის წყლით შეესებისათვის იყო გამიზნული, მეორე თხრილით შემოზღუდული ნამარნუს ვრცელი (ოციოდე ჰექტარი) ნამოსახლარის ტერიტორიაზე, როგორც შედაპირულად ისე საცდელი შურფების წყალობით მოპოვებულია სხვადასხვა დროისა და ხასიათის საინტერესო მასალები — უმთავრესად თიხის ჭურჭლის ნატყვები. მოპოვებულ მასალაში ჭარბობს: ე. წ. „პარკეტული“, სავარცხლისებური ტვიფრით, ნაპრიალები ზოლებით, ამოღარული და ამოკაწრული სახეებით, დაცქვეტილი ყურებით შემკული ქვაბქოთნები, დერგები, კოლხური ქვეერები, ადგილობრივი ამფორები, ყუამილიანი დოქები, ჭიქისებური სასმისები, ჯამები და ა. შ. მასალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს აგრეთვე უცხო ცენტრებიდან შემოტანილი ჭურჭლის ნატყვები; სინოპური, როდოსული, ქიოსური, თაზოსური, ბიზანტიონის, იტალიკური და სხვა ცენტრებიდან შემოტანილი ამფორები. აქვე უნდა მოვისხენიოთ ატიკური შავლაკიანი ქურ-



ნამოსახლარ „ნამარნუს“ სიტუაციური გეგმა

ჭლის ნატეხები, რომლებიც უცხოური ტარის ძირითად ნაწილთან ერთად ძვ. წ. V—IV საუკუნეებში თარიღდება (რ. ფუთურიძე, გ. ლორთქიფანიძე, ა. კახიძე).

ნამარნუს საყურადღებო აღმოჩენებს შორის უნდა დაგვასახელოთ 1971 წ. ცენტრალურ ბორცვზე გაპირილი საცდელი თხრილის მეხუთე (სულ შვიდი ფენაა გამოვლენილი: წინაზე ანტიკური, ანტიკური, ელინისტური და გვიანრომაული ხანის) ადრე ანტიკური ხანის ფენაში ნაპოვნი მონეტებისფრო მარმარილოს ფილის ნატეხი (სისქე — 1,4 სმ.), რომლის ერთი მხარე ნახეს-ნაპრიალები ჩანს.

დიდი თხრილის გარეთ, ჩრდილო ბორცვზე გაღებულ საცდელ შურფში აღმოჩენილია ქვის კედლის ფრაგმენტი კედელი ნაგებია თიხის ხსნარით, ნაგლევი ქვიშაქვით. რომლის გარე და შიდა პირის ამსაყვანად უფრო მოზრდილი ლოდებია ნახმარი, შიდა სიერცე კი შეესებულება შედარებით მომცრო ქვებით ცხვე როგორც ეს ეშერის ნაქალაქარის გაღვენის კედლის აღნაგობაშია დადასტურებული!

ნამარნუს კედლის სისქე 1,8-2 მეტრია და საღიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც ხაფორთიფიკაციო დანიშნულების გაღვენის ნაშთებთან გვერდეს საქმე. კედელი უშუალოდ ჩამჯდარია ძვ. წ. V—IV საუკუნეების ფენებში. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ შემოღანაც ადევს მას, რაც იმას მოწმობს, რომ ნაგებობა IV საუკუნეზე უფრო ადრეული თუ არა, თანადროული ნაინც უნდა იყო.

ქვის ნაგებობანი დამასახათებელი არ არის კოლხეთის დაბლობში გაერცელებული გორა-ნამოსახლარებისათვის და ნამარნუსე ასეთი ფაქტის დადასტურება თავისთავად უნდა მეტყველებდეს ამ ძველის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე.

როგორც ზედაპირული, ისე საცდელი შურფებიდან მომდინარე მასალის მიხედვით ნამარნუ გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში ჩანს დასახლებული (თუ უფრო ადრე არა), მაგრამ მისი ცხოვრების აყვავების ხანად მაინც ძვ. წ. V—IV საუკუნეები უნდა ჩაითვალოს. ნამარნუ კარგად სტრატოფიცირებული ძველია და მისი ფართო მასშტაბით კვლევა-ძიების დროს მიღებული შედეგები შესაძლოა მტკიცე საყრდენი გახდეს კოლხეთის ბარში ანტიკური ხანის გორანამოსახლარების გენეზისისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე მსჯელობისათვის.

დღევანდელი შესწავლის დონეზეც კი ნამარნუ მთელი რიგი თავისებური ნიშნებით ხასიათდება და მრავალმხრივ საყურადღებო ჩანს.

პირველ რიგში ეს ითქმის ძველის მასშტაბებზე, რომლის საცხოვრისის საერთო ფართო ოცობედ ჰექტარით განიზომება.

ძველის მეორე თავისებური ნიშანია სამოსახლოს გამაგრებაზე განსაკუთრებული ზრუნვა, რაც მისი ორი თხრილითა და ქვის გალავნით შემოსულუდაში გამოიხატება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი შრომატევადი სამუშაოების შესრულება შეეძლო მძლავრი ეკონომიური საფუძველის მქონე, კარგად ორგანიზებულ ადამიანთა დიდ ჯგუფს.

ნამარნუს მესამე თავისებურებაა ქალაქური ტიპის სამოსახლოებისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი მაღალმხატვრული ორნამენტით შემკული კერამიკისა და იმპორტული მასალის მოჭარბება.

არც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი და არც კოლხეთის დაბლობში ჩვენი ხანგრძლივი მიზანდასახული მუშაობის პრაქტიკაში არ შეგვხვდებოდა ხელოვნურ ბორცვებზე გაშენებული ისეთი სამოსახლო, რომელსაც ნამარნუს გორანამოსახლარის მსგავსი ნიშანთა ერთობლიობა ახასიათებდეს.

ნამარნუსადმი ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს მისი მდებარეობა კოლხეთის უდიდესი მდინარის რიონ-ფაზისის აუზში, სადაც ანტიკური ხანის ბერძენ მწერალთა ცნობების მიხედვით არა ერთი „ელიური“ თუ ადგილობრივი ქალაქი არსებობდა, გამორჩეული არ არის, რომ სწორედ ერთ-ერთი მათგანის ნაფუძვართან გვეკონდეს საქმე ნამარნუს ვრცელი ნამოსახლარის სახით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენი მწერლის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსის“ ცნობა, რომელშიც საუბარია ფასისის სანაპიროზე „ბარბაროსული“ ე. ი. ადგილობრივი დიდი ქალაქის არსებობის შესახებ.<sup>1</sup> ცნობაში ნათქვამია „...მდინარის (ფასისის გ. გ.). შემოთ აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო შედგა. აქ არის მდინარე რისი“.

ამრიგად, სკილაქსის „პერიპლუსში“ არა მარტო იხსენიება კოლხეთის ტერიტორიის სიღრმეში არსებული დიდი ქალაქი, არამედ შეძლებისდაგვარად მოცემულია მისი ლოკალიზაციის ცდაც, ცალკეული გეოგრაფიული პუნქტებისა თუ ამ პუნქტების შორის მანძილის განაზომების ჩვენებით. წყაროს მიხედვით ვიცით მანძილი სამივთ ქალაქსა და ზღვის სანაპიროს შორის, რაც 180 სტადიონს ანუ 34 კმ უდრის<sup>2</sup>. ბუნებრივია, აქ იგულისხმება ზღვის ძველი სანაპირო, რომელიც არქეოლოგიური და გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე თანამედროვე სანაპიროდან რამდენადმე აღმოსავლეთით, პატარა ფოთსა და სოფ. საჭორქიოს შორის ივარაუდება<sup>3</sup>.

ხსენებული „პერიპლუსი“ გზამკვლევის დანიშნულების ნაშრომია და მანძილი საძიებო ქალაქამდე უნდა გაიზომოს მდინარე ფასისის გაყოლებით და არა პირდაპირი ხაზით.<sup>2</sup> თუ ამას გაეითვალისწინებთ, ზღვის ძველი სანაპიროდან 34 კილომეტრს მიე-



ყვართ სოფ. კოდორთან. აქ რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს „ნამარჩქველსუნი ვფიქრობთ ასეთი დამთხვევა უთუოდ საგულისხმო ფაქტია.

მართალია, წყაროში პირდაპირ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ მდინარე ფასისის რომელ სანაპიროზე მდებარეობდა „დიდი ქალაქი“, მაგრამ გეოგრაფიული პუნქტების თანმიმდევრული ჩამოთვლის ფსევდოსკილაქსიესული მეთოდის (ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ) გათვალისწინებით „ბარბაროსების ქალაქიც“ ფასისის მარცხენა სანაპიროზეა საგულეველი. საძიებო ქალაქი მდ. ფასისისა და მისი მოსახლე ქალაქის შემდეგ იხსენიება და ამდენად იგი უფრო სამხრეთით უნდა არსებულებოდა, რომლის მახლობლად „პერიპლუსის“ მიხედვით, მიეძინებოდა მდინარე რისი. მდ. რისს ფსევდო-სკილაქსი უშუალოდ „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ შემდეგ იხსენიებს და, როგორც ჩანს, იმავეთვე გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ქალაქის ადგილმდებარეობის დაზუსტებაში. სამწუხაროდ მდ. რისის ლოკალიზაციის საკითხი ჯერ-ჯერობით ბურუსით არის მოცული. საჭმეს განსაკუთრებით ის ართულებს, რომ ამ მდინარეს ფსევდოსკილაქსის შემდგომი ხანის ავტორები არ იხსენიებენ.

დღეისათვის მდ. რისის ადგილმდებარეობის შესახებ გამოთქმულია ორი ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრება. პირველის მიხედვით რისი იგივე მდ. რიონია, მისი დინების ზემო ნაწილში,<sup>1</sup> ხოლო მეორე თვალსაზრისით რისი მდინარე ტეხურთანაა გაიგივებული.<sup>2</sup> ვფიქრობთ უნდა განვუღებდეს მდ. რისის გაიგივება მდ. ტეხურთან, რადგან, ჩვენის აზრით, „ბარბაროსების დიდი ქალაქი“ საძიებელი ჩანს ფასისის მარცხენა სანაპიროზე.

„პერიპლუსის“ ავტორი, ალბათ, ვერ იგულისხმებდა მდ. რიონის ზემო დინებას (თუ რიონს აქ რისი ერქვა), რადგან იგი მხოლოდ ფასისის ქვემო წელზე საუბრობს, შესართავიდან 34 კმ. მანძილზე, ე. ი. დაახლოებით სოფ. კოდორამდე.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მდ. ფასისი ქვემო დინებას თანამედროვე ქუთაისამდე თუ არა მდ. ყვირილას შესართავამდე მაინც არასოდეს რქმევია „რეან“ „რისი“ ან სხვა რამ, ვიდრე მთლიანად არ იცვალა მდინარემ სახელწოდება. კიდევ მეტიც, თუ რიონის რომელიმე ნაწილს ოდესმე ეწოდებოდა ფასისი, პირველ რიგში ეს უნდა რქმეოდა მას დინების ზემო ნაწილში, იქ, სადაც ფასი ძირიანი ტოპონიმების გაჩენის რეალური, გეოგრაფიული პირობები არსებობდა. ამ ტოპონიმების წარმოშობის თავდაპირველ ადგილსა და გარემოზე უნდა მიგვითითებდეს კავკასიის მაღალმთიან ზოლში ფასის ფუძიანი ტოპონიმების თუნდაც თანამედროვე გავრცელება; ფასისის მთა (ზემო რაჭაში), ფასისის წყარო (რიონის სათავე), ფასისის მთა (აბასთუმანთან); ფასისის სოფელი კავკასიონის ჩრდილო კალთაზე, ფასის — რაღი — სოფელი მდ. ჯეჯორას ხეობაში და ა. შ.

კავკასიის მაღალმთიან გარემოსთანაა დაკავშირებული აგრეთვე მითოლოგიური ფრინველის ფასკუნჯის სახელი, რომლის პირველ ნაწილში ფუძე ფას-ი გამოიყოფა. ფას-კუნჯი ქართული და ოსური ფოლკლორული გადმოცემებით ფრინველთა მეფეა, ბრძენად, სამყაროთა (ზესკენლისა და ქესკენლის) ურთიერთ დამაკავშირებელ — ადამიანის შემწე არსებებადაა მიჩნეული ფოლკლორში, როგორც გარეგნული ნიშნებით, ისე შინაგანი ბუნებით ფასკუნჯის ორეულად ყოველთვის არწივია გამოყვანილი, რაც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ კავკასიის მაღალმთიანი გარემოს ფაუნისტურ სამყაროში გაბატონებული ფრინველი — არწივი გარკვეული ტომის-ტოტემად გახდომის შემდეგ შეიმოსა ფანტასტიკური ნიშნე-



ბით და მიიღო ფასკუნჯის სახე. სწორედ ამ კულტის მიმდევარი ტომებე<sup>1</sup>ს, <sup>1</sup>ქუჩაუბლდე<sup>2</sup> ფასიანების, სამოხახლო ტერიტორიაზე უნდა გაჩენილიყო თავდაპირველად<sup>3</sup> ტომების ძირი ტოპონიმები: ფასის მთა, ფასის წყარო, ფასის მდინარე, ფასის სოფელი, ფასის ქალაქი და ა. შ.

ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ ნუქძღებელია მდ. რიონის რომელიმე ნაწილს რქმეოდა მდ. რ ი ს ი და მით უფრო მისი დიხების ზემო ნაწილში, იქ, სადაც ასე ფართოდ არის გავრცელებული ფას-ფუძიანი ტოპონიმები და საიდანაც იღებს სათავეს თვით ჰიდრონიმი ფასისი.

მდ. რისს ფსევდო-სკილაქსი იხსენიებს მდ. ფასისისა და „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ შემდეგ.<sup>2</sup> გეოგრაფიული პუნქტებისა თუ ტომების ჩამოთვლის ნიაბური მეთოდის თანახმად ეს იმას ნიშნავს, რომ მდ. რისი საძიებელია მდ. ფასისის კიდევ უფრო სამხრეთით და არა სადმე სხვაგან.

კოლხეთის დაბლობში რიონის სამხრეთით მდებარე პირველი მდინარეა ფიჩორი და, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „პერიპლუსში“ მოხსენებულია, სწორედ ეს მდინარე. მაგრამ მართკო ამ ნიშნით მისი მდ. რისად გამოცხადება დამაჯერებელი ვერ იქნებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, სკილაქსი ყველა მდინარეს არ იხსენიებს.

მდ. რისის ლოკალიზაციის საქმეში გარკვეულ დახმარებას გვიწვევს პ ლ ი ნ ი უ ს ი და ა რ ი ა ნ ე, რომლებიც იხსენიებენ ფსევდო-სკილაქსის მიერ რისის შემდეგ დასახლებულ მდ. ი ს ი ს ს. თუ გავიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ი ს ი ს ი თანამედროვე მდინარე ნატანებია,<sup>4</sup> მაშინ საძიებო მდინარის გეოგრაფიული არეალი საკმაოდ დაუწიროვდება. ჩრდილოეთიდან მდ. რიონი, სამხრეთიდან კი მდინარე ნატანები. ეს ის ტერიტორიაა, სადაც რიონის შემდეგ 2 კმ-ზე ფიჩორი მდებარეობს, ხოლო 10 კმ. იქით მდ. სუფსაა. როგორც უკვე ითქვა, რიონთან სიახლოვის გამო, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი ფიჩორს უნდა მიენიჭოს.

ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ მიხედვით ხომ, მდ. ფასისის მახლობლად არ სებულ ქალაქს უშუალოდ ემუშობლება მდ. რისი „...მდინარის (ფასისის გ. გ.) ზემოთ აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო შედეა. აქ არის მდინარე რისი, მდინარე ისისი, მდინარე ლესტონი და მდ. აფსაროსი.“<sup>2</sup>

ერთი შესვლით, აქ თითქოს ქალაქის მოხსენიების შემდეგ კოლხეთის მდინარეების უბრალო ჩამოთვლაა, მაგრამ ამ ცნობის ერთი ადგილი მდ. რისის მიმართ მაინც ამგვარ გაგებას არ ეთანხმება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „მედვას ქალაქსა“ და მდ. რისს შორის დასმული ადგილის გარემოება (ენტაითა) რაც ქალაქისა და მდინარის სიახლოვის ხაზგასმია და ნიშნავს: ს წ ო რ ე დ, ა ქ, ა ქ ვ ე, ა ხ ლ ო ს. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ ფსევდო-სკილაქსი გეოგრაფიული პუნქტების ჩამოთვლის სტა შემთხვევებში ასეთ ფორმას არ ხმარობს.

აქედან ვამომდინარე, ირკვევა, რომ მდ. რისი, რომელიც უშუალოდ ემუშობლება ბარბაროსების ქალაქს, დიდი მანძილით არ უნდა ყოფილიყო დაცილებული მდ. ფასისს დღეისათვის რიონთან ასეთ დამოკიდებულებაში მხოლოდ ფიჩორი იმყოფება და თუ რიონი ფასისია, რაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაშინ მდ. ფიჩორი რისად უნდა მივიჩნიოთ.

თუ ასეთი ვარაუდი სწორია, ე. ი. ფ ი ჩ ო რ ი ძველი რ ი ს ი ა, მაშინ გასაგებია მომდევნო ხანის წყაროებში მისი მოუხსენებლობა. იგი ხომ არც უშუალოდ ერთუის ზღვას და არც თავისი სანაოსნო მნიშვნელობით იქცევს ვურადლებას. ფსევდო-სკი-

ლაქსის მისი მითითება დასტირდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბარბაროსების დიდი ქალაქის მდებარეობა კიდევ უფრო დაეზუსტებინა.

თუ ამ ორიენტირით ჩვენც ვისარგებლებთ, კიდევ ერთი საბუთი შეგვემატება. ფიზიკის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნამოსახლარის ნამარნუსა და „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ იგივეობის მტკიცებისათვის.

ამ თვალსაზრისით თითქოს საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ნამარნუს ვტიმოლიგური ძიების შედეგებიც. ტოპონიმი „ნამარნუ“ თუ „ნამარანუ“ თავისი გრამატიკული აღნაგობით სამ ნაწილად იყოფა: წარსული დროის მაწარმოებელ ნა-პრეფიქსად, უ სუფიქსად და ფუძე მარნ-ად. ამგვარად ნაწარმოები ტოპონიმები დღესაც ფართოდაა გავრცელებული სამეგრელოში: ნა-ჯიხ-უ, ნა-ოხვამ-უ, ნანდუ-უ ნა-ოჯალ-უ და ა. შ.

მარნა-მარან ძირიანი ტოპონიმებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოში. ასეთებია მარნული ქვემო ქართლში, მარანა შიდა ქართლში, მარანი მესხეთში, მარანი აბაშის რაიონში, ნამარნუ სოფ. საქორჭიოს ქვემოთ, ფოთის ტყეებში და ბოლოს, ჩვენი გორანამოსახლარი „ნ ა მ ა რ ნ უ“.

სახლური ვტიმოლოგიის მიხედვით, ამგვარი ტოპონიმების გაჩენა დაკავშირებული უნდა იყოს ამ ტერიტორიებზე ოდესღაც „საღვინე სახლების“ მარნების არსებობასთან. ამგვარ ახსნას ზოგიერთი მკვლევარიც იზიარებს (კ. ვლიადა), მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ ის, რომ მარნა-მარან ფუძიანი ტოპონიმები დასავლეთ საქართველოში მაინცდამაინც გავრცელებულია კოლხეთის დაბლობის სწორედ იმ ნაწილში, რომელიც მევენახეობის რაიონში არ შედის და ზედმეტი სინოტივისა თუ ნიადაგის თავისებურების გამო, იქ კოლხეთის გარემოს კარგად შეგუებული იზაბელას ჯიშის ვენახსაც კი უჭირს არსებობა.

მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გვეფიქრა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კოდორის ნამარნუს ასეთი სახელწოდება შესაძლოა შერქმეოდა იმ ამფორის ძირების გამო, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა გლეხებს ნიადაგის დამომუშავებისას, რაც გარეგნული მსგავსებით, მათ შეეძლოთ ქვევრის ქუსლებად გაეაზრებინათ, ქვევრი კი, როგორც ვიცით, მარნის განუყოფელი ნაწილია.

რასაკვირველია, ცალკულ შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული, მაგრამ ჩვენი აზრით, ხსენებული ტოპონიმების წარმომავლობის უფრო საინტერესო და სარწმუნო გზებიც მოიძებნება.

კერძოდ, ძველ ქართულში „მ ა რ ნ ა“ „მარნული“ ბოტანიკური ტერმინი ჩანს და მცენარის (ხის) გარკვეულ სახეობას ეწოდება. საბას მიხედვით „მ ა რ ნ ა წ ვ რ ი ლ ი ტ ი რ ი ფ ი (ხე)“-ა; იქვე განმარტებულია „მ ა რ ნ ე უ ლ ი მ ა რ ნ ა ს რ ტ ო თ ა გ ა ნ (ხე)“ „...ესე ტირიფი ოთხგვარია: (ძეწნა) ა რ ს ბ რ ტ ყ ე ლ ფ უ რ ც ე ლ ა ...წ ო რ ი ა რ ი ს თ ე ი მ დ გ ა რ ი წ ყ ლ ც ს პ ი რ თ ა, ხოლო მ ა რ ნ ე უ ლ ი ვ ე ნ ა ხ თ ა შ ე ს ა ყ ე ლ ა ვ ი“.<sup>7</sup> როგორც მოტანილი ცნობიდან ჩანს, ძველ ქართულში მარნული ტირიფის ერთგვარ სახესხვაობას ეწოდებოდა. ძველად ტირიფის ასეთი სახელწოდება ფართოდ ყოფილა გავრცელებული ჩვენში, რასაც უნდა მოწმობდეს როგორც ზემო ისე ქვემო იმერეთის ცოცხალ მეტყველებაში დღემდე შემონახული ყვითელი ტირიფის სახელწოდება — მ ა ნ ე უ ლ -მ ა რ ნ ე უ ლ ი.<sup>8</sup> ამასვე მოწმობს გურიაში გავრცელებული სახელწოდება მ ა ნ ო უ ლ ი და მ ა ნ ე უ ლ ი, რაც ვაზის ასახვევად ან შუმის შესაკრავად გამოყენებულ მცენარეთა ტოტების აღსანიშნავად იხმარება (რ. რამიშვილი).





ამგვარად აშკარაა, რომ მარნა-მანეულ-მარნეული ტერიფის ერთ-ერთი ძველი სახელწოდებაა და შესაძლოა იგი ქართული ფუძე-ენის კუთვნილებაც კი უნდა იყოს.<sup>8</sup>

როგორც ცნობილია, ტერიფი ბიოლოგიური თვისებებით მიეკუთვნება „წყალმცენარე“ მცენარეთა ჯგუფს და უმეტესად გავრცელებულია მდინარეებისა თუ ტბა-ტაობების პირზე, ყველგან, სადაც კი წინადაგს მტეი ტენიანობა გააჩნია, კავკასიაში ასეთი ნიშნებით ყველაზე უფრო კოლხეთის დაბლობი ხასიათდება და ამდენად, ყველა პირობა არსებობს ისეთი წყალმცენარე მცენარების გასავრცელებლად, როგორც არის ტერიფი, ძეწა და მათ ოჯახში შემავალი მარნა თუ მარნეული. კოლხეთის გეოგრაფიული გარემო დღეისათვის კარგად იცნობს დასახლებულ მცენარეებს და, რომ ასეთივე სურათი ყოფილა უფრო ადრეც, ამას გვიდასტურებს აქოლონიოს როდოსელი ის არგონავტიკის ერთი ადგილი, რომელიც კოლხეთში მოსული არგონავტების პირველ მთაბუჭდილებას ეხება. არგონავტებმა შენიშნეს, რომ აქ „მრავლად იყო აღმოცენებული ტერიფი და ძეწა, რომელთა კენწეროებზე თოკებით მიკრული გვამები იყო ჩამოკიდებული“.<sup>9</sup> როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, ტერიფი და ძეწა ოდითგანვე ყოფილა დამახასიათებელი კოლხეთის გეოგრაფიული გარემოსათვის და არაფერია უცნაური, რომ ამ მცენარეთა მეტნაკლებად ჭარბად გავრცელების რაიონებისა თუ ცალკეულ პუნქტების სახელწოდებას წარმოშობას სწორედ ეს ნიშანი დასდებოდა საფუძვლად. ნა-მარნ-უს ფუძე საეხებით იმეორებს ძველი მარნა-ტერიფის სახელწოდებას. კოდორის ნამარნუ ისეთივე წარმოშობისა ჩანს, როგორცაა ქობულეთის ფიჭვნარი, აფხაზეთის ბიჭვინტა, სამეგრელოს ჭყონდიდი, იმერეთის დღნარი, ქართლის თელოვანი, კახეთის წნორი და სხვ.

ტოპონიმ ნამარნუს ტერიფიდან მომდინარეობას მხარს უჭერს აგრეთვე ერთი ფოლკლორული ცნობა, რომელიც სოფ. კოდორში („ნამარნუში“) ჩაეწერათ. ცნობის მიხედვით, ნამარნუ-კოდორში აღდგომის შემდეგ პირველ კვირა დღეს იმართება დიდი რელიგიური დღესასწაული „ტირიფობა“, რომლის ცენტრალურ მომენტს შესაწირავი ხარის დაკვლა და სახლის სვეტების ტერიფის ტოტებით მორთვა შეადგენს.<sup>10</sup> ეს დღესასწაული უმთავრესად კოდორ-ნამარნუს კუთვნილებაა, რასაც პატივს სცემენ მეზობელი სოფლები (გულეიკარი, სირიაჩქონი, საგვიჩიო და სხვ.) და უქმობენ კიდევ, ნაგრამ ისინი ხარს არ კლავენ და არც სხვა რამ რიტუალს ახრულებენ.<sup>11</sup>

დღესასწაულის სახელწოდება, რიტუალის შინაარსი და არგონავტიკის ცნობა კოლხების შესახებ<sup>9</sup> უთუოდ ამ მცენარის საკულტო ხასიათზე მეტყველებს, რაც წარმართული სამყაროდან უნდა მომდინარეობდეს. ამ შემთხვევაში ხის კულტის კიდევ ერთ გამოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც ასე ფართოდ იყო გავრცელებული წინაქრისტიანული ხანის საქართველოში.<sup>12</sup>

მარნა-ტერიფის ძლიერი კულტის არსებობამ იქნებ განაპირობა ახ. წ. IV-V საუკუნეებში ნამარნუს ცენტრალურ ბორცვზე ქრისტიანული ტაძრის (?) აგება, რომლის ნაშთებს, შესაძლოა, წარმოადგენდეს 1971 წ. საძიებო თხრისას აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთები. როგორც ცნობილია წარმართული ღვთაების ადგილზე ჯვარისა თუ ტაძრის აგება ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების ერთ-ერთი ხერხია, რაც ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს შეუნიშნავს. „უამხა ქრისტიანობისასა ნაკერპავთა მათ მათა მალალთა და ბორცვთა ზედა ესე-ვითარივე იყო განცხრომა-როკვანი. ამისთვის აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებდნიან მუნ, ვითარცა აწ ფერხისა სიმღერითა გაათენიან“.<sup>13</sup>



ბუნებრივია, ქრისტიანული რელიგიის მესვეურთა ყურადღების სფეროში პირველ რიგში უნდა მოქცეულიყო სწორედ ის პუნქტები, სადაც წარმართული რელიგიის ძველი ცენტრები და ამ კულტთან დაკავშირებული ცენტრები არსებობდა.

ამ თვალსაზრისით ნამარნუს ცენტრალურ ბორცვზე კირსსნარზე კვა-აგურით ნაგები და კრამიტით გადახურული ტაძრისებური შენობის ნაშთების გამოვლენა უთუოდ საგულისხმო ფაქტია.

დასასრულ, ნამარნუსა და „ბარბაროსების ქალაქის“ იგივეობაზე მსჯელობისას ანგარიშ გასაწევია ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ ბარბაროსების ქალაქთან დაკავშირებული ცნობის ერთი ადგილი, სადაც ჩართულია სიტყვა მ ა ლ ე ნ ი.

მალენის მნიშვნელობა არა ერთხელ გამხდარა მკვლევართა მსჯელობის საგანი,<sup>14</sup> ნამარნუს მიდამოების ტოპონიმიკიდან გამომდინარე „პერიპლუსის“ ტექსტში „მალენის“ არსებობა ჩვენ ინტერეს მოკლებულად არ გვეჩვენება. ყერილობითი წყაროს ანალიზმა, არქეოლოგიურმა მასალებმა, ფოლკლორულმა და ენობრივმა მონაცემებმა „ბარბაროსების დიდი ქალაქის“ ძიებისას რიონ-ფიჩორის ორმდინარეთს შუამდებარე ნამარნუს ნამოსახლართან მიგვიყვანა.

აქ საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ნამარნუ მდებარეობს ს. კოდორის უფრო სწორად გაღმა-კოდორის ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივ მეგრულ დიალექტზე მელე-კოდორი ეწოდება. ხომ არ შეიძლება სწორედ ეს ადგილობრივი სიტყვა მელენი სახელიყო „პერიპლუსში“? ვფიქრობთ, რომ შეიძლება „პერიპლუსის“ ავტორს, ადგილობრივი მთხრობელისაგან ქალაქის შესახებ ცნობა უნდა მიეღო ჯერ კიდევ მაშინ, როცა მდ. ფახისის მარჯვენა ნაპირზე იმყოფებოდა. შესაძლოა მთხრობელმა ვერ გააგებინა ჩამწერს მელენის შინაარსი, მაგრამ ავტორმა მაინც შეიტანა იგი ტექსტში, როგორც ქალაქის ადგილმდებარეობის მანიშნებელი ერთი დეტალი. ე. ი. თუ გამოთქმული ვარაუდი სწორია და მალენი ადგილის გარემოებაა, ზემოაღნიშნული სტრიქონები „პერიპლუსში“ სრული სახით ასე წაიკითხებოდა — „გაღმა დიდი ქალაქი“ (იხ. გაღმა შუა ხორგა) რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი მხოლოდ ვარაუდია, თანაც, დიდი პირობითობით.

ასეთია ჩვენი დამოკიდებულება ნამარნუს ვრცელი ნამოსახლარისა და ბარბაროსების გაღმა დიდი ქალაქის იდეტიკაციის საკითხებთან დაკავშირებით.

რასაკვირველია, გადამწვევტი სიტყვა ნამარნუს ფართო მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ვკუთვნის.

<sup>1</sup> Ю. Н. Воронов, Об Эшерском городище. СА. 1972, М., стр. 107—108.  
<sup>2</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1967, გვ. 48-49, 15, 37.  
<sup>3</sup> იხ. მ. ბერძნიშვილი, ქ. ფახისის ლოკალიზაციისათვის, თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIII, 1942, გვ. 1-24; თ. შიქელაძე, ქ. ფოთისა და მის მიდამოებში 1961 წ. ჩატარებული სველე სამუშაოების შედეგები, საქართველოში 1961 წ. ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები (სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი) თბ. 1962 წ. გვ. 46-51.  
<sup>4</sup> ს. ვანაშია, შრომები, ტ. II, 1952 წ. სტატია „ფასილი“, თბილისი, გვ. 275.  
<sup>5</sup> მ. ჩიქვანი, ქართული ხალხური ზღაპრები, თბილისი, 1938 წ. გვ. XXV-CII; მ. ჩაჩავა, ფასქენი ქართულ ხალხურ ეპოსში, ქართული ფოლკლორი, III, თბილისი 1969, გვ. 253 — 265.



6 Л. Ельницкий, Из исторической географии древней Колхиды, ВДН, 1938, стр. 311.

7. ლავიეს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის ვარშეშო, თარგმანი, გამოცემა თბილისი, 1961, გვ. 88.

8. სელხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი (გამოიცა პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით) თბილისი, 1928 წ. გვ. 46.

9. იბ. ა. შავაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი 1961 წ. გვ. 46.

10. აპოლინიოს რიდიხელი, არგონავტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წიგნბეჭდვითა და განმარტებები დაერთო აკაკი ვრდუშაძემ, თბილისი 1948. გვ. 116.

11. ცნობა ნაეწერეთ სიფ. კოდორში, მახრობელი — კლომენტი ბენედიქტეს ძე მიქაძე, 73 წლისა.

12. ტრიფილის დღესასწაულის გერიაშიც არსებობის შესახებ ცნობა მოგვაწოდა აკად. გ. ჩიტაიამ, რისთვისაც მადლობას მოვასხნებთ.

13. ვ. ლომია (მარდაველიძე) ხის კულტი საქართველოში. საქ. მეზეუმის მოამბე, ტ. III, 1937 წ. გვ. 164-178.

14. ვახუშტი, ყანაშვილის გამოცემა, გვ. 14.

15. გეორგია, 2. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ; ტექსტები ქართული თარგმანიურით გამოცემა და განმარტებები დაერთო აკად. ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1965, გვ. 23. თ. ყაუხჩიშვილი, დსახ. ნაშრ. გვ. 36.



**ბავშვების კლასიფიკაციის სარკოფიკი**

საქართველოში აღმოჩენილ ქვის ხანის ნაგებობათაგან საინტერესო ყურადღებას იმსახურებენ ქვის სარკოფიკები, რომლებშიც აღმოჩნდა სამარხეული მასალა. ასეთებია არჩაზის ხეობის, ბაგინეთისა და ბალიჭის სარკოფიკები. არმაზის ხეობისა და ბალიჭის სარკოფიკებს, მათში აღმოჩენილ ინვენტარს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს.

წინამდებარე წერილი სინამდვილესა და ბავშვების სარკოფიკში აღმოჩენილ მასალა კულტურის ძეგლთა მოყვარულების ფართო წრეს მიაწოდოს.

ბავშვების არქეოლოგიურმა გეგმადივიამ (სელმძღვანელი აკაო. ს. ჯანშია) ძველი დედაქალაქის შიდაციხის კლდეებში 1948 წელს აღმოაჩინა ორფერდასაბურავიანი ქვის სარკოფიკი. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) როფი ანუ მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი ყუთი და ბ) ახვევ მთლიანი ქვისაგან გამოთლილი ორფერდასაბურავი. ქვის ნაწილები ერთმანეთთან მტკიცედ იყო დაკავშირებული რკინის ბრტყელი, ორთავბოლო მოღუნული გამირებით, რომლებიც საინტერესოდ ტყვიით ჩაუღებიათ ხამხამოდ ამოკვეთილ ბუდეებში.

სამარხი თითქმის სავსე აღმოჩნდა ჩადგმული და ჩაყრილი ოქრო-ვერცხლის ნივთებით და ამის გამოც იყო მიჩნეული ბავშვების სარკოფიკი სამეფო კარის წევრის კუთვნილებად, სამეფო სამარხადე ე. ი. ამ აზრს წინაშე უჭერდა ისიც, რომ ეს ფრიად მდიდრული სამარხი აღმოჩნდა სამეფო რეზიდენციის საერაულად უბანში (ძველი დედაქალაქის შიდაციხეში).

ბავშვების სარკოფიკში აღმოჩნდა:

1-4. სარგველის (საერძლის) ხის ქანდაკოვანი ფეხების ვერცხლის გარსაკრავები (4 ცალი). გამოსახულია ხბილოზე შემჯდარი ფანტასტიკური ფრინველი (ფასკუნჯი?).


5. ქილა ვერცხლისა: პირფართო, ყლიანი, სფერულმუცლიანი და ცალყურა.

6. ჯამი ვერცხლისა: პირფართო, ღრმა, დაბალი, თანაც გადმოშლილქულიანი. გარე შედაპირის მოკრძო და ღრმა უბეებს შეესატყვისება ასეოივე მოყვანალობის ამოხრეკილობა ქურძლის შიდა შედაპირზე. ძირის გარე შედაპირზე ნახვლეტი წერტილებით გამოყვანილია არმაზული წარწერა.

7. პინაკი ვერცხლისა: პირფართო, დაბალი და დაბალქულიანი. ფსკერის შიგნითა შედაპირზე მოხრდილი ოქროფერილი მედალიონია, რომელზეც გამოხატულია წვეროსანი, დაუნისგვირგვინიანი მამაკლის მოსტი.

8. ფილა ვერცხლისა: პირფართო, დაბალი და დაბალქულიანი. კალიების შიდაშედაპირი დაფარულია ვიხის რქის, ფილისისა და ყურძნის წვერების რელიეფური გამოსახულებით. ფილის შიდა, ქურძნის შიდაპირის შეესატყვისება მისი კალიების გარე შედაპირის ჩადგმული გამოსახულებით.

9. ქურძელი ვერცხლისა: პირფართო, ტანი ცილითორული ქვე, ქუსლი დაბალი, ორყურა. ტანის გარე შედაპირი უმჯობესა არხილორი ხამკალებით შემოსაზღვრული, თავმოხრეკილებული, თანაც შემოღობული ფარებისა და ბახუსის ღრტყებით შემკული კვრთხების მოხვედრებით. ძირის გარე შედაპირზე წერტილოვანი და ნაკაწრი არმაზული წარწერებია.



ბაგინეთის სარკოფაგი. გეგმა. ფასადი. გვერდზელი. ნახაზი ი. ცოციშვილისა

10. თასი ვერცხლისა: დაბალი, ნახევარფერული და დაბალქუსლიანი. ორმაგედლიანია და გარეთა მხარეზე კალთები შემკულია რიტუალური, სასახიობო და ნადირობის სიენებით. ეს სამკაული ორ ფრინად შემოსდევს თასს. ძირის ვარე ზედაპირზე ამოკარულია არმაზული წარწერა.
11. ლამბაქი ვერცხლისა: პატარა, ბრტყელი, დაბალქუსლიანი, მასიური. პირი შემკულია ღუზის, ზღვის ცხოველების (თევზები, კიბორჩხალები), ფრინველების, სათევზაო კალათებისა და სხვ. გამოსახულებით, ქობა კი „ოვ“-ების მოტივით. ძირზე გარედან ამოკარულია არმაზული წარწერა.
12. ჯამი ვერცხლისა: პატარა, დაბალი, პირფართო, პირგადაშლილი, ორმაგედლიანი, ქუსლიანი. ჯამის კალთები გარეთა მხარეზე დაფარულია ხშირი რელიეფური ღარებით. შიდა კალთები გლუვია. პირი შემკულია სტილიზებული მცენარეული სამკაულით. ძირზე მკრთალი ნაკაწრი ხაზებია (წარწერა?).
13. ციცხვი ვერცხლისა: კოვზი ღრმა, ნახევარფერული, გლუვზედაპირიანი. მას რგოლით დამთავრებული გრძელი, მრგვალი პავთულის ტარი აქვს.
14. ციცხვი ვერცხლისა: ისეთივეა, როგორიც წინა, მაგრამ საგრძნობლად პატარა კოვზი აქვს.
15. კოვზი ვერცხლისა: პირი მოგრძოა და ფოთლისებრი. ტარი დაწახნაგებულია და წყლის ფრინჯლის (იხვი?) თავის სტილიზებული გამოსახულებით სრულდება. კოვზის ტარის ქვედა წახნაგზე წერტილოვანი არმაზული წარწერაა.
16. პინაკი ვერცხლისა: პირფართო, დაბალი, დაბალქუსლიანი; პირიზონტული, კიდებჩამოკეცილი, ფართოდაშლილი ნაპირი აქვს, პინაკის ზედაპირი სა-



ბაგინეოსის სარკოფაგი გახსნამდე.  
მეორე პლანზე: აკად. ს. ჯანაშია და  
ნუმიზმატიკოსი დ. კაპანაძე.

ერთოდ გლუვია (შემკულია მხოლოდ მედალიონი და ბრტყლად გადაშლილი ნაპირი).

სამკაული წარმოადგენს თევზების, მედუზების, ნიჟარების, წყლის ფრინველების, ნიჟარებითა და თევზებით ავსებული კალათების გამოსახულებას. ძირზე გაურკვეველი ნაკაწრია (წარწერა?).

17-21. სარკეები ვერცხლისა და ვერცხლის სარკეების ნატეხები. სარკეები შრგვალია, ბრტყელი, შავად გაპრიალებული, ოდნავ ამობურცული, ნაპირები ოდნავ შესქელებული აქვს. აქვთ ასეთივე სარკეების ნატეხები.

22. ლურსმნები ვერცხლისა წვრილი, მოკლე და ფართოქუდიანი.

23. მონეტები ვერცხლისა (რომაული დინარები): ავეუსტე კეისრისა (ძვ. წ. 27-ახ. წ. 14 წწ.); ტრაიანესი (98-117 წ.წ.); ადრიანესი (117-138 წ.წ.); ფაუსტინა უფროსისა (გარდაიცვალა 141 წ.).

24. ყელსაბამი ოქროსი: მსხვილი ძეწკვი წარმოადგენს ოქროს მავთულის რგოლების რთულ წნულს ასხმას. თავსა და ბილოში ოქროსივე თვალედი საკეტი მოწყობილობა აქვს.

25. ყელსაბამი ოქროსი: წვრილი მავთულის ძეწკვზე აცმულია პასტის ხამი მსხვილი მძივი.

26-27. სამაჯურები ოქროსი: არათანაბარი სიმსხოს გულსავსე მავთულის ბოლოები მოპირდაპირე მხარეებზე სამხვიად აქვთ გადახვეული ისე, რომ შეიძლება სამაჯურების გამლა-გაფართოება და დაპატარაება.

28. სამაჯური ოქროსი: ორნაწილელი: ა) საკუთრივ სამაჯური, ბ) უსწირო ოვალური მედალიონი, რომელშიაც ორფენოვან, დიდ ოვალურ სარდიონ-ფრცხილის თვალზე გამოკვეთილია ქალის მკერდზედა გამოსახულება მარჯვენა პროფილში.

29. სამაჯური ოქროსი: ისეთივე, როგორც წინა, მხოლოდ ქალის გამოსახულება მარცხენა პროფილშია.



შავინეთის სარკოფაგო სელი ნახუ-  
რავის ახლის შექმნა

მეტი შეჯამებულობაში აღმოჩნდა სარ-  
კოფაგის ღებოთა ჩუქურთმითვისი გარ-  
საკრებები ვერცხლის სარკოფაგის სარ-  
ხურავის ძეგლისას





ვერცხლის თასი შემკული რიტუალურ-სახსიხობო და ნადირობის სცენებით

30. ბეჭედი ოქროსი: თვალური, თვალედი, ფუფე, საეხებით გლუვზედაპირიანი. სათითური თვალური აქვს, თვალბუდე ფართო, რომელშიაც წის წაკვეთილკონუსისებრი ქალცედონის (ონიქსი?) თვალი.

31. ბეჭედი ოქროსი: პატარა, თვალედი. რკალი შიგნიდან გლუვია, გარედან კი რომბულ სახეებად დაწახნაგებული. რომბულ თვალბუდეში ჩასმულია ალმანდინი (?) რომბული, გლუვზედაპირიანი თვალი.

32. ბეჭედი ოქროსი: გულსავე, არათანაბარი მავთულისა. ბოლოები შობირდაპირე წინარეზე აქვს გადახვეული და საჭიროებისამებრ ბეჭდის ვაშლა-დაპატარაება შეიძლება. ერთიმეორეზე გადასული და გადახვეული მავთულის ერთი ღერო გაყრდილია ოქროს კოჭში, რომელიც გარედან დატიხრულია თვალბუდეებად ამითში შემორჩენილია მხოლოდ 2 პირიპისა და 1 დაბერებული ფირუზის თვალი.

33. ბეჭედი ოქროსი ფირფიტისა: პატარა, თვალედი, ნაკვეთი რკალი რომბულსახოვანია. თვალურ თვალბუდეში თდნავ ამოთურცული ალმანდინის თვალი წის, ბეჭდის მხრებზე კი ოქროს ორი პატარა ბურთულაა.

34. ბეჭედი (საბეჭედავი) ოქროსი: ფუფე, პატარა. თვალბუდეში წის სერდოლიკის ფართო, თვალური თვალი, რომელზეც ამოკვეთილია პურის ყანაში მდგარი ვაცის გამოსახულება მარცხენა პროფილში.


35. დუგმის ნაწილები (დედალ-მამალი) ოქროსი: თვალედა, ვუნწებიანი, წვეთისებური მოყვანილობა აქვს. თვალბუდეში ამოთურცული ალმანდინია ჩასმული.

36. სატყლის მოჭედილობა: ტიხროვანი მინით ინკრუსტირებული ოქროს ბალთები.

37. კილიტები და საკიდები ოქროსი: ა) კილიტები. მრგვალი; ჩახნეჭილწედაპირიანი; ბრტყელწედაპირიანი; ნახევარსფერულ ვუნწიანები; ბ) საკიდები ოქროსი თხელი ფირფიტის მილაკებზე შეყიდული ღრუ სამკაულები.

38. ხეივები ოქროსი. კვერთხის ან ალმის (შტანდარტის) ტარის სამკაული სადაა, პატარა; თხელი, ლენტისებრი ფირფიტა შოვან დაწვრტყლია. ხეივებთან არიან დაკავშირებული ხისა და ტყავის დაშლილი ფრაგმენტები.





ვერცხლის პინაკი, შემყული ვა-  
ზის ფოთლებსა და ყურძნის შტე-  
ვენების სტილიზებული სახეებით





39. მონეტები ოქროსი (რომაული აურეუსები): ვესპასიანე კეისრი (69-79 წწ.); ტიტუსი (79-81 წწ.); ადრიანუსი (117-138 წწ.).

40. ქსოვილების ნაშთები: აბრემუმისა და მატელის ხუთი სახეობის ქსოვილის ფრაგმენტები.

41. ფირფიტა ხისა: კლიფსური, ბრტყელი, ზედაპირი უსწორმასწორო და დაზიანებული აქვს.

42. სანელსაცხებლე მინისა: უფერული, ოდნავ მომწვანო, გამჭვირვალე და სქელკედლიანი, დაბალი და ფართომუცლიანია. პირი ფართოდ აქვს გადამლილი. ყელი მაღალი, სქელი. ჭურჭელი დიდი კოჭის მოყვანილობისა.

43. თავი ფასკუნჯისა: სარეცლის ხის ქანდაკოვანი ფეხის ნაწილი ამოვარდნილია ვერცხლის გარსაკრავიდან.

44. კბილები 7-8 წლის ბავშვისა.

სარკოფაგში აღმოჩენილი მასალიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ვერცხლის ნივთები (სარეცლის ფეხების მოჭედებლობა, ფალა ვახის ორნამენტით, თასი სასაბიზოთ ოუ ნადირობის სცენებით, პინაკი ზღვის ცხოველებითა და ფრინველებით, პინაკი დაფინგვირგვინოსანი მამაკაცის მუდლიონით მორთული და სხვ.) რაოდენობითა და მხატვრული მნიშვნელობით ამ ნივთებს ვერ შეედრება საქართველოს სხვა კუთხეში აღმოჩენილი ვერცხრითი მდიდრული კომპლექსი. ვერცხლის ნივთების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ზოგიერთ მათგანზე გამოყვანილი წერტილოვანი და ნაფხაჭნი არმასული წარწერები.

დიდი მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული ოქროს ნივთები (ყელსაბაჟა, სამაჯურები, ბეჭდები და სხვა).  
ბაგინეთის სარკოფაგში აღმოჩენილ მასალას მოეპოვება ახლო პარალელი არმაზისხევის, სამთავროს, ზღუდერის, ბორის, კლდეეთის და სხვ. სამარხეულ კომპლექსებში.

ბაგინეთის სარკოფაგის მასალა მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს გვიანანტიკური ხანის მხატვრული ხელოვნობის მაღალი დონის, იბერიის სამეფოს მმართველი წრის ქონებრივი მდგომარეობისა და გემოვნების შესახებ.

სარკოფაგში აღმოჩენილი ფაუსტინა უფროსის (გარდაიცვალა ახ. წ. 141 წ.) ვერცხლის დინარი საშუალებას გვაძლევს საკმაოდ ზუსტად დადგინდეს ძველის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი — ახ. წ. II საუკუნის შუა წლები. ზედა ქრონოლოგიურა საზღვრის დადგენა უკავშირდება სარკოფაგში აღმოჩენილი მასალის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის შედეგებს, მაგრამ ოქრომჭედლობისა და ტორეფტიკის საერთო ხასიათი, მათი მსგავსება არმაზისხევის, ბორის, ზღუდერისა და კლდეეთის მდიდრულ სამარხეულ ძეგლებთან, სრულიად უეჭველს ხდის, რომ ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგის ინვენტარის სახით ჩვენს წინაშეა გვიანანტიკური ხანის, კერძოდ II-III სს. მხატვრული ხელოვნობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი კომპლექსი.

1 საქართველოში ცნობილა ქვის სარკოფაგების აღმოჩენის ოცდაათოდ შემთხვევა: 1. არმაზისხევის ეპისთავთა სამარხიანი — ორი; 2. არმაზისხევის შესართავი (?), 3. მცხეთა (არაგვის ქუჩა); 4. სამთავრო (?), 5. ბაგინეთი, 6. ვანი (?); 7. ბალიჯი; 8. ბოლნისი; 9. ურბნისი — სამი; 10. სვეტიცხოველი — ორი; 11. ანისხატი — ორი; 12. საღვრი; 13. დალიში, 14. ქუთაისი, 15. ქვემო აღმე, 16. სოხუმი, 17. შულავერი — ორი; 18. წაღვერი (?), 19. ილიეთი; 20. ნაქოზა — ოთხი; 21. ოლიანჯი; 22. შირაქი.

2 M. Ивашко, Погребения питнахшей, თბ., 1945; მცხეთა, I, თბ., 1955, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალკო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963; ვ. ჭავჭავაძე, სოფელ ბალიჯის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით, მაცნე, 2, თბ. 1972; ა. შანიძე, ბალიჯური სარკოფაგის წარწერა, მაცნე, 2, თბ., 1972; თ. ბარნაველი, ბალიჯური ქვის სამარხის წარწერის წაკითხვისათვის, მაცნე, 2, 1972 და სხვ.

არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ლიაში

ენგურქესის მშენებლობასთან დაკავშირებით შუგდიდის რაიონში მიეღინებული იყო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ვეალებოდა დატბორვის ზოლში და მის მიმდებარე რაიონში მოქცეული არქეოლოგიური ძეგლების დასვერვა და შეძლებისდაგვარად დაცვა-შესწავლა. ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი სოფელ ლიაში იკვლევდა ნაშოსახლარი ბორცვის „დიდა ქირსას“ ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ კალთებს, რომელიც მშენებლობისათვის საჭირო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის დროს დაზიანდა (გამიშვლდა კულტურული ფენები, რომლებმაც ჩამოშლა იწყეს). არქეოლოგებმა ბორცვს 1963 წელს მიაკვლიეს<sup>1</sup> და იქიდან მოყოლებული მიმდინარეობს მისი არქეოლოგიური შესწავლა. კვლევამ დაგვანახა, რომ „დიდა ქირსა“ წარმოადგენს მრავალფენოვან ძეგლს, სადაც ცხოვრება ძვ. წ. I ათასწლეულიდან შუა ფეოდალურ ხანამდე გრძელდებოდა. ფეოდალური ხანის ძეგლის — ციხის ნაშთი დღემდე შემორჩენილია ბორცვის წვერზე.

1964 წელს გამოვლინდა ს:პი დანგრეული ანტიკური ხანის სამარხი; რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა შემთხვევით აღმოჩენებს სამარხეული ინვენტარის, მონეტებისა და ლითონის ნივთების სახით.<sup>2</sup>

აღნიშნულ წელს მცირე ზომის თხრილების მეშვეობით გორა-ნაშოსახლარის ჩრდილო დასავლეთსა და სამხრეთ ფერდობზე გამოვლინდა სამარხების ორი ჯგუფი. ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე I მ. სიღრმეზე თავი იჩინა რიყის ქვების მშრალმა წყობამ, რომელიც თხრილის მთელ სიგრძეზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართებოდა. წყობის გათხრილი ნაწილი მეტად მცირე აღმოჩნდა მისი სახიათისა და დანიშნულების გასარკვევად, მაგრამ საფიქრებელია, რომ გორის ფერდობის შუა ნაწილში მისი საბით ნახევრად მიწური ნაგებობის ნაშთია შემორჩენილი. კედლის სავარაუდო თარიღს კერამიკა გვაძლევს, რომელიც შეიკრება წყობის ზემო მდებარე ფენებში, კედლის გასუფთავებისას ან კედლის დონეზე. თუ ვიმსჯელებთ იმპორტული (სინოპური) ამფორებისა და შევლაკიანი ატიკური კერამიკის ფრაგმენტების მიხედვით კედელი ადრე ანტიკური ხანისა უნდა იყოს ან, ყოველ შემთხვევაში, რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს ელინისტურ პერიოდს.

ქვების წყობის სამხრეთ აღმოსავლეთით აღმოჩნდა ორი სამარხი (№ 1 და № 5). ერთი მათგანი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო დამხრობილი და მეტად საინტერესო რომაული ხანის ინვენტარს შეიცავდა. მეორე პირველზე ერთი მეტრით მაღლა მდებარეობდა ფერდობის მიმართულებით და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. სამარხი ცუდად იყო დაცული. ქრონოლოგიურად, რკინის ფიბულების საფუძველზე, იგი უფრო ახალგაზრდად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე პირველი.

სამი სამარხი იქნა მიკვლეული ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე. სამარხები განლაგებული იყო ერთმანეთის მახლობლად, სამივე ინვენტარიანი იყო. ორი ქალს ეკუთვნოდა, ერთი — მამაკაცს. ყველა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. სამივე სამარხი ერთი პერიოდისა უნდა იყოს ან მათ შორის მეტად მცირე ქრონოლოგიური სხვაობა უნდა არსებობდეს.



აღნიშნული ბორცვის ფერდობზე, 1968 წელს აღმოჩენილ ყველა სამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო ორმოში, გულაღმა გამოტილი. ორმოს გარშემო ჩამოსხმული ქვიბი პკონდა შემოწყობილი და შემოდან კი — ქვაყრილი. როგორც მაშასკლის სათვის, ისე ქალისათვის სამარხში ჩაუტანებიათ ორი ან მეტი თიხის ჭურჭელი (სასმისები, ქოთნები, დერგები) და სხვ.

ორივე სქესის ადამიანთა სამარხებში შეგვხვდა აბზინდები და მშვილდსაკინძები. ქალის სამარხში ჭარბობდა სამკაული: მძივები, სამაჯურები, ბეჭდები. მამაკაცის სამარხში ინვენტარი უპირატესად რკინის იარაღით იყო წარმოდგენილი (შუბისპირები, მახვილები, სატყვრები, დანები, სათიხარი). ერთ-ერთ მამაკაცს ჯაჭვის ნაქსოვი უფარავდა მხრებს. მამაკაცის სამარხში აღმოჩნდა რომელი ვერცხლის მონეტები, № 1 სამარხში (ჩრდ.-დასავლეთი ფერდობი) კესარიული დიდრაქმა ლუციუს ვერუსის (161-169 წწ.), № 4 სამარხში ტიბერიუსის ვერცხლის მონეტა I საუკუნისა (14-37 წწ.).


დიდა ქირსას ფერდობებზე მიკვლეული სამარხი გვიან ანტიკურ ხანას განეკუთვნება. დამარხვის წესით, თანმხლება მასალით იხინი ემსგავსებოდა დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილ სხვა ამ პერიოდის სამარხებს. ორმო-სამარხები ღიას გარდა დადასტურებულია კლდეეთში, ბრილში, ძვერში, თავილონიშში, სარგვეშში, ხაიშში და სხვ. სამარხებზე ღიას სამარხისაგან განსხვავებით კლდეეთში და ნაწილობრივ ძვერშიც მიცვალებული ხელ-ფეხ მოკეცილია დაკრძალული.

ღიას სამარხიდან აღმოჩენილი საინტერესო და მრავალფეროვანი კერამიკული მასალა აშკარად ადგილობრივია, — ადგილობრივი უხეში ქარსნარევი და ქვიშანარევი თიხისგან დამზადებული და წააგავს იმ პერიოდის სხვა კოლხურ მასალებს.


თავისი ფორმებით კერამიკის ერთი ნაწილი ფეხიანი პირგაშლილი ჭურჭელი, დერგები, ფიალები ემსგავსება ჩხოროწყუს, კლდეეთის, წებედის მონაპოვრებს. ზოგიერთ მათგანს (მაგ. ფეხიან თასებს) პროტოტიპები გვიან ბრინჯაოს ხანის უფლისციხის, მცხეთის ორ სამარხთა მასალებს შორის მოგვაგვხვება. სამაროვანზე აღმოჩენილი ორი ჭურჭელი ანტიკური კანთაროსის ტიპის ჭურჭლის მიბაძვით დამზადებულია ადგილობრივი თიხიდან. ამასთანავე კანთაროსისგან განსხვავებით მთელი რივი თავისებურებანი ახასიათებს. როგორც ჩანს, კოლხეთის კერამიკულ საწარმოო ცენტრში ჭურჭლის უცხოურ ფორმებს თავისი მოთხოვნებისა და გემოვნების შემაბმისად ამუშავებდნენ.

ღიას სამაროვანზე იარაღ-საჭურველი მთლიანად რკინისაა და ფორმებით ძველი ამიერკავკასიური ბრინჯაო-რკინის იარაღების ტრადიციული ფორმების გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ სიახლეც შეინიშნება: მახვილები საგრძნობლად დაგრძელდა (მაგ. 90 სმ-მდე). შემოდის ე. წ. სარმატული ტიპის ტარაგოლიანი მახვილები, გრძელპირიან მახვილებს ვხვდებით კლდეეთში, ჩხოროწყუში, აჭალაში, და ა. შ. ძველი ფორმები აქვთ შენარჩუნებული რკინის მოხრილ დანებს, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის მანძილზე ვრცელდება. ღიას სამაროვანზე გარდა ჩვეულებრივი გრძელმასრიანი დაბალქედნიანი შუბებისა გვხვდება სატყვრის მოყვანილობის დიდი ზომის რკინის შუბი.

ღიას სამაროვანზე აღმოჩენილია მრავალნაირი სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. აქ ვხვდებით რამდენიმე სახის მშვილდსაკინძებს, რომელთაგანაც ბუდებამული ბრინჯაოს მშვილდსაკინძები ფართოდ გავრცელებულია მთელს დასავლეთ საქართველოში (ბორი, კლდეეთი, ჩხოროწყუ, ურევი).




სოფ. ლია. დიდა ქარხა.  
სამარხი № 1




მეორე ტიპის დინგეანი შვერილიანი მშვილდსაკინძები გვხვდება სამთავროს გვიანდელ სამარხებში, ჩრდილო კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში ადრე რომაულ ხანაში.

ფართოდ გავრცელებულ ნივთს წარმოადგენდა ლიაში აღმოჩენილი ოვალური მოყვანილობის მოძრავ ენიანი აბზინდი. მრავლადაა ასეთები კლდეეთში, სამთავროს სამაროვანზე და ჩრდილო კავკასიის მთიან რაიონებში.

მძივების უმეტესი ნაწილი (სარდიონის, ბრილის, პასტის მძივები) კოლხური




სოფ. ლია. დიდა  
ქირსა. ნამარბი № 1




სოფ. ლია. დიდა ქირსა.  
ნამარბი № 3

კულტურის გავრცელების სფეროში გვხვდება. ერთი ნაწილი: სამკუთხა მოყვანილობა მოზაიკური მძივი ჩრდილო კავკასიაში ადრე ფეოდალური ხანის მასალებში იძებნის პარალელურს. კავკასიის მთიან რაიონებთან, სკვითურ-სარმატულ კულტურასთან ლი-ას სამაროვანს აკავშირებს რკალის მოყვანილობის ზოომორფული სახეების მიბაძვით დამზადებული საგანი (?), პირველის ზუსტი ასლი აღმოჩენილია სამხრეთ ოსეთში




სოფ. ლია. დიდა ქარსა.  
სამარხი № 3



სოფ. ლია. დიდა ქარსა.  
სამარხი № 4

ურსუ-ძუარში. კოლხური კულტურის ძეგლების კავშირი ჩრდილო კავკასიასთან და სარმატულ სამყაროსთან იმ დროს უჩვეულო ამბავი არ უნდა იყოს. სარმატები საკმაოდ ფართო ტერიტორიას დაეუფლნენ. ასეთივე სურათს ვხვდებით კლდეეთის სამაროვანზე.

ლიას მასალებზე ყველაზე მეტად შეინიშნება ბერძნულ-რომაული სამყაროს გავლენა თუ გავითვალისწინებთ კოლხეთის იმდროინდელ პოლიტიკურ ისტორიას, რომ 1-11 საუკუნეებში კოლხეთის მეფე ასე თუ ისე რომის კეისრის ვასალია და კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა საოკუპაციო ჯარები დგას, მაშინ სავსებით ნათელი გახდება რომაული მონეტებისა და იმპორტული ჭურჭლის არსებობა აღნიშნულ სამაროვანზე.



სამარხი № 2

უცხოურ ქვეყნებთან ურთიერთობის მაჩვენებელია იმპორტული ჭურჭელი, რომელიც შეგროვდა საცდელი თხრილებისა და დაზვერვების შემუშავებით დიდა ქირსას ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ ფერდობზე. მათგან აღსანიშნავია ატიკური შავლაკიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, სინოპური წარმოშობის ამფორათა ფრაგმენტები, წითელლაკიან ფიალათა ნაწილები, თეზოსური წარმოშობის ამფორის ყური და სხვ.

დიდა ქირსას ფერდობებზე დიდი რაოდენობით შეგროვდა ადგილობრივი კერამიკა: პითოსების, დერგების, დოქების, ქოთნების, ფიალების, ფეხიანი სასმისების, ამფორისკების ნატეხები; კეცი სხვადასხვაფერადაა გამოშვარი (წითლად, შავად, ლევად, მოყავისფროდ).

ორნამენტის მიხედვით გვხვდება ბაწრისებური რელიეფური ორნამენტიანი, გვერკანელურებული, ქედურიანი, რომბისებური და ჯვარისებური ჭდეული სახეებიანი ჭურჭლები, ზოგიერთს ბაკო შემკული აქვს დაკბილული და ჭდეული ორნამენტით, ხშირად გვხვდება საბერველი მილის ნატეხები.

კერამიკის უმეტეს ნაწილს ანალოგიები მოეძებნება იქვე პალურის საძვლეს ძვ. VII-V, ჭირსუკ I ძვ. VI-V საუკ. დაბლა გომის, ქობულეთის, ფიჭვნარის მასალებში შორის, ნაწილი კერამიკისა ელინისტური ხანის კოლხურ კერამიკასაც ეხმარება (დაბლა გომი, ვანი).



დიდა ქირსას ფერდობებზე შვედროვილი ოსტეოლოგიური მასალა<sup>1</sup>, მსხვილფეხა და წერილფეხა საქონლის ძვლები, საწურის ფრაგმენტები, მესაქონლეობის განვითარების მაჩვენებელია.

ჩამორეცხილი კულტურული ფენების სისქე, ანაკრფი კერამიკული მასალის მარცხენა ნაწილი უხვე დიდა ქირსას ფერდობებზე მიკვითიფებს მოსახლეობის სიმრავლეზე და ხანგრძლივი ცხოვრების კვალზე. მოპოვებული მასალები ბევრ ახალ ცნობას გვაწვდის აქ მოსახლე ტომების ზნე-ჩვეულებებზე, კოსტუმებზე, საომარ აღჭურვილობაზე, გარე სამყაროსთან კულტურულ-ეკონომიურ კავშირზე, მეურნეობის ძირითად დარგებზე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

1. გ. ვრიგოლა, მ. ბარამიძე, ენგურქესის მშენებლობასთან დაკავშირებული დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგების შედეგები — მოხსენების მოკლე შინაარსი, 1964 წელი.

2. ენგურქესის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. შედეგების ძირითადი შედეგები, თეზისები, 1965 წ.

3. არქეოლოგიური მასალა განსაზღვრა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ციციშვილმა.

## 306 იყო თეოდორე ეპისკოპოსი?

ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მდიდარ მონაპოვარში ყურადღებას იქცევს 1960 წელს მოსწავლე ნ. ნოვოკრემენოვის მიერ ნაქალაქარზე შემთხვევით ნაპოვნი ტყვიის ბულა (შეკიდული ბეჭედი), რომლის აღწერილობა ასეთია:

შუბლი — ოთხსტრიქონიანი ბერძნული წარწერა: ΘΕΟΔ—WΠOVE—ΠΙCKO—ΠOY, ე. ი. თედორე ეპისკოპოსისა, ზურგა—წმინდა სოფიას გამოსახულება პირდაპირ, რომელსაც, ორივე ხელით მკერდზე მიყრდნობილი ჯვარი უჭირავს. გამოსახულების მარცხნივ ვერტიკალურად: Η—ΑΙ—Ι—Α, მარჯვნივ C—OΘ—Ι—Α, ე. ი. წმინდა სოფია.

როგორც ზედწერილიდან ჩანს, ბეჭედი ეკუთვნის თეოდორე ეპისკოპოსს, მაგრამ რაკი იგი კულტურულ ფენაში არაა აღმოჩენილი, მისი მოღვაწეობის დროის დადგენა არქეოლოგიური გზით გამორიცხულია. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, თვით ვ. ლორანის ფუნდამენტურ ნაშრომშიც კი, რომელიც ბიზანტიური ხანის საეკლესიო ბულების კორპუსს წარმოადგენს, იდენტური შეკიდული ბეჭედი გამოქვეყნებული არ არის<sup>1</sup>.

ვინ არის თეოდორე ეპისკოპოსი და რა ხანისა უნდა იყოს ბიჭვინტაში ნაპოვნი შეკიდული ბეჭედი?

პროფ. თ. ყაუხჩიშვილმა პალეოგრაფიულად ბულა VI—VII სს. მიაკუთვნა<sup>2</sup>. მისი აზრით, ამ შეკიდული ბეჭდის წარწერა ემსგავსება ბიჭვინტისა<sup>3</sup> და გერასას<sup>4</sup> (526 წ.) მოხაიკების და რუსთავის საბეჭდავის წარწერებს<sup>5</sup>. აგრეთვე იმ წარწერებს, რომლებიც ვ. ლატიშვილის მიერ ზოგადად ბიზანტიური ხანითაა დათარიღებული<sup>6</sup>. ასეთი დათარიღება თითქმის მისაღები უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ არქეოლოგიური მასალების ანალიზი ჯერჯერობით საშუალებას არ იძლევა ვივარაუდოთ ბიჭვინტაში VIII—IX საუკუნეთა კულტურული ფენები<sup>7</sup>.

სახელმწიფო ვრმიტაჟის ნუმიზმატიკის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის, ბიზანტიური მონეტების სპეციალისტის ი. სოკოლოვას აზრით, ბიჭვინტის ბულა უნდა დათარიღდეს VII ს-ით<sup>8</sup>, ვინაიდან მსგავსი მოტივები ბეჭედებზე ჩნდება იმპერატორ ირაკლის (610—641 წწ.) დროიდან და სულ მალე, ხატმებრძოლეობასთან დაკავშირებით, ისევ ქრება<sup>9</sup>.

ვ. ლორანს თავის შრომაში გამოქვეყნებული აქვს ერთადერთი შეკიდული ბეჭედი წმ. სოფიას გამოსახულებით, რომელიც აბსოლუტურად მსგავსია ბიჭვინტაში აღმოჩენილი ცალისა. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი თვითონ მოითხოვს ზუსტ დათარიღებას, ხოლო მის წარწერაში მოხსენიებული ნარსე ეპისკოპოსი (NAP—COVEΠ—ICKOΠ—OV) იდენტიფიკაცია.

ვ. ლორანი ამ ბულას ათარიღებს VII—VIII სს. იმის საფუძველზე, რომ კონსტანტინეპოლში 692 წელს გამართულ კონკლავზე 205 დამსწრე ეპისკოპოსიდან მხოლოდ ერთი კერასუნტის ეპისკოპოსი ატარებდა ამ სახელს, ხოლო 787 წ. ნიკეის სა-



შუბლი



ზურგა

ეკლესიო კრების სიაში ეს სახელი საერთოდ არ იხსენიება. იგი იქვე გამოთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ შვედული ბუქდის აღმოჩენის ადგილი ცნობილი არაა, რაც მისი აზრით, ნარსე ეპისკოპოსის სამწყსოს ლოკალიზაციის საშუალებას მოგვცემდა.<sup>10</sup>

ვ. ლორანის წაჯვლობიდან ორი მომენტი იქცევს ჩვენს ყურადღებას: ა) წმინდა სოფიას გამოსასულეობიანი შეკიდული ბუქდის თარიღი VII—VIII სს., რაც არსებითად უდგება ბიჭვინტაში ამოჩენილი ცაღის საფარადო თარიღს და ბ) ვ. ლორანი ბუღის ატრიბუციის დროს გადაშწვეტ მნიშვნელობას მაინც მისი აღმოჩენის ადგილს ანიჭებს.

ამრიგად, თუ გაკეთვალისწინებთ იმ გარმთებას, რომ თვოდორე ეპისკოპოსის სახელით აღნიშნული ბუღა უნიკალურია და აღმოჩენილია ბიჭვინტაში, მაშინ, ჩვენის აზრით, ჩნდება გარკვეული საფუძველი ამ პირის ადგილობრივ ეპისკოპოსად მიჩნევისა და ლისი რეზიდენციაც, შესაბამისად, ბიჭვინტაში ან მის მიმდებარე რაიონებშია საძიებელი.

რა რეალური საფუძველი არსებობს ამისათვის?

როგორც ცნობილია, უკვე IV ს-ში ბიჭვინტა საეპისკოპოსო ცენტრია: 325 წ. ნიკეის მსოფლიო კრებაში ბიჭვინტელი ეპისკოპოსი სტრატოფილე ლებულობს მონაწილეობას.<sup>11</sup> ვარაუდობენ, რომ ბიჭვინტაში გათხრილი პირველი მოზაიკური ტაძარი მისი რეზიდენცია უნდა ყოფილიყო. ამიტომ ამ ნაგებობას IV ს. I ნახევრით ათარიღებენ<sup>12</sup>, რასაც ხავებით უჭერს მზარს ტაძრის ფარგლებში აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა.<sup>13</sup>

IV ს. შუა ხანებისათვის ბიჭვინტის პირველი მოზაიკური ტაძარი საძირკვლამდეა დანგრეული, მაგრამ დარბევას რეციდიული ხასიათი ჰქონია და ქალაქის ცხოვრება მალე მოწყობრივებულა. ბიჭვინტის მეორე, შედარებით ნაკლები ბრწყინვალეობით ნაგები, მოზაიკური ტაძარი აქ ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების ნაყოფი უნდა იყოს.

IV ს. 70-იან წლებში ბიჭვინტა, როგორც ჩანს, კუნების გამაჩანაგებელ თავდასხმას განიცდის და კარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას<sup>14</sup>.

VI ს. პირველი მესამედიდან ბიზანტია კვლავ ცდილობს შავიზღვისპირეთის ქალაქებზე თავისი უფლებების განმტკიცებას. ბიჭვინტაში, რომელსაც ამ დროს დაკარგული აქვს ძველი ბრწყინვალეობა და პროკოპი კესარიელისა და იუსტინიანეს ცნობებით უფრო ციხე-სიმაგრეა<sup>15</sup>, ვიდრე ქალაქი, დგას ბიზანტიური გარნიზონი. ამავე პერი-



ოდში (ე. ი. VI ს. პირველ მესამედში) უნდა იყოს აშენებული მცირე ტაძარიც, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, სავაჭრით საქმარისი იყო დამცრობილი ქალაქისათვის. როგორც პროკოპი კესარიელი გვაუწყებს, 542 წ. ბიზანტიელებს ბიჭვინტა სებასტოპოლისი საკუთარი ხელით დაუნგრევიათ, რათა ისინი ხელში არ ჩაეარდნოდა სპარსეთის მეფეს ხოსროს<sup>1</sup>. შემდეგში იუსტინიანეს მხოლოდ სებასტოპოლისი განუასლებია<sup>2</sup>.

ამრიგად, ბიჭვინტაში 542 წ-მდე არსებობს მცირე ტაძარი, რომელიც ტრადიციისამებრ, შეიძლება ეპისკოპოსის სახლში იყო. თუ აქ აღმოჩენილი შეკიდული ბეჭედი მაინცდამაინც VI ს-ით დათარიღდებოდა, მაშინ თეოდორე შეიძლება VI ს-ის ბიჭვინტელ ეპისკოპოსად მიგვეჩინა. მაგრამ ჯერ ერთი, ბულა არ თარიღდება ასე ზუსტად და მეორეც, ასეთ ვარაუდს თითქოს ეწინააღმდეგება ის გარემოებაც, რომ ბიჭვინტის ბაზილიკა არ ჩანს აგებული წმ. სოფიას სახელზე<sup>3</sup> (რომელიც ბეჭედზეა გამოსახული).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ბიჭვინტიდან ათიოდე კმ-ით (გაგრის მიმართულვებით) მოცილებული, სოფ. ალაპაძეში ექსპედიციის მიერ 1971 წ. გამოვლენილი შეხანიშნავი ტაძარი, რომელიც ადრე ბიზანტიური ხანით თარიღდება<sup>4</sup>. იგი მიჩნეულია სავკლესიო ცენტრად<sup>5</sup>, რაშიც, თუ გავითვალისწინებთ ბაზილიკის მასშტაბებს, არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა.

საინტერესოა ასეთი დეტალიც: ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი, ეკამათებოდა რა უკარგვას, რომელსაც ბიჭვინტის ტაძარი მიაჩნდა წმ. სოფიას სახელზე აგებულად, თეოდორე, რომ ასეთი ტაძარი სწორედ ალაპაძეში იყო აშენებული.<sup>6</sup>

მართლაც, XIV—XV სს. რუკებზე გაგრას უშუალოდ მოსდევს პუნქტი San Sofia ან Sancta Sofia ე. ი. წმ სოფია (ლოკალიზაციისა და თანამედროვე სახელწოდების გარეშე). შემდეგ მოდის ბიჭვინტის კონცხი და თვით ბიჭვინტა<sup>7</sup>. ამრიგად, თითქოს არის ერთგვარი საფუძველი ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვის მოსაზრების სახარკებლოდ.

ზემოთქმულის გამო, არ შეიძლება გამოირიცხოს იმის შესაძლებლობაც, რომ თეოდორე ეპისკოპოსის რეზიდენციად ალაპაძის ეკლესია ჩათვალოს.

გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ მას შემდეგ, რაც შავიზღვისპირეთში ბიზანტიამ თავისი პოზიციები დაიკო, ბიჭვინტა აფხაზთა მთავრების ხელში უნდა მოქცეულიყო<sup>8</sup>. ამის ნივთიერ საბუთად მიჩნეულია გათხრების ტერიტორიაზე კონსტანტინე აბაზგის შეკიდული ბეჭდის აღმოჩენა, რომელიც VII—VIII საუკუნეებითაა დათარიღებული<sup>9</sup>.

ჩვენის აზრით, სხვა წყაროებით უცნობი თეოდორეც აფხაზეთის ეპისკოპოსთა რიგებს უნდა მიეკუთვნებოდა, რომლის რეზიდენციაც იოფის ჭეობაში, მის ქვემო ნაწილშია საძიებელი.

ამ მოსაზრების პიპოტურეი მასიათი, დამატებითი არგუმენტების გარეშე, თავისთავად ცნაღია. მაგრამ ბულის გამოქვეყნებით, ვფიქრობთ, გადავლიდებამ მისი ზუსტი დათარიღებისა და საბოლოო იდენტიფიკაციის საქმე.

<sup>1</sup> V. Laurent, La Corpus des Sceaux de L'Empire Byzantin, tome V, L'Eglise, Paris, 1965.  
<sup>2</sup> პროფ. თ. ეუხნიშვილს დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვასტენებთ.  
<sup>3</sup> თ. ეუხნიშვილი, ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა „საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. XVI, № 1, 1955, გვ. 73 — 79.  
<sup>4</sup> Gerasa, City of the Decapolis, 1938, გვ. 366.



5. თ. ვახტანგიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951, გვ. 246.

6. В. В. Латышев, Сборник греческих надписей христианских восточной России, СПб, 1896, стр. 29.

7. რ. რამიშვილი, არქეოლოგიური ვახტანგი ბიჭვინტაში (III უბნის 1926 წლის აღწერის მიხედვით) (წინასწარი ანგარიში), „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“ ტ. IV, 1965, გვ. 110.

8. ირ. სოკოლოვას თავისი მოსაზრების გახიარებისათვის მადლობას ეუბნის.

9. ხატუბერძნულობასთან დაკავშირებით იხ. История Византии, под ред. С. Д. Сказкина, т. 2, Москва, 1967, стр. 49-79.

10. ე. ლორანი, დასახ. ნაშრ. ტ. V, გვ. 776, № 996, ტაბ. 132, № 996.

11. აღ. გამყრელიძე, ს. ვახტანგიშვილი, გეორგია ტ. I, 1961, გვ. 4-5.

12. ა. აფაქიძე, ბიჭვინტა, 1952 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, არქეოლოგიური სესიის თეზისები, თბილისი, 1953, გვ. 17, შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 121.

13. В. А. Леквинадзе, О древнейшей базилике Питиунта и ее мозаиках, ВДИ, 1970, № 2, стр. 192; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგერთა მკვლევარი არ იზიარებს ასეთ აღრეულ თარიღს. იხ. შავ. ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 41.

14. რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

15. რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

16. გეორგია, ტ. II, თბ., 1934, გვ. 105-106, 198.

17. რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 121, 111. პროფ. ირ. ციციშვილი და აკად. შ. ამირანაშვილი მცირე ტაძრის აგების თუ აღდგენის თარიღად VIII ს. მიიჩნევენ. იხ. ირ. ციციშვილი, ბიჭვინტის ტაძარი, 1953 წ. არქეოლოგიური სესიის თეზისები, გვ. 18, 19, შ. ამირანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

18. გეორგია, II, გვ. 105-107.

19. იქვე, გვ. 119.

20. В. А. Леквинадзе, დასახ. ნაშრ. გვ. 190-191.

21. З. Агрба, Раскопки раннесредневековой базилики в селе Алахадзы Гагрского района „მცენე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 3, გვ. 159.

22. იქვე

23. А. Н. Дячнов-Тарасов, Гагры и их окрестности. «Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества», т. XXIV, кн. 1—3, Тифлис, 1904, стр. 47.

24. Ф. Брун, Черноморье, ч. II, 1880, Одесса, таб. III.

25. რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

26. ე. ლექვიანიძე, კონსტანტინე აბაზას შვიდი ბეჭედი, „საქ. სსრ მცენ. აკადემიის მოამბე“, ტ. XVI, 1955, № 5.

### ბაბილუმიანი არაღმართიანე

1926 წლის 15 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების მეცნიერების კაბინეტს ლეოტიკვინიძემ შესწირა არქეოლოგიური ნივთები, შემთხვევით აღმოჩენილი ქარელის რაიონის სოფელ არაღმართის მახლობლად, მინდორში, ორგორასთან.

სხვა ნივთებს შორის, ამ საკმაოდ საინტერესო და მრავალფეროვან კოლექციაში, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, განსაკუთრებით საყურადღებოა ბრინჯაოს ორი, საქართველოსათვის სრულიად უჩვეულო არქეოლოგიური ნივთი.

ორივე ეს ნივთი ზოგადად ერთნაირია და ფორმით მოკლექარიან აქანდაზს წააგავს.

ერთი მათგანი (სურ. 1) უფრო მასიურია და მძიმე. მისი ნიჩაბი ოთხკუთხაა, ვერტიკალურად აკეცილი გვერდები აქვს. გვერდებს გარედან ორი ჰორიზონტალური წიბო შეჰყვება. ბოლოში ნიჩბის ღია პირთან გვერდები ნახევარწრიულად ამოჭრილია. ნიჩაბზე მიმოქლონებულია მრგვალ-განივკვეთიანი ტარი, რომელიც ასტრაგალის შვიდი სახითაა დანაწევრებული და ბრტყელი ქუდით ბოლოვდება.

ქუდის გარეპირზე, ცენტრში ღრმულია და დაქანგვის ხასიათიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს აქ კიდევ რაღაცა იყო დამაგრებული.

შესაძლებელია, ტარს ბოლოში მართლაც რაიმე ფეხის მაგვარი ჰქონდა, როგორც ზოგიერთ ანალოგიურ „აქანდაზს“ (იხ. ქვემოთ), რადგანაც ტარი ბოლოსაკენ აწეულია და ნიჩაბს სძლევს, ისე, რომ „აქანდაზი“ ბრტყლად არ იდგმება. „აქანდაზი“ დაფარულია მწვანე უხეში ქანგით. მისი სიგრძეა 31,5 სმ; სიგანე — 12,5 სმ, სიმაღლე — 3,9 სმ.

მეორე „აქანდაზი“ უფრო მსუბუქი და მოხდენილია (სურ. 2) და მხოლოდ ცალკეული დეტალებით განსხვავდება პირველისაგან.

კერძოდ, ნიჩბის აკეცილი გვერდები ბოლომდე არ აღწევს, ბოლოსთან რკალურად შეჭრილია და ნიჩაბს ბრტყელ პირს უტოვებს. უკანა ზედა კუთხეებში ნიჩაბს ორი ფოთლისებურა შევრილია, „ყური“ აქვს. თერთმეტი ასტრაგალით დანაწევრებული ტარი ბოლოვდება ირიბად დაღარული დისკოსებრი ქუდით, რომელზეც გარედან მრგვალი კოპია დასმულია.

აქანდაზი მყარად იდგმება. იგი ვერდნობა ნიჩბის ბრტყელ ძირს და ტარის ქუდს. აქანდაზი დაფარულია უხეში მწვანე ქანგით: მისი სიგრძეა 31 სმ, უდიდესი სიგანე („ყურებიანად“) — 11,8 სმ, სიმაღლე 4,2 სმ.

აღწერილი „აქანდაზების“ ანალოგიური ნივთები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში აქამდე არ აღმოჩენილა, მაგრამ სხრც საზღვრებს გარეთ ასეთი ნივთის აღმოჩენის თერთმეტი შემთხვევის აღრიცხვა მოხერხდა, ერთიც, უპასპორტო, ინახება ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკური სამყაროს განყოფილების ლითონის ფონდში (საინვენტარო № B 1034).



ბრინჯაოს ერთი „აქანდაზი“ აღმოჩენილია პომპეიში, ჩვენი „აქანდაზებისაგან“ განსხვავებით მის ნიჩაბს ოთხი შვერილი აქვს ძირზე დასადგმელად და ერთი ბოლოში. განსხვავებულია მისი ტარის დეკორაც. ნიჩაბს უკანა ზედა კუთხეებს ისევე, როგორც ჩვენს № 2 „აქანდაზს“ ორი ყური აქვს.<sup>1</sup>

ტუნისში, სანტა-მონიკას მახლობლად შეაწავლილ პუნიკურ სამაროვანზე აღმოჩნდა სამი მსგავსი ნივთი, ორი ბრინჯაოსი და ერთიც რკინისა, ოღონდ გაცილებით უფრო მცირე ზომისა, ვიდრე ჩვენი ეგზემპლარები. წარმოდგენილი ცალის სიგრძე სულ 8 სმ-ია.<sup>2</sup>

გ. რისტერმა გამოსცა ბრინჯაოს სამი „აქანდაზი“, რომლებიც, მისი თქმით, აღმოჩენილი უნდა იყოს სირიაში, ქაურანში, 1900 წელს, სამივეს ნიჩაბების ძირზე შუთ-ხუთი კონუსური კოპი აქვს — ოთხ-ოთხი კუთხეებში და ერთიც ცენტრში. ტარის ბოლოშიც ცხოველის ჩლიქის ფორმის ფეხები აქვთ, დასაყრდნობად. სახელური მოდკლინებურია, კორინთული სვეტის ფორმისა. „აქანდაზების“ დეკორაც უფრო მდიდრულია, ვიდრე ჩვენი ნიმუშებისა. სამივე „აქანდაზი“ დაფარულია მომწვანო ფერის უხეში პატინით „აქანდაზების“ სიგრძე—41,3 სმ, 31,1 სმ, და 25,4 სმ<sup>3</sup>.


ასევე სირიაში, ქ. ასკალონთან ან ლაზაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ასეთი ნივთი, სიგრძით 35,6 სმ. მისი სახელურიც კორინთულ სვეტს გამოსახავს და ძირზე მასაც ხუთი კოპი აქვს. ნიჩაბს ზედა უკანა კუთხეებში ფოთლისებური შვერილები აქვს.<sup>4</sup>

დაბოლოს კიდევ ერთი ბრინჯაოს აქანდაზი, აღმოჩენილი სიდონში, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავს ჩვენს „აქანდაზებს“, ინახება მარიენმონტის მუზეუმში ბელგიაში. მისი სიგრძე 22 სმ-ია, ნიჩაბს სადგამი კოპები არა აქვს, ზედა უკანა კუთხეებში კი ფოთლისებური შვერილები ასხია. გარდა ამისა პალესტინაში აღმოჩენილი ორი ამჟვარი ნივთი ინახება ლუვერში<sup>5</sup>.


ყველა ზენით ჩამოთვლილი მეტნაკლებად ერთნაირი ნივთი, როგორც ირკვევა, უნდა იყოს ძველი ლათინური წერილობითი წყაროების Batillum (Batillus) ანუ Vatillum ასეა განსაზღვრული პომპეიში აღმოჩენილი პატარა „აქანდაზი“, ასევე საზღვრავს მას სალიო, რომელსაც ემყარება ყველა დანარჩენი მკვლევარი.<sup>6</sup> როგორც სალიო აღნიშნავს, ვარონი ასე უწოდებდა იარაღს, რომელიც იხმარებოდა ფარშევანგების ვოლიერების გამოსაწმენდად, მაგრამ ცხადია, ბრინჯაოს ზემოთ აღწერილი „აქანდაზები“ ამ მიზნისათვის ნაკლებად გამოსადეგი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ბევრ მათგანს ფეხებიც აქვს დასადგმელად. მართლაც, სხვა რომელიც ავტორები Batillum-ს უწოდებენ ხელსაწყოს, რომელიც შეიძლება ნახშირის ჩაწყობა და საჭიროების შემთხვევაში სურნელოვანი ნივთების გახურება, თუმცა სალიოს პლინიუსის ცნობაც მოაქვს, რომლის თანახმად რკინის ბატელუმებზე წარმოებდა სამონეტო ლითონის სინჯის შემოწმება, ამას თითქოს ადასტურებს კიდევ ერთ-ერთი რომაული ბარელიეფი, რომელზეც აქანდაზისებური ნივთი გამოხატულია მონეტებით სავსე პარკის გვერდით.

ყველა ავტორი, რომელმაც კი ბატელუმი გამოაქვეყნა, ერთხმად აღნიშნავს, რომ იგი საკულტო-სარიტუალო ნივთია და გამოიყენებოდა საკმეფლის ან სხვა სურნელოვანი ნივთების დასაწვავად ღვთისმსახურების დროს.

ის, რომ ბატელუმი როგორღაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულთა კულტთანაც, დასტურდება სამი ბატელუმის აღმოჩენით პუნიკურ სამაროვანზე სანტა-მონიკასთან და ამასვე ადასტურებს მათ გამოსახულებათა მოთაყვება პუნიკური საფლა-



ბატილუმები არადუთიდან



უების სტელებზე. ლავიფერის მუზეუმში დაცულია ამგვარი სტელა ზედ ბატილუმის გამოსახულებით.<sup>7</sup>

ბატილუმების თარიღი შედარებით კარგად იმსახურება ზოგად რომაული ხანით. ამ მხრივ მყარ terminus ante quem იძლევა პომპეის აღმოჩენა (ახ. წ. 79 წ.). ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება თარიღი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ბატილუმებთან ერთად შემოსული ნივთებისა, რომელთა ნაწილიც ისევე, როგორც ბატილუმები, კესელშია ნაპოვნი და, მამასადაძმე, შესაძლებელია, მათთან ერთად ერთ არქეოლოგიურ კომპლექსსაც კი წარმოადგენდა: ვერცხლის ბეჭდების ფორმა I საუკუნეზე ან II საუკუნის დასაწყისზე მიუთითებს (განსაზღვრა ჟ. ჯავახიშვილმა), I საუკუნისაა მინის სანელსაცხებლები (განსაზღვრა მ. საგინაშვილმა) და ბრინჯაოს პატერის ტარიც. მონეტა კი რესპუბლიკური ხანისაა ძვ. წ. 67 წ. (განსაზღვრა კ. დუნდუამ).

ასე რომ, მე მგონი, არ შეეცდებით, თუ ჩვენს „აქანდაზებს“-ბატილუმებს წელთაღრიცხვათა მიჯნას ან, უფრო სწორად, ახ. წ. I საუკუნეს მივაკუთვნებთ.

რამდენადაც „აქანდაზების“ დანიშნულება და თარიღი მეტნაკლებად გარკვეულად მივგანჩნია, საინტერესოა მათი წარმომავლობის გარკვევაც. ამ მხრივ ვურადღებ ბას იპყრობს შემდეგი გარემოება: ჩვენი „აქანდაზების“ პარალელებად ზემოთ დასახელებული თორმეტი ბატილუმიდან შვიდი სირია-პალესტინაში აღმოჩნდა, სამი კი პუნიკურ სამაროვანზე, ე. ი. ისეთ სამყაროში, რომელიც ასევე სირია-პალესტინას უკავშირდება, და მხოლოდ ერთი ცალი აღმოჩნდა იტალიაში და ერთიც -- ვრმი-





ტაეის ცალი უპასპორტოა. სირია-პალესტინას მიიწნევს ბატილუმების სექსონად და პიერ ლევეკოს.

საქართველოს იმერეთის სახელმწიფო

ამგვარად საკმაოდ დამაჯერებელი უნდა იყოს ჩვენი ბატილუმების სირიულ ნაწარმად მიჩნევაც. მით უმეტეს, რომ ვიმეორებთ, ხაჭართველოს და კაკასიის ტერიტორიაზე ამგვარი ნივთის აღმოჩენის სხვა შემთხვევა ჯერჯერობით არ გვგვლდება და საერთოდაც ისინი საკმაოდ უცხოად გამოიყურებიან ადგილობრივი არქეოლოგიური მასალის ფონზე.

მათთან დაკავშირებით შეიძლება მოვიხსენიოთ მხოლოდ ზღუდრის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს საკულტო საგნები — ნელსურნელების დასაწავი საცეცხლურები (ამდენად ჩვენი ბატილუმების ანალოგები), რომელთაც გ. ნემსაძე აგრეთვე სირიულ ნაწარმად მიიჩნევს.

საყურადღებოა, რომ სირია-პალესტინასთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობის არსებობა წელთაღრიცხვითა მიჯნაზე და, განსაკუთრებით კი, ახ. წ. I საუკუნეში ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვა მასალებითაც დასტურდება.<sup>4</sup>

სირია ამ ხანაში მინის ნაწარმის მთავარი (თუ ერთადერთი არა) მიმწოდებელია ქართლისათვის და მინის ნაწარმის რაოდენობის მკვეთრი შემცირება III ს-ის საქართველოში დაკავშირებულია სირიაში მინის წარმოების დაწყებთან.<sup>5</sup>


პალესტინის კეისარს უკავშირდება ქართლში აღმოჩენილი ახ. წ. I საუკუნის გემმათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი.<sup>10</sup>

ასე რომ, სირია ჩანს ახ. წ. I საუკუნეში ქართლის უმნიშვნელოვანესი პარტნიორი ვაჭრობაში, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხე. სირია თითქოს მონოპოლიურად ფლობდა საგარეო ვაჭრობას ქართლში.

საგარეო ვაჭრობაში, რომელიც რვეულარულ ხასიათს ატარებდა, უთუოდ ჩართული უნდა ყოფილიყო ქართლის მრავალეროვანი ქალაქების მოსახლეობა.<sup>11</sup>

რვეულარულ საგარეო ვაჭრობას, ბუნებრივია უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვებოდა კიდევ გავლენები რელიგიურ სფეროშიც, რასაც ნაყოფიერი ნიადაგი ხედებოდა ქართლში, სადაც ეროვნულმა წარმართულმა სარწმუნოებამ ჯერ სპარსულ-აქემენიდური, შემდეგ კი ელიზური გავლენების ფონზე ვერ მოასწრო მწყობრ სისტემად ჩამოყალიბება, თუმცა ეს პროცესი დიდი ხნის დაწყებული იყო. პირველი საუკუნიდან მომჩვენებდა რომელი გავლენა, როგორც ჩანს, კულტის სფეროშიც. იმ დროს ახლო-აღმოსავლეთისა თუ ხმელთაშუა ზღვის სამყაროში ცნობილია არა-ერთი რელიგიური მიმართულება<sup>12</sup> უნდა შეხედროდა ერთმანეთს ქართლის ქალაქებში.

ცხადია, უცხო ელემენტები თანდათანობით ერწყმოდა და ესისხლხორცებოდა ადგილობრივ რწმენებს და ამგვარად აღწევდა ხალხის სიღრმეში. სწორედ ამ მოვლენის ნივთიერ გამოხატულებად მიგვაჩნია სარიტუალო საგნების — ბრინჯაოს ორი ბატილუმის აღმოჩენა არადეთთან, შიდა ქართლის ისეთ პუნქტში, სადაც ქალაქი თითქოს არ უნდა არსებულებოდა და სადაც ამდენად, „უცხოთა თქსლთა ღმერთთა



ბატალუმი კომპიონენტი. ბატალუმი ტუნსიდან, ბატალუმი სირიიდან (მურაბი), ბატალუ-  
მი სიღონიდან.




მსახური<sup>11</sup> არაქართული მუდმივი მოსახლეობის ყოფნა ძველი საფიქრებელი კერაა, რომ ეს პუნქტი ზედ იმ სავაჭრო მაგისტრალის ტრასაზე მდებარეობს, რომელიც მაც სამხრეთიდან მომავალი წმ. ნინო ქალაქ ურბნისში მიიყვანა.<sup>12</sup>

<sup>1</sup> Real Museo Borbonico, X, Napoli, 1834, ტაბ. LXIV.  
<sup>2</sup> Musée Lavigerie, I (Carthage), Paris, 1900, გვ. 213, ტაბ. XXXI.  
<sup>3</sup> Gisela M. A. Richter, Greek, Etruscan and Roman Bronzes, New York, 1915, გვ. 226-228, №№ 658, 659, 660.  
<sup>4</sup> A. De Ridder, Collection de Clerg, III, Les Bronzes, გვ. 287, № 470 (529).  
<sup>5</sup> Leveque, Antiquites grecques, Bruxelles, 1952, გვ. 102, ტაბ. 39, № C. 105 (60).  
<sup>6</sup> Darcnberg et Saglio, Dictionnaire des Antiquites grecques et romaines, tome I, Paris, 1877, გვ. 682-683, ლათინურ წყაროებს ქვეშით ევთოიებზე ამ ლექსიკონის მიხედვით.  
<sup>7</sup> Musée Lavigerie, I, გვ. 26, ტაბ. IV, 3.  
<sup>8</sup> О. Лорданашидзе, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I-III вв. н. э., თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 65 თბილისი 1957 წ., გვ. 245.  
<sup>9</sup> მ. სავინაშვილი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭლის კატალოგი თბ. 1970, გვ. 44.  
<sup>10</sup> ქ. ყავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გეოგრაფიული ძეგლები, თბილისი, 1972, გვ. 9.  
<sup>11</sup> А. Алавидзе, Города древней Грузии, Тбилиси, 1968, გვ. 278.  
<sup>12</sup> ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში II, თბილისი, 1970, გვ. 6.  
<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი 1955, გვ. 98-99.

Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен (V в. до н. э. — XV в. н. э.), Ереван, 1953, стр. 57, 68, 95, 278.  
<sup>14</sup> მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აკოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1964, გვ. 117, ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964, გვ. 146.

## რას გვიჩვენებს ნაქალაქარ ურბნისის მიწა

(ოცე წელი ნაქალაქარ ურბნისში გათხრების დაწყებიდან)



ურბნისი, გალავნის რეკონსტრუქცია

ქართულ მატიანეთა ფურცლებზე ბევრი ქალაქია ნახსენები, მაგრამ ყველას რელიზიონიზაცია ჩვენამდე. ზოგმა მრავალი ცვლილება განიცადა, ზოგი ნანგრევებს წარმოადგენს, ხოლო რამდენიმეს ადგილსამყოფელიც კი არ არის დადგენილი.

ძველი საქართველოს ერთ-ერთი დიდებული ქალაქი იყო ურბნისი, რომლის ნანგრევებზეც დღეს იმავე სახელის მატარებელი სოფელია გაშენებული. იგი მდებარეობს გორიდან დასავლეთით ათიოდე კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

საიდუმლოებით მოცული ეს ნაქალაქარი დიდხანს იზიდავდა ჩვენს მკვლევარებს და ბოლოს მისი გათხრის ჯერიც დადგა. აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით 1953 წელს აქ წამოწყებულმა გათხრებმა თორმეტი წელიწადი მიწას მიაჯაჭვა მეცნიერთა დიდი ჯგუფი. კვლევაში არქეოლოგებთან ერთად მონაწილეობდნენ: ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, ჰიდროლოგები, გეოლოგები, ანთროპოლოგები, ოსტეოლოგები და კიდევ მრავალი სხვა სპეციალისტის წარმომადგენლები.

გამუდმებულმა რბევამ ქვეყანა არა მარტო დაფარა ნაქალაქარებით, ნასოფლარებით, ნაციხარებით, ნადარბაზევებით, არამედ ხელნაწერებიც მოსპო. ამის გამო ხშირად უყურებთ უზარმაზარ ციხე-დარბაზის ნანგრევს, ხედავთ, რომ აქ ცხოვრება დიდხანს დუღდა, მაგრამ მასზე ძველ ნაწერებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. განა ცოტა-ჯერ ყოფილა, რომ ნაქალაქარისა თუ ნასახლარისათვის მიუკვლევი არქეოლოგის ბარს და მის არსებობაზე კი მანამდე არავინ იცოდა?



ურბნისი აკად. გ. ჩუბინაშვილი, ნინო ბერძენიშვილი, აკად. ნ. ბერძენიშვილი, ა. ჭავჭავაძე, ლ. ლლონტი, გ. ლომთათიძე, 1957 წ.

კერძოდ, ურბნისზე მატთანეებში ორიოდ სიტყვაა ნათქვამი. პირველად იგი იხსენიება ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან დაკავშირებით. თუმცა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის დადასტურებული მაკედონელის აქ ყოფნა, მაგრამ ისტორიკოსს ანტიკური ქალაქების შესახებ კი სწორი ცნობები ჰქონია. ძველი ქალაქების გათხრებმა დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ-ის VI-IV საუკუნეებში სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა წარმოქმნასთან ერთად ჩნდებიან ქალაქებიც. სწორედ ურბნისი ის ქალაქია, რომელიც იხსენიება ქართლის პირველ ქალაქთა შორის. ეს ქალაქებია: მცხეთა, უფლისციხე, კასპი, ოძრბე, ხერთვისი, წუნდა და სხვა.

შემდეგში ურბნისი იხსენიება ჩვ. წ-ის IV ს. დასაწყისში: წმ. ნინო, როდესაც კაპადოკიიდან მცხეთაში იბერიის ღედაქალაქში მოდიოდა, ერთი თვით ურბნისში შეყოვნებულა და შემდეგ, როგორც მატთანე მოგვითხრობს: „ღღესა ერთსა აღიძრნენ ერთი ძლიერნი და ურიცხვნი სიმრავლითა მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა, ვაჭრობად, ლოცვად არმაზ-ღვთისა ნათის“. აი, ამ ურბნელთ, ძლიერთ და ურიცხვთ, თან გაქყვა ნინოც.

მემატიანე იქვე დაურთავს კიდევ, რომ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ურბნელებიც „ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყვანს-ცემდეს“.

მოგვიანო ცნობით ურბნისი ქალაქობდა VIII ს. 30-იან წლებამდე. ამ დროს მურვან-ყრუმ დასწვა და გადაბუჯა მთელი საქართველო და აყვავებული ქალაქები მიწასთან გაასწორა. ამის შემდეგ ურბნისმა კიდევ ცოტა ხანს იარსება.



ურბნისი. გვიან ბრინჯაოს ხანის სამარხი  
(№ 24). პ. ზაქარაია, გ. კაციაძე, დ. ქორიძე

მომდევნო საუკუნეებში კი აქ არსებობა განაგრძო ურბნელის საეპისკოპოსოსმ პატარა სოფლით.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარებულმა გათხრებმა გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანი სურათი გადაგვიშალეს, ვიდრე მემატრიანეთა ტუნწმა ცნობებმა.

ურბნისში პირველი მცხოვრები ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ გამოჩენილა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც პრიმიტიული მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ბრინჯაოს მეტალურგია პირველ აყვავებას განიცდის. იმ ადრეულ ხანაში ერთმანეთისაგან თითო-ორი კილომეტრით დაცილებული სოფლები ზოგჯერ გორებზე იყო განლაგებულნი. გორებს ისეთნაირად არჩევდნენ, რომ მას სამ მხარეს დიდი ან მცირე ხე-ვი უნდა ჰქონოდა, ხოლო მეოთხე მხარეს არსებულ ყელს გარდიგარდმო თხრილით გადაჭრიდნენ. ასე ხევებითა და თხრილით შემოფარგლული გორა შედარებით გამაგრებულ ადგილად ითვლებოდა: სოფელი შეტლებისდაგვარად იცავდა თავს გარეშე მტრებისაგან.

ამ ე. წ. ადრებრინჯაოს ხანაში, ე. ი. ჩვენს წ-მდე III ათასწლეულში, ჯერ კიდევ ფაცხა სახლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ შელესილი კედლები და მოტკეპნილი და შეღებილი იატაკი, იქვე ნაპოვნი ქვისა და ლითონის იარაღი და კერამიკული ჯამ-ჭურჭლები მკეთებელ-მომხმარებელთა ფაქიზ გემოვნებაზე მიგვიითებებს. ამ დროს ადამიანმა უკვე გუთნურ მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი და სხვადასხვა პურეული რომ მოჰყავდა, ამაზე იქვე ნაპოვნი ხორბალი და რამდენიმე დამწვარი ძნაც მიგვიითებებს.

ამ ხანის ნასოფლარები მრავალფენიანია, ე. ი. სოფლები არაერთხელ არის მიტოვებული და კვლავ დასახლებული, შენობები — დანგრეული და ხელახლა აგებული, ამის მიზეზი საბოლოოდ გარკვეული არ არის, ზოგი ფიქრობს, რომ დასახლებებს შემ-


თხვევები ან სტიქიური უბედურება (ხანძარი, მიწისძვრა) ანადგურებდა, სოცსა-ცი მო-  
ჩნია, რომ სოფლების მრავალფენიანობაში ასახულია მოსახლეობის მოძრაობის  
თი ადგილიდან მეორეზე გადასვლის, ძველ ნაფუძარზე მრავალჯერ მობრუნების  
ცესი, რომელიც გამოწვეული იყო მიწათმოქმედების სისუსტით: წერეულდ დამუშავე-  
ბული მიწა სწრაფად კარგავდა ნაყოფიერებასა და ვეღარ იძლეოდა მოსავალს, ამი-  
ტომ საჭირო ხდებოდა სხვაგან გადასახლება, ახალი ფართობების დამუშავება. რამ-  
დენიმე ხნის შემდეგ, როცა აღდგებოდა მიტოვებული ადგილების ნაყოფიერება, მოსახ-  
ლეობა უბრუნდებოდა მათ და დანგრეული სახლების თავზე აშენებდა ახალ სოფელს,  
და ასე მრავალჯერ. ამის შედეგია ის, რომ ე. წ. ხიზანაანთ გორაზე თერთმეტი ნასახ-  
ლარია ერთმანეთზე დაფენილი.

მომდევნო რამდენიმე ასეული წელი ურბნისის ტერიტორიაზე, ისე, როგორც შიდა  
ქართლის მომიჯნავე მონაკვეთიც, ცხოვრების კვალი არ ჩანს. ხოლო ძვ. წ-ის მეორე  
ათასეულის შუა ხანებიდან ისევ ჩნდება აქ მოსახლეობა და საკმაოდ ძლიერიც. ამ გვი-  
ნბრინჯაოს ხანის ურბნისში ნაპოვნი სამარხების კერამიკა თუ ლითონის იარაღები მა-  
ღალი გემოვნებითაა ნაკეთები. ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში მრავალი რამ იყო ნა-  
პოვნი, მაგრამ მათში გამოირჩეოდა კვერთხი, რომელიც თავისთავად მიუთითებდა ამ  
ძვალმავარი მამაკაცის ბელადობაზე, მისი ტომის უფროსობაზე. ურბნისის ისტორიაში  
რადიკალური ცვლილებები ჩნდება ძვ. წ-ის პირველი ათასეულის შუა ხანებში. რო-  
გორც ეტყობა, სოფ. ურბნისი მდიდარი იყო და ხალხმრავალი. ხოლო აქვე, მტკვრის  
გაყოფაზე გამავალმა სავაჭრო მაგისტრალმა, რომელიც ერთ-ერთი მთავართაგანი  
იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მაკავშირებელი გზებიდან, ხელი შეუ-  
წყო მის ქალაქად ქცევას.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს, რომ უკვე ძვ. წ-ის IV—III სს. ურ-  
ბნისი მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა. იქ ნაპოვნი ელინისტური ხანის ნივთები მრავ-  
ლის მეტყველია.

სამწუხაროდ, არქეოლოგიასთვის ურბნისის გათხრისას ის უსერხელობა იქმნება,  
რომ არცერთი ფენა ხელუხლებლად არ არის მოღწეული. ათასი წლების განმავლობა-  
ში აქ არ შეწყვეტილა ცხოვრება, — სოფელი ქალაქმა შესცვალა, ქალაქი ისევ სო-  
ფელმა. ერთი პერიოდის ნაშენ-ნაამაგარს ან მტერი ანგრევდა, ან თითონვე ძველს ას-  
ლით სცვლიდნენ და ასე იცვლებოდა ადრეული გვიანდელით. როდესაც ნაქალაქარი  
ითხრებოდა განცვიფრებაში მოგიყვანდათ ნახანძრალი ფენები. როგორი სიცოცხლისუ-  
ნარიანი უნდა ყოფილიყო ხალხი, რომ მიუხედავად მტრის მიერ არა ერთჯერის გადა-  
წვისა, ისევ თავიდან დაეწყო: ქალაქი ფენიქსივით აღადგებოდა და ისევ ქალაქობდა.

ქალაქი ურბნისი მეტად მდიდარი ჩანს გვიანანტიკურ ხანაში. I—IV საუკუნე-  
ების სამაროვანზე მრავალფეროვანი ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის, კერამიკის, მი-  
ნის, პასტის ნივთებია გამოვლენილი. ამ ნივთების არა მარტო რაოდენობაა გასაკვირი,  
არამედ მათი ხელოვნება. აქ აღმოჩენილი იყო იშვიათი ნაკეთობანი, რომლებიც თავის-  
თავად ნამდვილად ხელოვნების მაღალ დონეზე მიუთითებენ. აღმოჩენილი ნივთების  
დიდი უმრავლესობა ადგილობრივი ნახელებაა, მაგრამ არის შემოტანილიც. ეს იმპორ-  
ტული ნივთები მაშინდელი ცივილიზებული სამყაროს მრავალი ქვეყნიდანაა ჩამოტა-  
ნილი, რაც თავისთავად ვაჭრობის ფართო მასშტაბზე მიგვიჩვენებს. შემოტანილი ნივ-  
თებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ასზე მეტი გემმა, რომელთა ზედაპირზე



ურბნისი. XVI უბანი. მარანი.

ადამიანთა, ცხოველთა, ფრინველთა თუ სხვა სახის კომპოზიციები იშვიათი ხელოვნებითაა გამოსახული, ასევე მაღალი ოსტატობა ჩანს სამკაულის შესრულებაშიც. მრავალფეროვანია ბეჭდები, მძივები, სამაჯურები, მედალიონები და სხვა.

ბევრმა ანტიკურმა ქალაქმა საქართველოში მონათმფლობელობის მოსპობასთან და ფეოდალიზმის გამარჯვებასთან ერთად დაკარგა პრიორიტეტი და თანდათანობით არსებობაც შესწყვიტა. კერძოდ, მონათმფლობელურმა ურბნისმა არა მარტო გაუძლია ახალ პირობებს, არამედ დიდი აღმავლობაც განიცადა. გათხრებმა დაგვანახა, რომ V—VIII საუკუნეების ურბნისი ისევ მდიდარი და ძლიერი ქალაქია.

როგორც ირკვევა, ანტიკური დროის ქალაქის გალავანი დაირღვა. თანაც ძველი საზღვრები უკვე აღარ შეეფერებოდა გაზრდილ ქალაქს და ახალი ზღუდე იქნა შემოვლებული. ეს ახალი გალავანი უფრო ვრცელ ტერიტორიას შემოფარგლავდა. აღიზის კოშკოვანმა ზღუდემ შემოფარგლა 23 ჰექტარზე მეტი ტერიტორია, რაც იმ დროის ქალაქისათვის საკმაოდ დიდი ფართობია.

ქალაქი განლაგებულია მდ. მტკვარის მარცხენა მხარეს. მდინარის მხრიდან ფლატე ნაპირი 25 მეტრზეა, ამიტომ ამ მხარეს გამაგრება შედარებით ნაკლებად სჭირდებოდა. ამ ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით მშენებლებმა გალავანიც სხვადასხვანაირად გადაწყვიტეს. მდინარის მხარეს მხოლოდ კედელი ააგეს. ხოლო დანარჩენ მხარეს, ვაკეზე გალავანში კოშკები ჩართეს. თვით კედელი თითქმის ხუთი მეტრის სისქისაა, ხოლო ნახევარწრიულად შევრილ კოშკებს შორის საშუალოდ 65 მეტრია. გალავნის პერიმეტრი თითქმის ორი კილომეტრია. ასეთი მასიური და მაღალი კედელი მტერს საკმაოდ ძნელი გადასალახი ექნებოდა.

ქალაქის ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის აბა-



ნოს კაპიტალური ნაგებობა. ასეთი რთული და საინტერესო აბანო მანამდე საქართველოში მხოლოდ სამი იყო ცნობილი. აღრეფეოდალური პერიოდიდან დარჩენილი იყო რამდენიმე საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობების (სამისკოლონი) ნაგებობათა ერთი ნაწილი ბანური გადახურვით ყოფილა, ნაწილი კი — კრახტი. სამეურნეო ნაგებობებიდან საინტერესოა აღენიშნოთ მარნების სიმრავლე. მარნები დიდი ზომის ათეულობით ქვევრებით, შევენახვობა-მეღვინეობის მაღალ დონეზე მიგვიტოთებს. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ქალაქის მეურნეობის საჭიროებისათვის ჯერ კიდევ ძვ. წ-ის IV—III სს. უნდა იყოს გამოყვანილი ლიახვიდან არბი, რომელიც ახლაც მოქმედია. იგი ისეთი მაღალკვალიფიციური ინჟინერული ნაგებობაა, რომ დღესაც ანციფრებს სპეციალისტებს.

როგორც აღენიშნეთ, VIII ს. ქალაქმა შეწყვიტა არსებობა, მაგრამ იქვე საეპისკოპოსო კათედრა დარჩა, რომლისთვისაც V—VI სს. მიჯნაზე აგებული იქნა ბაზილიკური ტაძარი. ამ დიდებულმა არქიტექტურულმა ნაგებობამ (გადაკეთებულმა) დღემდე მოაღწია. იქვე დგას 1706 წ. აგებული სამრეკლო.

ნაქალაქარ ურბნისის გათხრებმა ბევრი ახალი შემაბა ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეს. მასალის სიმდიდრით ურბნისს ძველი დედაქალაქის მცხეთის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს, მაგრამ მრავალფეროვნებით და ქრონოლოგიური ჩარჩოებით — პირველი.

ურბნისის გამთხრელი დიდი კოლექტივიდან მადლობით უნდა გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც არაფერი დაიმურეს ძველის შესწავლის უკეთ წარმართვისათვის. ამ შემთხვევაში პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ ქართული ისტორიული ფრონტის საუკეთესო წარმომადგენელი აკად. ნ. ბერძენიშვილი, ჩვენგან უდროოდ წასული არქეოლოგები გ. ლომთათიძე და დ. ქორიძე და საქართველოს სარწყავი სისტემების შესწავლის პიონერი და ინიციატორი, პიდრო-გეოლოგი პროფ. ა. ლოსაბერიძე.

ჩვენთან ერთად წარმატებით ეწეოდნენ საველე-არქეოლოგიურ მუშაობას — აღ. ჯავახიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ი. კიკვიძე და ლ. დლონტი. ამასთანავე სხვადასხვა ინტენსივობით მუშაობდნენ — ვ. ცისკარიშვილი, მ. სინაურიძე, ნ. ჭანთარია, ნ. შოშიაშვილი, დ. თუშაბრამიშვილი, თ. აბრამიშვილი, რ. აბრამიშვილი, გ. კიკვიძე, მ. შამთარაძე, მ. კეცხოველი, გ. ნემსაძე, ნ. ჯავახიშვილი, ქ. ჯავახიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ი. ჯალაღანია, ი. გაგოშიძე, ი. ზაქარიაშვილი, დ. აბუხანდაძე, რ. ერისთავი, ა. კახნიაშვილი, თ. კერესელიძე, ლ. საგინაშვილი, მ. საყვარელიძე, მ. ბელიაშვილი, ვ. კინწურაშვილი და სხვები. ერთ სეზონს აწ განსვენებული ახალგაზრდა მწერალი გ. რჩეულიშვილი მონაწილეობდა. ძველების ფიქსაციაზე დიდი სიყვარულით მუშაობდნენ მხატვრები და არქიტექტორები — კ. კვეციანი, ა. ბაქრაძე, ფ. ქუფარაშვილი, ვ. ცუხიშვილი, ლ. მექმარიაშვილი, რ. კაპანაძე, გ. ვაჩნაძე.

გასული წლების განმავლობაში ურბნისში გათხრების შედეგებს მიეძღვნა არა ერთი მონოგრაფია და სტატია, დაცული იქნა რამდენიმე დისერტაცია და კიდევ ბლომადაა დაუმუშავებელი მასალა.

### მალრანის ბანძი

ახმეტის რაიონის სოფ. მალრანის განაპირას შემორჩენილია უცნობი ვკლესიის ნანგრევები. ადგილობრივი მოსახლეობა მას, გეოგრაფიული ადგილის მიხედვით, ხარმიცავის ხატს უწოდებს. ვკლესიის ნანგრევებიდან 100—200 მეტრის მოშორებით 1971 წ. შემთხვევით აღმოჩნდა მიწაში დაფლული სპილენძის დიდი ქვაბი სპილენძისავე თევზით ჰერმეტიკულად დახურული, რომელშიც ჩალაგებული იყო ვერცხლის გქვაი ჭურჭელი (განძი დაცულია თელავის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში).

მალრანის განძი ყურადღებას იპყრობს ჭურჭლის ფორმითა მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილია პირშეკრული ბრტყელძირა თასი, ვერცხლის თევზთა ნაირსახეობა, მალაღუებიანი სასმისი და სხვ.

ვერცხლის დიდი ზომის თასი (პირის დიამეტრი — 19,5 სმ) საინტერესოა ფორმით და მასზე მოთავსებული წარწერით. ეს არის პირშეკრული, მუცელგანიერი, ბრტყელძირა ჭურჭელი. შიდა მხრიდან ძირზე ამოკვეთილია კონცენტრული წრეხაზები, გარე პირს დაუყვება რამდენიმე ღარი. თასი ჭედვითაა დამზადებული. ჭურჭელს გარედან ძირზე და ნაწილობრივ გვერდზე შემოუყვება ვრცელი მხედრული წარწერა. იგი, ჩვეულებისამებრ, იწყება ქანწილით, სიტყვათა გამყოფად სამ-სამი წერტილია ნახმარი. წარწერა იკითხება ასე: „ქ. შემოწირეთ. თქვენ: ალონს: ნათლისმცემლისა: ქრისტესსა: ჩუნ: მეფემან: პატრონმან: ალექსანდრე: მცირე: შემოსაწირაესაც: ვერცხლის: თასი: ესე: ჩუენთვის: საღვგრძელად: გასამარჯვებლად: და მეფობის: ჩუენის: წარსამართლებლად: თქუნ: მცხ: მფარველ: მსხნელ: და შემწე: გუქმენ: ჩუნ: მეფესა: პატრინსა: ალექსანდრეს: ორსავე: შინა: ცხოვრებასა: აქაცა: მას: საუკუნესაც: ამინ“.

წარწერაში ნახსენებია ალვანის იოანე ნათლისმცემლის ვკლესია. ცნობილია, რომ იგი VIII—IX საუკუნეების ბაზილიკის ტიპის ძეგლია, რომელიც XVI საუკუნეში ლევან მეფის ბრძანებით მოუხატაით.

აღნიშნული წარწერა საინტერესოა აგრეთვე იმითაც, რომ მასში მოხსენებულია ჭურჭლის სახელწოდება — თასი. თასი, როგორც გარკვეული ტიპის ჭურჭლის სახელწოდება, პირველად XI ს. თხზულებაში (ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი) გვხვდება, შემდგომ საუკუნეებში ის „სახლის ჭურჭლად“ მოიხსენიება. XVII—XVIII სს. ვერცხლის თასი აუცილებელი ელემენტია გამზითვებულ ქონების სიაში.

ქართული წერილობითი წყაროები განასხვავებენ თასებს როგორც ღირსებაღირებულებით, ასევე ზომითაც. არსებობს „მცირე თასი“ და „დიდი თასი“. მალრანის ჭურჭელი ზონით ამ უკანასკნელს მიეკუთვნება.

რაც შეეხება წარწერაში მოხსენებულ მეფე ალექსანდრეს, არ ვიცით, რომელი ალექსანდრე იგულისხმება. მეფე ალექსანდრე (კვარაუდობთ კახეთის სამეფო კარს, ჭურჭლის აღმოჩენის ადგილის მიხედვით) ორია: ალექსანდრე I (1476-1511 წწ.) და ალექსანდრე II (1574--1605 წწ.) ჩვენი აზრით, წარწერაში მოხსენებული მეფე ალექსანდრე, ალექსანდრე II უნდა იყოს, რაზეც მივითვითებს თვით წარწერის შესრულების მანერა და მისი დახვეწილი ფორმა. სამეცნიერო ლიტერატურაში გა-



ვერცხლის თევზი  
წარწერით

ნოთქმული მოხაზრების თანახმად ჩამოყალიბებული მხედრული წარწერები ცნობილია XVII საუკუნიდან და იგი არ ჩანს XVI საუკუნემდე. ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელია გაუმართავი ზელი და ასომთავრულის ელემენტები. ამ მხრივ მალრანის თასის წარწერა თვისი ხასიათით ახლო დგას XVI ს. ბოლოსა და XVII საუკუნის ძეგლებთან.

რაც შეეხება თასის ფორმას, ის ზუსტ ანალოგს პოულობს მახლობელ აღმოსავლეთში (ეგვიპტე, სირია, ირანი) XIV ს. II ნახევრიდან გავრცელებულ ჭურჭულთან.<sup>2</sup>

ქართულ მასალებში მალრანის თასის მსგავსი ფორმა ჩვენთვის უცნობია. ის, როგორც ჩანს, საქართველოში ვრცელდება უფრო მოგვიანო ხანაში. მისი ადგილობრივი წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. ამაზე მეტყველებს ჭურჭლის სადა მხატვრული სტილი, დამზადების ტექნიკა და მასზე მოთავსებული ქართული წარწერა.


ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს მალრანის ვერცხლის თასი მივიჩნიოთ XVI საუკუნის ადგილობრივ ნაწარმად.

არაჩაკლებ ინტერესს იწვევს განძის დანარჩენი ჭურჭელიც. ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს სამი ერთი ტიპის ვერცხლის თევზი, რომელთაგან ერთზე, ზომით ყველაზე დიდზე მოთავსებულია წარწერა, დანარჩენები კი სრულიად სადაა. ფორმით, დამუშავებით სამივე ჭურჭელი ერთმანეთის მსგავსაა, მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზომებშია (ყველაზე დიდი თევზის დიამეტრი 24 სმ, მეორესი — 14 სმ.).

თევზები ჭურჭლის ერთი კომპლექტია, ისინი სიმეტრიულად და თანმინდვერობით ერთმანეთში იდგმება. ამასვე ადასტურებს წარწერაც კომპლექტის მხოლოდ ერთ ბოლო თევზზე. წარწერა შესრულებულია მხედრულით. „აქ ნათლისმცემლო: ქრისტესაო: ალონასაო: მცხ ვა შენ: მონასა: შენს: ბაგრატს: და შეიწირე: მცირე: ესე: შესაწირავი: ა წ“.

ჭურჭელი წინა თასის მსგავსად შეუწირავთ ალვანის ნათლისმცემლისათვის, ხოლო ვერცხლის ჭურჭლის შეწირვა თავისთავად მიგვითითებს შემწირავი ბაგრატის ეკონომიურ შესაძლებლობებზე.

მალრანის სამივე ჭურჭელი ფორმით იდენტურია სოფ. მშვიდობიანში (ლაგოდეხის რ-ნი) აღმოჩენილი თევზებისა, (საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფაზკი ფონდები) რომელთაც აგრეთვე დაბალი სწორი გვერდი და ბრტყელი ძირი აქვთ, ზომითაც თითქმის ტოლები არიან. მშვიდობიანის განძი XVI საუკუნით თარიღდება. თევზების აღნიშნული ტიპი ძლიერ განსხვავდება XVII—XVIII სს. საქართველოში გავრცელებულ როგორც ფართო ბაკოიან, დაბალ გვერდიან, ასევე ღრმა თევზებისაგან.



რევან ჩოლოყაშვილის თევზი  
წარწერა რევან ჩოლოყაშვილის თევზზე.



ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით ლითონის თევში მხოლოდ XVII საუკუნის დასაწყისში ჩნდება. ასევე გვიან აღირიცხება იგი ქართულ ნივთიერებულ ტურაშიც.

ყურადსაღებია განძის მებუთე ტურქელიც. ეს ვერცხლის დიდი ზომის თევშია (დიამეტრი — 25 სმ) ღრმა, ბრტყელძირიანი, ფარო. ოდნავ დაქანებული ბაკო აქვს, ბაკოზე და ძირზე ამოკვეთილია ღარები. ტურქელი და მზადებულია ორი ნაწილისაგან. მათი შეერთებისას გამოყენებულია მიწრიულა, დამზადებულია ქვადით. თუფში სრულიად სადაა, გარე პირზე ოხსტრიქონიანი ვრცელი მხედრული წარწერა დაყვება. წარწერა იწყება ქანწილით, სიტყვათა გამოყოფად სამ-სამი წერტილია ნახ-მარი, სიმეტრიულად განლაგებული და ლამაზად დაქერილი წარწერა სახიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. „ქ საშინელო: წმინდანო: მთავარანგელოზნო: შეიწყალეთ: სული: ჩოლაყაშვილის: რევაზისა: და თან: მეცხედრე: მისი: თამარ: დაღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა: და ძე მათი: დღე გრძელობითა: და მშვიდობითა: დიციქ: და წარმართე: ყოველი: საქმე: კეთილად: საშინელო: წმინდანო: მთავარ: ანგელოზნო: შეიწირეთ: მცირე: ესე: შეხაწირავთ: ქვრივის: და გაუზარდე: აღდგერძელე: მიქელ: ამინ: ამინ: „წარწერიდან ირკვევა, რომ ტურქელი შეწირულია რევაზ ჩოლაყაშვილის სიკვდილის შემდეგ მისი ქვრივის თამარის მიერ. წარწერაში მოხსენებულია აგრეთვე ძე მათი მიქელ.

საქართველოს ისტორიაში ორი რევაზ ჩოლაყაშვილია ცნობილი. ორივე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVII საუკუნეში, ორთავეს წერილობითი წყაროები სახლთუხუცესად მოიხსენიებენ<sup>5</sup>. აღწერს რა როსტომ მეფისა და მეფე თეიმურაზს შორის ბოლო ბრძოლას, ბერი ეგნატაშვილი წერს: „რა ესმა როსტომ მეფესა, მანაცა წარგზავნა ყოზილბაშის ჯარი იმათხედა, და თვით წარვიდა ბატონს თეიმურაზხედა. მაშინ ჰკრეს თოფი რეუაზ სახლთუხუცესსა ჩოლაყაშვილსა, რომელ იყო კაცი კეთილი და რწეული სარდალი. ეს იყო ბატონის თეიმურაზის მეწინავე. ამას ჰკრეს თოფი და დაკოდეს სასიკუდინედ“. ამ ბრძოლის შემდეგ თეიმურაზი იმერეთს გადადის. ეს ფაქტი კი მოხდა 1646—1648 წწ. ამავე პერიოდში მოიხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი რევაზ ჩოლაყაშვილს.

1648 წ. დათარიღებული ისტორიული საბუთის მიხედვით<sup>6</sup>, სახლთუხუცესის რევაზის მამულს როსტომ მეფე აძლევს ჭიაურთ მოურავს შანშე ჩოლაყაშვილს. თეიმურაზის განდევნის შემდეგ მის მომხრეთა მამული, ბუნებრივია, როსტომ მეფემ გადასცა სხვას, შესაძლოა, თავის მომხრესაც კი.

XVII საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 1690-1693 წწ. წყაროები (ვახუშტი, საქართველოს ისტორია) კვლავ მოიხსენიებენ რევაზ ჩოლაყაშვილს, უკვე მეორეს ისტორიულმა საბუთებმა შემოგვინახეს მეტი ცნობები ამ ჩოლაყაშვილის ოჯახის შესახებ, კერძოდ, 1690 წ. საბუთში<sup>7</sup> მოხსენებულია რევაზ ჩოლაყაშვილის როგორც ძმები, ასევე შვილები. მას ოთხი შვილი ჰყოლია: ოთარ, რამაზ, ქაიხოსრო და გიორგი. მარღანის ტურქელზე მოხსენებული მიქელი აქ არ ჩანს. სავარაუდებელია, რომ მიქელი რევაზ პირველი ჩოლაყაშვილის ძე უნდა ყოფილიყო. თარიღს აზუსტებს თვით ტურქლის ფორმაც. XVI საუკუნის ბოლოთი და XVII საუკუნით თარიღდება ნაქალაქარ გრემში აღმოჩენილი სპილენძის დიდი თევზები<sup>8</sup>, აგრეთვე ლანგრისებური თიხის ჯამები. ამავე თარიღს იმეორებს საქობოს სპილენძის ტურქელიც, რომელთა შორის დიდია მსგავსება ფორმაში, ზომაში, დამუშავების ტექნიკაში და მზატურულ სტილში.



ვერცხლის ბარძიმი

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს თევფი დამზადებულია XVII საუკუნის შუა ხანებში.

განძის მვეჭვსე ჭურჭელია მაღალფეხიანი სასმისი (სიმაღლე 20 სმ), შედგება ორი ნაწილისაგან: რელიეფური ფეხი თასთან სრასნითაა დაკავშირებული. ჭურჭელი სადაა, დამზადებული ჭედვით. საქართველოს მუზეუმების ფონდებში აღირიცხება XVIII საუკუნით დათარიღებული ვერცხლის ბარძიმების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი. მათთვის დამახასიათებელია რელიეფური მაღალი ფეხი, ღრმა თასი, ძირზე ვრცელი წარწერებით.

მღრანის ჭურჭელი ბარძიმის ტიპისაა, მათგან განსხვავებით ის მდარე ნამუშევარია. სრასნის არსებობა კი გვაფიქრებინებს, რომ ჭურჭელი შედარებით მოგვიანო ხანის — XVIII ს. მეორე ნახევრის ნაწარმია.

ამგვარად, მიუხედავად დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონისა, განძის ჭურჭელთათვის დამახასიათებელია ერთიანი შტატურული სტილი (შემკულობის სისადავე),



დამუშავების ტექნიკა (ჭედვით დამზადება), და მათზე მოთავსებული მხედრული წარწერა. განძის ყველა ჭურჭელი მხატვრული თვალსაზრისით მაქსიმალურ სიყვარულით ხასიათდება, რაც თავისთავად ფორმათა სრულქმნას და ჭურჭლის ზედაპირის ზედმიწევნით კარგად დამუშავება-გაპრიალებას მოითხოვდა. ქართულმა ხელოსანმა შეძლო ყოველგვარი დეკორის გარეშე წარმოეჩინა ლითონის სპეციფიკა და ქართული ჭურჭლის თვითმყოფადი ხასიათი. ჭურჭლის ადგილობრივობას მხარს უჭერს მის მისაღებად გამოყენებული ერთადერთი ტექნიკური ხერხი — ჭედვა. აკად. გ. ჩუბინაშვილი ჭედურობაში გავრცელებული მთელი რიგი ხერხების განხილვისას აღნიშნავს, რომ ორი ძირითადი ხერხიდან — ჭედვა-ჩამოსხმა, საქართველოში გავრცელებული ყოფილა პირველი.

მალრანის განძის მნიშვნელობას ზრდის მათზე მოთავსებული მხედრული წარწერები. მათი საშუალებით დგინდება ჭურჭელთა გავრცელების დრო, წარმოშობა და ზოგ შემთხვევაში ჭურჭლის სახეობაც. წარწერამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვეზუსტებინა ისტორიული პირის ცხოვრების ზოგიერთი მომენტი. წარწერებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს წერილობითი წყაროების მონაცემები ეკლესიისათვის ჭურჭლის შეწირვის და გაჩუქების ტრადიციების შესახებ ძველ საქართველოში.

ქართული სხვა მასალების მსგავსად, მალრანის ჭურჭელზე წარწერებს შინაარსობლივი მნიშვნელობა ენიჭება, მათი ფუნქცია წმინდა ინფორმაციულია.

საქართველოში ლითონის ჭურჭლის აღმოჩენა უმეტესად შემთხვევით ხასიათს ატარებს, რაც გაპირობებულია მასალის სპეციფიკურობით. ვერცხლის და სპილენძის ჭურჭელი ოჯახის სიმდიდრის და ეკონომიური სიძლიერის მაჩვენებელი იყო, ამიტომ ომიანობის დროს ხალხი მას საგულდაგულოდ ინახავდა, უფრთხილდებოდა, მშვიდობიანობის დამყარებასთან ერთად იგი კვლავ უბრუნდებოდა პატრონებს, ნაწილი კი სამუდამოდ რჩებოდა მიწაში. როგორც ჩანს, ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს შეწირული მალრანის ჭურჭელიც.

1 ე. ცისკარიშვილი, ვახუშტის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 100. იხ. სათანადო ლიტერატურა.

2 А. Иванов, Бронзовый тазик середины XIV в. Средняя Азия и Иран, Л., 1972 г., стр. 116.

3 ნოლოვაშვილთა გენეალოგიის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ნ. ასათიანმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

4 თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Hd საბუთი № 14.428 ვახუშტი, დასახ. ნაწილობა, გვ. 121-125.

5 თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Hd საბუთი № 10921.

6 მასალები დაკლვია საქართველოს სახ. მუზეუმის ფაქი განყოფილების ფონდებში



ძეგლების უანგარო  
მეგობარი

გვი იღის ძე სოხაშვილის სახელი საქვეყნოდ არ ჰქვია, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გახლდათ და ხელოვნებათმცოდნეობის ქართული წრეების რიგისანი, ისეთი რიგისანი ურომლისოდაც არც ერთი სარდალი ივარიშზე არ გადადის და რომელიც ერთი-ორი ბრძოლის მოგებად რომ დასცილდა, სასარდლო კვართსზეც მოუწვდებოდა ხელი.

მაგრამ არ დასცადა... სულ რამდენიმეწერ მოგვევლინა ცისფერ ეკრანზე თავისი გულწრფელი სამღერავით იმათ მიმართ, ვინც არ ვრიდებამ ქართული ერის კულტურის ძეგლთა ხელყოფას. ეს ძეგლები კი მის თავისი თვლით ენახა, ფოტოობიექტივის თვალშიც მოექცია და ისე უყვარდა, როგორც საყვართი შვილები. და ამიტომ იყო, რომ უველაფერს აკეთებდა, რათა იმ ძეგლთა წარსული და დღევანდელი ღირებულება ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგები ყოფილიყო.

მხოლოდ ათიოდ მაღალ დონეზე დაწერილი სტატიის გამოქვეყნება მოასწრო გვი სოხაშვილმა თავის სანუკვარ თემებზე: დავით გარეჯის გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის, ყიფნისის, ფიტარეთის, გრემის, შუამთის და სხვათა შესახებ...

მხოლოდ ერთი ფუნდამენტალური გამოკვლევის შექმნა მოასწრო გვი სოხაშვილმა სამთავისის დიდებულ ტაძარზე. რომელიც აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის წარდგინებით მეცნიერებათა აკადემიის ეტრნალ „მაგნუს“ ფურცლებზე დაიბეჭდა. მერე როგორ შეამკო მან ქართული ხეროთომოდერტილი კენის ეს სოაცარი ქწნილება მისი ზღაპრული საერთო წარმოსადგვობა, „თეთრად მოკაშკაშე ზეახიდული პროპორციები“, მშენიერ გარეგნობისთან პარმონიულად შერწყმული მისი შინაგანი სიერცე, როგორი სიზუსტით გადმოსცა მისი დაბადებისა და ნგრევა-განახლების მრავალსაუკუნოვანი წარსული!





მხოლოდ ერთი მდიდრულად ილუსტრირებულ ნაწარმოებს გამოეყენება მოსწრო გვიმ საქართველოს უმშვენიერესი კუთხის — სვანეთის შესახებ.

მაგრამ გვი სოხაშვილმა მოსწრო სახელი ვაითქვა არა მარტო როგორც ქართული კულტურის ძეგლია მატრიციალს, არამედ აგრეთვე, როგორც ამ ძეგლია მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობის მოქმადე პირობა-განდისტს: იგი გასძლიოა ასობით ექსტრასიასა და ტერორტულ ჩვედს ვარძილდან ანანტრამდე, მესტიიდან ჩონჩხბეჯამდე, შატრლდან დმანასის ნაქალაქარამდე.

გვი სოხაშვილი კომპინსტი იყო და ღირსეული კეთილსინდისიერებით ასრულებდა ამ მდილი წოდებიდან გამომდინარე შოვალეობებს; სიცოცხლის უკანასკნელ დღეშე ჩვენი ხელოვნების შეხვედრის პარტორგანიზაციის მდივანი ვახლდა და დაბეჯითებით უმართავდა ხელს ყველა საქმეს, რომელი თაიონი დაწესებულებების წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას უწყობდა ხელს.

ერთადერთი „მისუსტე“, რაც ბავშვობიდანვე თან სდევდა გვიას, ეს იყო მხტრეალ სოყვარული მშობლიური ზემო ხვედრეითისადმი, მისი წარსულისადმი, მისი შრომის-მოყვარე აღმზანებისადმი.

ზემო ხვედრეთის ხედ კარზე აკრავს წერილმარტელოვანი კრქვის გამოშვლებული ფერდობები. ხვედა და ურო ამოდ არ შეზრდია გვიის სოფლის სახელწოდებას, — ეუქველია, რომ დაბადების დღიდანვე ხვედრეთით განთქმული იყო ტამარ-მონასტრების ავებისათვის საჭირო სამშენებლო მასალით, უფრო კი ქვისმთლედი და ჩუქურთმისმქრელი ოსტატებით. და აქი აუგიათ მათ თაიონი სოფლის თავზე თითქმის ცხრაბი წლის წინათ დიდებული კვირაცხოვლის ტამარი, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევითა სახით მოაღწია. გვიის აღრვეე ჰქონდა შენიშნული, რომ ამ ნანგრევებში იყო ჩადღული ტამარის კარბისის შემამკობელი, ხელოვნების თეალსაზრისით ფრიალ საყურადღებო დეტალები, რომლებზეც დიდი სინატეით იყო ამოკვეთილი ჩუქურთმით შემოსილი შეწყველებული სამაგიე ღიკვები, სამთავე ბერძენებით დაბოლოებულე. გავრანებულ ნანგრევებს, რასაკვირველია, არავინ

იკავდა. მით უფრო ვშერებოდა ქართული თაიონ წინაპართა კემარობად ნამოქმედარი ნანგრევებიდან ამოეული, დედაქალაქში ჩამოგტანა და თაიონი სოფლის სახელთან ერთად თანამედროვეთა თეალის საამებლად გამოგშეყვრებისა.

და აი ამ მიზნით 1972 წლის 19 ოქტომბერს იგი ხვედრეთში ვაგზაზარა, წინა დღეებში იქვე ჩასტეული გვიის დედ-მამა. შემოდგომის იმ უჩვეულოდ თბილ და მზიან დღით გვიიმ მხოლოდ ერთი წამით შეიხედა მამაპაიეულ ეზოში, რათა თან წაეყვანა მამა და რამდენიმე დამხმარე აღამიანი. ამ სახელდახელოდ შედგენილი ჩვეულო იგი კვირაცხოვლის ნანგრევებს ვახლა. ძვირფასი ტვირთის დასადებდალ მიყვანილი მანქანა მარტე აღვლზე შეაჩერეს. უჩვეულო აღერთოვანებით ტრიალებდა ოფელში ვაწეწელი გვი და თანასოფლელებთან ერთად ვაპარად ქვეული მიწისაგან საგანგებო სიფრთხილით ათავისუფლებდა კარიბის დეტალებს. მათი ჩამოტანა და მანქანაზე დაბინავება იმ ცოცაბო ფერდობით მეტრებტად ძნელი იყო, მაგრამ გვიის არ შეეძლო საქმეზე ხელი აეღო, ორიოდ საათში ოთხი უძიძესი ღილი ეუვე მანქანაზე იდო. მეხეთე როგორღაც გაქრებდა, ვაქცია, დაფეორდათ. არ კი შეეშენს — კვლავ ვამოგორეს საჭირო მომართლებით, საგანგებო ფიარზე შეავენეს და ფრთხილად ჩამოათრეს ქვა — ღორღინ ფერდობზე, მანქანასთან მიავუნეს. გვიიმ დამხმარეებს ურჩია — მიდიო, მანქანაზე ვადაღებული ზიდი ვასწორეთ, ქვას შე დაეკავებო. ის იყო დამხმარეები მოშორდნენ, რომ ქვა წასაქცევად შეტორტმანდა „მოყვითო“. შესძახეს შეშფოთებულმა აღამიანებმა, მაგრამ არა, გვი შეუძლებელს ევდა, ღილის შეკავება ისურვა, ვადაყვანა და ხვედრულას ნაირებზე აუწერელი ტრაველიც დატრიალდა... ვანა ერთი და ორი მინა თე ემა შეწერიებოდა შორეულ წარსულში ქართული ხერომობლებების ამ ნომეშე წლობით მემოიბას? გვიის სერდა რომ იმ უცნობი თანამემშელებების ეუკვად ზეგლად ვადაქცია მათი ოფელია და სისხლით ნაქერი ღიღებდა. ახლა თეთონინ მათ ანრღილებს შეუერთდა...

ი. შავიშვილი



ДРУЗЬЯ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ № 33

АННОТАЦИИ:

Л. ГЛОНТИ, А. ДЖАВАХИШВИЛИ,  
Т. КИГУРАДЗЕ

АНТРОПОМОРФНЫЕ ФИГУРКИ ИЗ  
ХРАМИС ДИДИ-ГОРА

